გურამ შარაძის აგენტობა ათიოდე დღეში გაირკვევა A2

ცესკო უფულოდ ბიულეტენებს არ დაითვლის A3

აჭარის საბაჟო ცენტრალურ ბიუჯეტში, თანხების ნაცვლად, საბანკო ანგარიშებს აგზავნის A4



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 9 ივლისი, 2002 წელი. №37

ფასი 50 თეთრი

## შევარდნაძე რუსეთთან ისევ გამწვავებაზე მიდის

თამარ ხორბალაძე

*გუშინ საქართველოში ჩამოვიდა დსთ-ს საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბორის პასტუხოვი, რომელიც, ქართულ მხარესთან ერთად, ივლისის შუა რიცხვებისთვის დაგეგმილი ჩარჩო-ხელშეკრულების განხილვის მორიგ რაუნდს მოამზადებს.*

*დღეს დაგეგმილია უშიშროების საბჭოს მდივნის, ვლადიმირ რუშაილოს ვიზიტი.*

*ამ ფაქტს წინ უძღოდა ბერლინში ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მეთერთმეტე სესიაზე ქართული და რუსული დელეგაციების დაპირისპირება.*

რუსეთის დელეგაციამ ბერლინში დაბლოკა ქართული მხარის ინიციატივა, ეუთო-ს განხილვის საგნად ქცეულიყო აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" მაცხოვრებელთათვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების საკითხი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რითი დასრულდება საქართველოს წინააღმდეგ ჩაფიქრებული „ბერლინური დემარში„

"მით უარესი სელეზნიოვისათვის"...

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

ბერლინში ახლა ისე რომ ცხელოდეს, როგორც მოსკოვში, კაცი ნამდვილად იფიქრებდა, რომ რუსეთის პარლამენტის სპიკერზე ტემპერატურის აწევამ იმოქმედა და განცხადებაც მზის დაკვრის შედეგის შესაბამისი გააკეთა. მაგრამ რა ვუყოთ, რომ დღევანდელი ევროპული ამინდი ამის მტკიცების უფლებას არ გვაძლევს?

გაგრძელება A3 გვერდზე


თენგიზ კიტოვანი: "საქართველოს ტერორის ახალი ტალღა გადაუვლის"... A2

ლევან მამალაძის "დიდგორი" A3

"ტრადიციონალისტი" შალამბერიძე შევარდნაძეს უჩივის A3

"იზვესტია" მთავრობამ დაიბრუნა A4

საქართველო შიდსის ეპიდემიის მოლოდინში A6


### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | ღრუბლიანი |
| ქუთაისი | 31 | წვიმა |
| ბათუმი | 29 | წვიმა |
| სოხუმი | 31 | წვიმა |
| ფოთი | 31 | წვიმა |
| თელავი | 29 | მზიანი |
| ზუგდიდი | 32 | წვიმა |
| გორი | 27 | მზიანი |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2150 |
| ევრო | 2.1831 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3921 |
| რუბლი | 0.0702 |

# სასამართლო პროცესი სტადიონზე გაიმართება - გვპირდება შარაძე



*დღეს იოლია ხალხის ქუჩაში გამოყვანა*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სოფიკო ბუკია

**"ქალებო, ნუ აფუჭებთ კვერცხებს, რამიშვილს ესროლეთ..."**- დაარიგა ერთმა კვერცხების მსროლელმა ქალბატონმა "თავისუფლების ინსტიტუტის" წინ მომიტინგე დანარჩენი "სნაიპერები". რამიშვილს და ბოკერიას "ქალების" ნასროლი კვერცხები ასცდათ, სამაგიეროდ ტელეოპერატორები "გალამაზდნენ" და "24 საათის" ფოტორეპორტიორსაც მოხვდა ერთი 17-თეთრიანი კვერცხი.

კვერცხებით "თამაში" მერე დაიწყო. მანამდე კი გურამ შარაძის მომხრეები რუსთაველის ძეგლის წინ შეიკრიბნენ.

"შეწყდეს ცილისმწამებლური გამოხტომები გურამ შარაძის მიმართ!"

"მართლმადიდებლობა გამოცხადდეს სახელმწიფო რელიგიად!"

"შეწყდეს სექტების თარეში!"

"ეროვნების რეკვიზიტის აღდგენა!"

"მიღებულ იქნას კანონი ლუსტრაციის შესახებ!"

ეს იყო ის ძირითადი მოთხოვნები, რამაც რუსთაველის ძეგლის წინ შეკრებილი ხუთასამდე ადამიანი გააერთიანა.

ყველაზე მეტად შეკრებილი საზოგადოება გურამ შარაძის მიერ აქციაზე წაკითხულმა დოკუმენტმა გაამხიარულა. შარაძის თქმით, აღნიშნული დოკუმენტი "თავისუფლების ინსტიტუტისა" და მისი ნათესავი არასამთავრობოების მოქმედების გეგმაა, რომელიც ამ ორგანიზაციებმა "ზემოდან" მიიღეს და რომელიც გურამ შარაძეს ხელთ ჩაუვარდა.

გაგრძელება A8 გვერდზე

## პოლიტიკოსისათვის დაუშვებელი განცხადებები

### და ქართული სახელმწიფოებრიობა

ზურაბ ქიაბერაშვილი

*ეთნიკურ და რელიგიურ საკითხებზე მსჯელობამ ქართულ საზოგადოებაში მწვავე ხასიათი მიიღო. საკუთრივ ამ პრობლემას ისიც დაერთო, რომ ამ მსჯელობაში ხშირად პოლიტიკის საზღვრებია დარღვეული. პოლიტიკოსები პოლიტიკოსისათვის დაუშვებელ განცხადებებს აკეთებენ იმ იმედით, რომ მათ ამისათვის პასუხს არ მოთხოვენ. უფრო ხშირად კი, ამ პოლიტიკოსებმა თვადაც არ იციან, სად გადის პოლიტიკის საზღვრები.*

#### იმუნიტეტი პოლიტიკური და სხვა

ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ის არის, რომ სხვა, არაპოლიტიკური მეთოდებით – ბიზნესში, ხელოვნებასა თუ მეცნიერებაში – დაგროვილი კაპიტალის პოლიტიკაში დაბანდება და ამის საშუალებით პოლიტიკური იმუნიტეტის შეძენა ხდება.

ბიზნესიდან მოსულ ადამიანთა მაგალითზე ეს მარტივად ჩანს: ადამიანი აგროვებს (ამჯერად ნუ შევეხებით საკითხს, რამდენად სამართლიანად და კანონის დაცვით) ფულს, რომლითაც შემდეგ მოიპოვებს დეპუტატის მანდატს, მინისტრის პოსტს, პრეზიდენტის რწმუნებულისა თუ გამგებლის თანამდებობას, ხოლო შემდეგ უკვე მოპოვებული მანდატი თუ თანამდებობა მისი ხელშეუხებლობის გარანტია ხდება.

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული დეპუტატისა თუ მოსამართლის de jure იმუნიტეტი მხოლოდ ნაწილია იმ de facto იმუნიტეტისა, რომლითაც პოლიტიკოსები და საჯარო ფიგურები სარგებლობენ ქართულ საზოგადოებაში. ბიზნესიდან მოსულ პოლიტიკოსებს ეს de facto იმუნიტეტი ნაკლებად აქვთ იმის გამო, რომ მოქალაქეთა უმრავლესობისათვის საქართველოში ფულის კეთება ასოცირდება კორუფციასთან და უკანონობასთან.

გაგრძელება A8 გვერდზე

## „პრეზიდენტმა მკვლელები მოგვისია!" - აცხადებს სააკაშვილი

ვერიკო თევზაძე

**"ჟორბენაძე კანცელარიაში ომის ვეტერანთა ორგანიზაციის 40 წარმომადგენელს შეხვდა – დაგვეხმარეთო; სანაცვლოდ, სოლიდურ თანხას შეჰპირდა. არავისთვის არ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი, რა დახმარებას სთხოვს სახელმწიფო მინისტრი ყოფილ მეომრებს..." – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა ბლოკ "დემოკრატიული ფრონტი - ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე.**

მიხეილ სააკაშვილი გაცხარებას ვერ ფარავდა: **"შევარდნაძემ ქართული საზოგადოების კრიმინალიზაციისკენ გადადგა ნაბიჯი, მას აქტიურად უდგანან მხარში ერთგული გუბერნატორები. ქვემო ქართლში მამალაძე "მხედრიონის" მსგავს დაჯგუფებას აფინანსებს, სამეგრელოსა და კახეთშიც აყალიბებენ შეიარაღებულ ფორმირებებს. პრეზიდენტმა ორი საშიში კრიმინალი, გელაშვილი და ხაჩიშვილი ისე გამოუშვა ციხიდან, რომ შეწყალების კომისიის სხდომამაც კი არ მოიწვია. არადა, ამ ადამიანებმა მოკლეს გია ჭანტურია, რამდენიმე კაცი ცოცხლად ჩაატანეს ბეტონში. შევარდნაძემ ვერ შექმნა უშიშროების ძლიერი სამსახური, პოლიცია, არმია და ახლა, კრიმინალიზაციის გზით, საფრთხეს უქმნის არა მარტო თავის ოპოზიციას, არამედ საქართველოს თითოეულ მოსახლეს."**

ზვიად ძიძიგურის თქმით, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ხელისუფლების მთავარი საზრუნავია, როგორ დაუპირისპირდეს თავის ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალას. **"გელაშვილი და ხაჩიშვილი შევარდნაძეს პოლიტიკური ტერორისათვის სჭირდება. თავის დროზე დოკვაძის და გელბახიანის გათავისუფლებას ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციები ითხოვდნენ, როგორებიცაა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი და ჰელსინკის**

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველო - სირაქლემების მეორე სამშობლო




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## პრეზიდენტის მანევრი

თამარ ხორბალაძე

*ედუარდ შევარდნაძე საკუთარ თავს არ ღალატობს. "24 საათის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული პროგნოზი ელვის სისწრაფით ახდა. გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მართლაც შეეცადა, ნაცნობი ფირფიტა კიდევ ერთხელ დაეტრიალებინა და აქცენტი გუბერნატორების თემიდან გადაენაცვლებინა. შევარდნაძე, რომელმაც შაბათს გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმების შესახებ ემოციური განცხადება გააკეთა და ამ ინიციატივას "ანტიკონსტიტუციური" უწოდა, ორშაბათს ახალი ტერიტორიული მოწყობის შესახებ მსჯელობის ინიციატორად იქცა.*

საქართველოს პრეზიდენტმა ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ აამოქმედებს სპეციალურ კომისიას, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ახალ მოდელზე იმუშავებს. აქვე საქართველოს პრეზიდენტმა გაიხსენა **"კაკო ასათიანის კარგი ინიციატივა"**.

კაკო ასათიანის ადრინდელი ინიციატივა საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმას

გაგრძელება A3 გვერდზე

## დეიკალო „თბილგაზმა„ საგონებელში ჩააგდო

### კანცელარიის დაპირება
### დღეს თბილისს გაზი ექნება

სოფიკო ოხანაშვილი

*დღეს თბილისს, მოსკოვის დროით 10 საათზე, ბუნებრივი აირის მიწოდება აღუდგება. 8 ივლისს საღამოს "თბილგაზმა" "საქგაზის" ანგარიშზე სრულად გადარიცხა მილიონ შვიდასი ათასი ლარი. კვლავ აქტუალური რჩება ძველი ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხი, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა მოგვარდეს. "საქგაზის" პრესცენტრის განცხადებით, "იტერას" შვილობილმა კომპანიამ კიდევ ერთხელ გადადგა შემხვედრი ნაბიჯი.*

"საქგაზის" გენერალური დირექტორი ლეონიდ დეიკალო, დედაქალაქისთვის გაზის შეწყვეტის მიზეზად, ქართული მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევას ასახელებს. **"ჩვენ ვითხოვთ, რომ ხელშეკრულებას ვინც არღვევს, პასუხიც მან აგოს. ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, ქართულმა მხარემ შეასრულოს თებერვლის ხელშეკრულების პირობები"**, - განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე "საქგაზის" გენერალურმა დირექტორმა, ლეონიდ დეიკალომ.

გაგრძელება A4 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 სტილი B3 რეკლამა B4 კულტურა B5 კულტურა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

**თბილისი.** პრეზიდენტი გაემიჯნა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში თავისი პირად წარმომადგენელს ასლან აბაშიძეს.

ეს შეეხო აბაშიძის მიერ ევროპის საბჭოს რეგიონთა ასამბლეის სხდომაზე გამოთქმულ ინიციატივას აფხაზეთის უმაღლესი და მინისტრთა საბჭოების გაუქმების შესახებ.

**"არავითარი საერთო ამ ინიციატივებთან მე, საქართველოს პრეზიდენტს არა მაქვს",** - აცხადებს ედუარდ შევარდნაძე.

მისივე თქმით, ასლან აბაშიძეს, როგორც მის პირად წარმომადგენელს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში, არ ჰქონდა უფლება, პრეზიდენტის გვერდის ავლით აფხაზეთიდან დევნილი უმაღლესი და მინისტრთა საბჭოების გაუქმების საკითხი დაეყენებინა.

მისივე თქმით, აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილი 50 ათასი მაცხოვრებლის მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების ფონზე ასლან აბაშიძის ინიციატივები "გამაღიზიანებელი და დამაფიქრებელია".

■ ■ ■

**თბილისი.** გაიხსნა თბილისის პოლიტიკური კვლევების ცენტრის ეგიდით მიმდინარე სემინარი "კავკასია: ერთიანი დემოკრატიული სივრცე, ერთიანი დემოკრატიული უსაფრთხოება", რომლის ორგანიზატორებიც, აღნიშნულ ცენტრთან ერთად, არიან ევროპის საბჭო, ევროკომისია, სოროსის ფონდი, ნატო-ს ინფორმაციისა და პრესის ოფისი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სემინარზე, რომელსაც ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი, აშშ-სა და გერმანიის ელჩები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირები, განიხილეს კავკასიის სახელმწიფოების უსაფრთხოების, რეგიონის ეკონომიკური ფუნქციისა და ეკონომიკური განვითარების, რეგიონში ნატო-ს როლისა და სხვა აქტუალური საკითხები.

სემინარი დღეს დასრულდება.

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შემოდგომისთვის ყბადაღებულ დესტაბილიზაციას არ ელოდება, არც საპარლამენტო კრიზისს ვარაუდობს, სამართალდამცავ სტრუქტურებში არანაირ საკადრო ცვლილებასა და სოციალურ აფეთქებასაც არ გეგმავს

**"პარლამენტის ნორმალური ფუნქციონირება ქვეყნის სტაბილურობის პირველი მაჩვენებელია,"** - თქვაპრეზიდენტმა.

შევარდნაძე ოპოზიციურ პარტიებს ეროვნული ერთიანობისა და სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს. მისი თქმით, არეულობასა და დესტაბილიზაციის ქვეყანაში ერთხელ უკვე მოჰყვა მსხვერპლი და ეს უკვე საკმარისია. (ალბათ, მისი სახელმწიფოს სათავეში მოსვლა იგულისხმება).

■ ■ ■

**თბილისი.** ერთიანი "კომპარტიის" ლიდერს პანტელეიმონ გიორგაძეს შსს ყოფილი მინისტრის - თემურ ხაჩიშვილის, იგორ გიორგაძის დაცვის ყოფილი უფროსის - გურამ პაპუკაშვილის და "მხედრიონის" ერთ-ერთი ლიდერის - გიგა გელაშვილის შეწყალებამ სტიმული მისცა, ხელში კალამი აღებინა და პრეზიდენტისთვის ამზადებს მიმართვას შევარდნაძის წინააღმდეგ ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით ინტერპოლის მიერ ძებნილი მისი შვილის, უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის გამართლების მოთხოვნით.

პანტელეიმონ გიორგაძის აზრით, ამ შეწყალებას მალე უნდა მოჰყვეს იგორ გიორგაძის გამართლება. ამასთან, იგი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტის მიერ შეწყალებულები, ისევე როგორც მისი შვილი, მათ მიმართ წაყენებულ ბრალდებებში უდანაშაულონი არიან.

თვითონ იგორ გიორგაძის აზრი ამ შეწყალების თაობაზე უცნობია. თუმცა, შევარდნაძის "თანამებრძოლობას" თუ გავითვალისწინებთ, გელაშვილივით, გიორგაძის რეაბილიტაციასა და სულ სხვა მტრის ხატის გამოჩენას მალე უნდა ველოდოთ.

■ ■ ■

**თბილისი.** ნატახტართან იარაღის გადატანისას დაკავებული უშიშროების ოფიცრის სოსო მჭედლიძის ბედი ჯერჯერობით, გაურკვეველია. საქმეს გენერალური პროკურატურა იძიებს სოსო მჭედლიძეს ბრალი ედება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო გადაზიდვასა და გადატანაში, რაც 5-დან 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

როგორც სოსო მჭედლიძის ადვოკატმა განაცხადა, განსასჯელმა დანაშაული გულწრფელად აღიარა, იარაღი „ტყის ძმებს" ეკუთვნოდათ, და ისინი ამ იარაღს აფხაზების დივერსიული თავდასხმების მოსაგერიებლად გამოიყენებდნენ. ამ შემთხვევაში ასეთი ქმედება სამშობლოს დაცვა და „აუცილებელი მოგერიებაა", რაც კანონით არ უნდა ისჯებოდეს", — განაცხადა ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა.

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი აცხადებს, რომ აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებში სერიოზული საკადრო და სტრუქტურული ცვლილებები მზადდება. თუმცა, იგი ჯერ არ აკონკრეტებს - ვის და რატომ დაატოვებინებს თანამდებობას და არც იმას ამბობს, განიხილავს თუ არა ყრილობაზე საკუთარ ქონებრივ დეკლარაციას და მის შვილთან დაკავშირებულ მორიგ სკანდალს.

ნადარეიშვილი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება, ადრე თუ გვიან, აღდგება და დაგეგმილი რეფორმები აუცილებელია მისი სრულფასოვანი დაბრუნებისათვის.

ბოლოს და ბოლოს, სესიაზე განიხილება აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების შტაბ-ბინის ზუგდიდში შესაძლო გადატანის საკითხი.

ინფორმაციისთვის, აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებში დასაქმებულია 30 ათასზე მეტი ადამიანი.

■ ■ ■

**თბილისი.** ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთი ღია წერილი მიიღო. ამ წერილის ლაიტმოტივია უპასუხოდ დარჩენილი კითხვა: ვინ არის გიორგი ჭანტურიას მკვლელობის დამკვეთი, ორგანიზატორი და შემსრულებელი?

ღია წერილის ავტორთა, ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის აზრით, „ვითარება უფრო ბუნდოვანი გახდა მას შემდეგ, რაც თქვენი გადაწყვეტილებით შეწყალებულ იქნენ სასამართლოს მიერ გიორგი ჭანტურიას მკვლელობაში დამნაშავედ ცნობილი პირები".

წერილში, რომელსაც ხელს აწერენ გიორგი კობახიძე, გურამ ჩახვაძე და სხვები (სულ რვა ადამიანი) ნათქვამია:

„ჩვენთვისაც და საზოგადოებისთვისაც გაურკვეველია აღნიშნული უპირობო შეწყალების საფუძველი და ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ან შეწყალებულ პირთა მონაწილეობა ხსენებულ დანაშაულში დგება ეჭვქვეშ, ან მათი დანაშაული თქვენში ეჭვს არ იწვევს და, მიუხედავად ამისა, მაინც დგამთ ამ „ჰუმანურ" ნაბიჯს".

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული უშიშროების საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსი **ჰენრი კუპრაშვილი**, ბევრი ანალიზის შემდეგ ჩაწვდა ცხოვრების არსს. იგი გინესის რეკორდების წიგნში შესვლას დარდანელის სრუტის ხელფეხშეკრული, ძველი კოლხური წესით გადაცურვით აპირებს. როგორც ჰენრი კუპრაშვილი აცხადებს, ეს ინიციატივა ჯერ კიდევ შარშან უნდა განეხორციელებინა, მაგრამ მაშინ ამით არავინ დაინტერესდა. წლეულს მას დახმარებას სპორტკლუბ „დინამოს" საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, შს მინისტრი **კობა ნარჩემაშვილი** გაუწევს.

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ "ნაციონალურ მოძრაობის" და "გაერთიანებულ დემოკრატების" ლიდერების მოთხოვნა ქვემო ქართლის გუბერნატორის ლევან მამალაძის გადადგომის თაობაზე უკავშირდება ამ პოლიტიკური ძალების ინტერესებს, ხელში ჩაიგდონ ქვემო ქართლის 400 ათასი საარჩევნო ხმა, რომელიც სამი წლის წინ საპარლამენტო არჩევნებისას მამალაძემ მათ "მიართვა" მოქალაქეთა კავშირში ერთად ყოფნის დროს.

"იმ პერიოდში ამ პოლიტიკური ძალების ლიდერებს ზურაბ ჟვანიას და მიხეილ სააკაშვილს არ უკითხავთ გაყალბებული იყო თუ არა ქვემო ქართლიდან მათ სასარგებლოდ წამოსული ხმები", - განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სამუშაო ვიზიტით თბილისს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბორის პასტუხოვი ეწვია. იგი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, ირაკლი მენაღარიშვილთან ერთად ორ ქვეყანას შორის "ჩარჩო" ხელშეკრულების თაობაზე ივლისის შუა რიცხვებში დაგეგმილი მოლაპარაკებების მე-4 რაუნდს მოამზადებს. კონსულტაციები ჩატარდება ხელშეკრულების ყველა საკითხზე.

ახალი ხელშეკრულება ორი ქვეყნის პრეზიდენტების - ედუარდ შევარდნაძისა და ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილებით მზადდება, რამდენადაც წინამორბედის, 1994 წელს ხელმოწერილი დოკუმენტის რატიფიცირება მხოლოდ ქართულმა მხარემ მოახდინა.

თბილისში ვარაუდობენ, რომ ახალი "ჩარჩო" ხელშეკრულება შესაძლოა, უკვე შემოდგომისათვის იყოს მზად.

■ ■ ■

**თბილისი. "უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და თანამედროვე მსოფლიოში ყველაფერს თავისი ფასი აქვს, უფასოდ არავინ არაფერს მოგვცემს"** – თქვა პრეზიდენტმა ტრადიციულ რადიოინტერვიუში.

ჯორბენაძის მოღვაწეობა რომ ფასდაუდებელია იმაშიც ჩანს, რომ პრეზიდენტმა წარმატებული და ნაყოფიერი უწოდა მის მოსკოვურ მოლაპარაკებებს ენერგოკომპანია „იტერას" ხელმძღვანელობასთან მიუხედავად იმისა, რომ ამ მოლაპარაკებებიდან რამდენიმე დღეშიც არ ანთება ჩვენი გაზქურები.

სახელმწიფო მინისტრის მივლინება კი იყო წარმატებული, მაგრამ საქართველოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე მაინც ამერიკის მთავრობა იზრუნებს.

ამავე რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა ახლადშეწყალებულ ხაჩიშვილ-გელაშვილ-პაპუკაშვილზე განაცხადა, რომ ამ ნაბიჯის უპირველესი მოტივი საზოგადოებაში ეროვნული თანხმობისა და შერიგების ატმოსფეროს დამკვიდრების აუცილებლობაა და რომ ისინი დღეისათვის საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესებისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ. რომ არა ედპ-ს ლიდერის გიორგი ჭანტურიას მკვლელობის ორგანიზება, - შევარდნაძის თქმით, - გიგა გელაშვილს, რომელიც ტერიტორიული მთლიანობისათვის იბრძოდა, მაღალი სახელმწიფო ჯილდო უნდა მიეღო.

როგორც ჩანს, პრეზიდენტმა მასზე განხორციელებული ტერაქტი უკვე შეუნდო შეწყალებულებს და ახლა ამას შემდეგი არგუმენტით სხვებისგანაც მოითხოვს – **"სახელმწიფოებრივი აზროვნება თითოეულისაგან პირადულ გრძნობებზე ამაღლებას და ტკივილების დაძლევას მოითხოვს".**

■ ■ ■

**ბათუმი.** აჭარას გუანდუნის პროვინციის ექსპერტთა ჯგუფი ეწვევა. ეს პროვინცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფილა.

სტუმრები აჭარაში 15 ივლისამდე დარჩებიან, გაეცნობიან ბათუმის ღირსშესანიშნაობებს, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამშენებლო საწარმოებს, აჭარის უზარმაზარ ეკონომიკურ პოტენციალს.

პროვინციის დელეგაციის ძირითადი მიზანი, დაბა ჩაქვში აჭარაში ჩაის კულტურის გავრცელების ერთ-ერთი ორგანიზატორის, გამოჩენილი ჩინელი აგრონომის ლაო ჯონჯაუს სახელობის სკოლის მშენებლობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის შეთვალიერებაა.

ჩინელი სტუმრები ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის საკონფერენციო დარბაზში თავისუფალი ეკონომიკური ზონების მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებას გაუზიარებენ.

დაგეგმილია შეხვედრა უფროს და უმცროს აბაშიძეებთან.

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის წევრი, სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი მიხეილ გამრეკელიძე.

ავტოსაგზაო შემთხვევა ხარაგაულის რაიონის სოფელ ხევთან მოხდა.

წინასწარი მოკვლევით, ავტომანქანა გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა, დეპუტატმა, რომელიც თავად მართავდა მანქანას, უსაფრთხო მოძრაობა ვერ უზრუნველყო და ხევში გადავარდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიხეილ გამრეკელიძე ადგილზე გარდაიცვალა. სხეულის დაზიანებები მანქანაში მსხდომმა დაღუპულის მეუღლემ, შვილმა და დეიდამ მიიღეს. ეს უკანასკნელი სურამის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმთა განცხადებით, ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაშია.

■ ■ ■

**გორი.** გუშინ იეღოველთა წინააღმდეგ ბრძოლა სოფელ ორთაშენიდან დაიწყო. საპროტესტო აქცია სწორედ იმ სოფელში გაიმართება, სადაც მოსახლეობის 95 პროცენტი იეღოველია.

გუშინვე სამთავისისა და გორის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე ანდრია აკურთხებს ადგილს, სადაც უახლოეს მომავალში მართლმადიდებლური ეკლესია აიგება და წირვა-ლოცვას ჩაატარებს.

გორში მცხოვრები მოსახლეობის განცხადებით, იეღოვას მოწმეთა წინააღმდეგ საბრძოლველად მას ხელისუფლების იმედი აღარ აქვს და სექტების წინააღმდეგ მშვიდობიან ბრძოლას თავად აპირებს.

გორის რაიონის მართლმადიდებლური მრევლი იეღოვას მოწმეთა წინააღმდეგ აქციებს სხვა სოფლებშიც გეგმავს.

■ ■ ■

**გურჯაანი.** მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნიკა კვეზერელის ინიციატივით ხუთი წლის შესვენების შემდეგ "თელავი-თბილისის" სარკინიგზო ხაზზე მოძრაობა აღდგა.

აღნიშნული მიმართულებით მატარებელი დღეგამოშვებით იმოძრავებს, ხოლო დანახარჯებს საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი გაიღებს.

კახეთის სოფლების მოსახლეობისათვის ეს ტრანსპორტირების ყველაზე იაფი საშუალება იქნება, რომელიც გლეხებს დედაქალაქში პროდუქციის გადატანაში დაეხმარება.

ლიანდაგების დაზიანების გამო მატარებელი დედაქალაქში ჩასვლას 7-8 საათს მოანდომებს.

■ ■ ■

**საგარეჯო.** სავარაუდოდ, ლიმონათით მოწამვლის შედეგად, დარბაისლების ოჯახში 3 წლის ბავშვი გარდაიცვალა, ხოლო მათი ორი მცირეწლოვანი ნათესავი უმძიმეს მდგომარეობაში ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის იმუნოლოგიის სამეცნიერო ცენტრში, რეანიმაციის განყოფილებაში იმყოფება.

მოწამვლის გამო რეანიმაციაში მყოფ ერთ-ერთ ბავშვს ექიმებმა მენინგიტის დაავადება დაუდგინეს.

ინფექციური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების მორიგე ექიმმა შორენა კიწმარიშვილმა დაადასტურა ბავშვების მოწამვლის ფაქტი, თუმცა თავი შეიკავა მისი გამომწვევი მიზეზების დასახელებისაგან.

■ ■ ■

**კონფლიქტის ზონა.** ქართველმა პარტიზანებმა უარყვეს აფხაზური მხარის და რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, რომ თითქოს, რამდენიმე დღის წინ გალის რაიონის მოსახლეობაში გავრცელებული ფურცლებით პარტიზანები რაიონის თითოეულ ოჯახს 2 ათასი რუბლს სთხოვდნენ პარტიზანული მოძრაობის მხარდასაჭერად.

**"მათ ავტორებს არაფერი აქვთ საერთო პარტიზანებთან, რადგან მოსახლეობისათვის ფულის მოთხოვნა მხოლოდ ბანდიტებს შეუძლიათ"** – აცხადებენ ქართველი პარტიზანები.

■ ■ ■

**ჩეჩნეთი.** კვირას ჩეჩნეთის ვედენოს რაიონში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ავტოკოლონაზე ბოევიკების თავდასხმის შედეგად დაიღუპა ორი და დაიჭრა სამი რუსი სამხედრო. ტერაქტი სოფელ აგიშთისთან მოხდა. ბოევიკებმა ჯერ რადიომართვადი ნაღმის საშუალებით კოლონის თავში მოძრავი ჯავშანმანქანა ააფეთქეს, შემდეგ კი ავტომატების, სნაიპერული თოფებისა და ნაღმტყორცნებით კოლონის მიმართულებით სროლა ატეხეს. რუსი სამართალდამცველები გამოძიებას აწარმოებენ. ("რია ნოვოსტი")

■ ■ ■

**უკრაინა.** კვირას უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში ქვანახშირის მაღაროში გაჩენილი ხანძრის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვმა 35-ს მიაღწია. მაღაროებზე უბედური შემთხვევების შედეგად მიმდინარე წლის განმავლობაში უკვე 150 მაღაროელი, ხოლო შარშან კი – 300 მაღაროელი დაიღუპა. კვირას ხანძარი გაჩნდა აღმოსავლეთ უკრაინის კიდევ ერთ მაღაროში. საბედნიეროდ, არავინ არ დაშავებულა.

პრეზიდენტმა კუჩმამ დაავალა ქვეყნის გენერალურ პროკურორს ტრაგედიის მიზეზების დადგენაში პირადად ჩაება. მომხდარმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ წამოწია ქვეყანაში უსაფრთხოების დაბალი სტანდარტების არსებობის პრობლემა.

სექტემბერში მსოფლიო ბანკი უკრაინისთვის 250 მლნ. დოლარის კრედიტის გამოყოფას აპირებს. თუმცა, დონორი შეშფოთებულია მთავრობის სტრატეგიით ქვანახშირის სექტორის მიმართ, რადგან ეს სტრატეგია მოქმედი მაღაროების რიცხვის შემცირებას არ მოიცავს. უკრაინული მაღაროების შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდება, მაგრამ პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მაღაროების დახურვა მათ უფრო ძვირი დაუჯდებათ, სოციალური პირობების გაუარესების თვალსაზრისით. უკრაინაში მოქმედებს 193 მაღარო, სადაც 450,000 ადამიანია დასაქმებული. (Reuters)

■ ■ ■

**ერევანი.** რადიაციული ფონი ნორმის ფარგლებშია.

როგორც გახსოვთ, სომხეთის აეს-ზე ძაბვის ვარდნის გამო ავარიულად გაითიშა სადგურის ელექტრონული ნაწილი.

ავარიის შემდეგ შექმნილი სიტუაცია განიხილეს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სომხეთში **ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა** და სომხეთის ეროვნული კრებისა და გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ **გაგიკ თადევოსიანმა.**

შეხვედრაზე ითქვა, რომ ატომური ელექტროსადგურის ავარიულ გაჩერებას რეგიონში რადიაციულ ფონზე რაიმე ზეგავლენა არ მოუხდენია.

პრამ-ნიუსისა და მედი-ნიუსის მიხედვით

# „პრეზიდენტმა მკვლელები მოგვისია!" - აცხადებს სააკაშვილი



"ეს შემოდგომა ცხელი იქნება" მარიკა ამურველაშვილის ფოტო

პირველი გვერდიდან

**ფედერაცია. შევარდნაძემ ეს არ დაუშვა. სამაგიეროდ, ორი საშიში კრიმინალი მან ყველას დაუკითხავად გაათავისუფლა."**

**"შევარდნაძეს ეშინია, რომ თავისთან ყველაზე ახლოს მყოფ პოლიტიკურ ორგანიზაციასაც კი ვერ დაეყრდნობა, ამიტომ გადაწყვიტა "მხედრიონის" რეანიმაცია... ეს შემოდგომა ცხელი იქნება, საქართველოს პრეზიდენტი ყოველდღე დგამს ნაბიჯს ქაოსისაკენ, კრიმინალურ-მაფიოზური დაჯგუფებები მან საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართა",** - განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

კონსტანტინე კემულარიამ ის დრო გაიხსენა, როცა უკვე ოფიციალურ სტრუქტურად ჩამოყალიბებული და "მაშველთა კორპუსად" წოდებული "მხედრიონი" ბიზნესმენთა დატერორების შესანიშნავი საშუალება იყო. კემულარიას აზრით, შევარდნაძე ამჯერადაც გამოიყენებს ყოფილ "მხედრიონელებს" იმ ბიზნესმენების დასაწიოკებლად, რომლებიც 29 ივნისს "მოქკავშირის" ყრილობაზე არ მივიდნენ. კემულარიას თქმით, გარკვეულ ეტაპზე პრეზიდენტი მასმედიისთვისაც მოიცლის, **"დაიწყება გაზეთებისა და ტელეკომპანიების დაშინება."**

ჟურნალისტებთან შეხვედრისას პარლამენტარმა ნოდარ გრიგალაშვილმა განაცხადა, რომ სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა მოსიაშვილმა, რომელიც მან მექრთამეობაში ამხილა, ტელეფონზე დაურეკა, დედა აგინა და ფიზიკური განადგურებით დაემუქრა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ამ დღეებში ისინი საზოგადოებას მიაწვდიან დეტალურ ინფორმაციას შეიარაღებულ ფორმირებებზე, მათ დაფინანსებაზე, ხელისუფლებასთან კავშირზე.

"დემოკრატიული ფრონტი – ნაციონალური მოძრაობა" შეიმუშავებს მიმართვას პოლიციის, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და ბიზნესმენებისადმი. შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში იწურება ვადა ულტიმატუმისა, რომელიც "ნაციონალებმა" წაუყენეს შევარდნაძეს მამალაძის გადაყენების თაობაზე. საქართველოს პრეზიდენტი ამ საკითხის განხილვას, ჯერჯერობით, ნაადრევად მიიჩნევს. "ნაციონალები" კი, თუ შევარდნაძე მათ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, ამ უკანასკნელის იმპიჩმენტით იმუქრებიან.

# თენგიზ კიტოვანი: „საქართველოს ტერორის ახალი ტალღა გადაუვლის"...

**" ყოფილი მხედრიონელის, თეიმურაზ ხაჩიშვილის ციხიდან გამოშვება, სწორედ იმას მოასწავებს, რომ შევარდნაძეს ახლა ძლიერ გაუჭირდა და საკუთარი პოზიციების გამაგრება გადაწყვიტა,"** - აცხადებს "24საათის" მოსკოველ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრი თენგიზ კიტოვანი .

იგი ამტკიცებს, რომ **"თავის დროზე ზუსტად ასე მოიქცა შევარდნაძე, როცა აფხაზეთში ომის დაწყების წინ, კრიმინალები კოლონიებიდან და ციხეებიდან გამოუშვა და დახმარებისათვის ამ შავ ძალას მიმართა"**

**"პირადად ხაჩიშვილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ციხიდან მის გამოშვებაში შევარდნაძის მზაკვრული მიზანი იმალება. იგი საკუთარ ოპოზიციას შეწყნარებული მხედრიონელების ხელით გაუსწორდება და საქართველოს სისხლიანი ტერორის ახალი ტალღა გადაუვლის,"** - ამტკიცებს კიტოვანი.

ექს-მინისტრის თქმით, **"დღეს შევარდნაძეს სერიოზული ოპოზიცია ჰყავს ახალგაზრდების სახით და პირველ რიგში მათ წინააღმდეგ იქნება მიმართული ყოფილი კრიმინალების დარაზმვა".** ერთი სიტყვით, თენგიზ კიტოვანი ოპოზიციას სიფრთხილისაკენ მოუწოდებს.

**"დღეს ქართული საზოგადოება არ შეიძლება გაულგრილად და უყურადღებოდ მოეკიდოს ახალი პოლიტიკური მკვლელობების რეალურ საფრთხეს – შევარდნაძის მიერ დაგეგმილი ტერორისტული აქტები, ხაბეიშვილის, ჭანტურიას, ტალახაძისა და სხვათა მკვლელობები, ქართველ ხალხს და, პირველ რიგში, ოპოზიციურ პარტიებს მეტი სიფხიზლისაკენ უნდა მოუწოდებდეს,"**-აცხადებს საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრი.

# გურამ შარაძის აგენტობა ათიოდე დღეში გაირკვევა

## ალეკო კარტოზიას იმპიჩმენტის საკითხი კი - შემოდგომაზე

გიორგი ასანიშვილი

*სანდო წყაროს ინფორმაციით, თანამდებობის პირების ქმედებათა კანონიერების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის (თავმჯდომარე მიხეილ ოსაძე) ხელთ არსებული მასალები იძლევა იმის საფუძველს, რომ შემოდგომისთვის დაისვას განათლების მინისტრის, ალეკო კარტოზიას, იმპიჩმენტის საკითხი. თავად ოსაძე კომენტარისგან თავს იკავებს. იგი ასეთ შესაძლებლობას არც უარყოფს და არც ადასტურებს. მისი თქმით, ალეკო კარტოზიას საქმესთან დაკავშირებით, დროებით საგამოძიებო კომისიას მთელი ზაფხულის განმავლობაში მოუწევს მუშაობა და კონკრეტული დასკვნების გამოტანა მხოლოდ შემოდგომაზე იქნება შესაძლებელი.*

ოსაძის განცხადებით, ასევე შრომატევადია და დიდ დროს მოითხოვს ფოთის პორტის უფროსის, ჯემალ ინაიშვილის საქმის შესწავლა. სამაგიეროდ, დროებითი კომისიის თავმჯდომარეს გაცილებით ადვილად მიაჩნია "კაგებესთან" პარლამენტარ გურამ შარაძის შესაძლო თანამშრომლობის საკითხის გარკვევა.

**"ამას, ალბათ, სულ ათიოდე დღე დასჭირდება,"** - ირწმუნება ოსაძე, რომელიც იქვე იმასაც შენიშნავს, რომ საკითხის შესწავლა ჯერ არ დაწყებულა: **"მართალია, პარლამენტმა უკვე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება და შარაძის საკითხის გარკვევა ჩვენს კომისიას დაავალა, მაგრამ პარლამენტის ხელმძღვანელობისგან შესაბამისი დოკუმენტი ჯერ არ მიგვიღია და, ამდენად, ზოგადი მოთხოვნის გარდა, არ ვიცით, რა აინტერესებთ და რა კუთხით უნდა შევისწავლოთ საქმე. ყველაფერი მალე გაირკვევა. იმედია, მივლინებიდან პარლამენტის თავმჯდომარის დაბრუნების შემდეგ, ფორმალობები მოგვარდება და შარაძის საქმის შესწავლას დავიწყებთ."**

მიხეილ ოსაძისავე თქმით, ლუსტრაციის კანონის არარსებობა ან აგენტების საქმეების განადგურება თუ სმოლენსკში გატანა, ამ შემთხვევაში, დროებითი საგამოძიებო კომისიისთვის დაბრკოლება არ იქნება. **"თუ აგენტთა პირადი საქმეები განადგურდა ან მათზე ხელი არ მიგვიწვდება, სამაგიეროდ, არსებობს აგენტურის სიები და სიმართლის დადგენაში ის დაგვეხმარება,"** - აცხადებს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე.

რაც შეეხება ლუსტრაციის კანონს, მისი მიღება მიხეილ ოსაძეს აუცილებლად და დაგვიანებულადაც კი მიაჩნია. ოღონდ, ასეთ დროს დიდი სიფრთხილე იქნება საჭირო და ყველა ერთ ქვაბში არ უნდა მოიხარშოს.

**"ის ხალხი, ვინც სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა, ვთქვათ, ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით, უნდა განვასხვავოთ მათგან, ვინც მოსკოვს ეხმარებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ბრძოლის საქმეში,"** - აცხადებს მიხეილ ოსაძე.

კარტოზია-შარაძე-ინაიშვილის საქმეების გარდა, პარლამენტის ბიუროს 24 ივნისის გადაწყვეტილებით, დროებით საგამოძიებო კომისიას დაევალა, შეესწავლა 1992-2001 წლებში, საგარანტიო ხელშეკრულებების საფუძველზე, საქართველოში შემოსული კრედიტებისა და ქვეყნის მიერ მიღებული გრანტების განაწილების კანონიერების, რაციონალური გამოყენებისა და ეფექტურობის საკითხი, აგრეთვე, ეკონომიკურ აგენტებზე სახელმწიფო კრედიტების გაცემის კანონიერება.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხის შემსწავლელის ვინაობა ცნობილი იყო, მოგვიანებით, პარლამენტის სხდომაზე მაინც დიდი აჟიოტაჟი ატყდა: ცალკე დეპუტატი ფრიდონ ინჯია ითხოვდა გრანტების საკითხის შემსწავლელი ახალი დროებითი კომისიის შექმნას, ცალკე "ტრადიციონალისტები" გამოვიდნენ გრანტებისა და კრედიტების კომიტეტის ჩამოყალიბების ინიციატივით. დემურ გიორხელიძეც ითხოვდა, რომ საკითხი მის კომიტეტს გადასცემოდა... მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება იმაზე, თუ მათ რატომ არ აწყობდათ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება და რატომ ცდილობდნენ კრედიტ-გრანტების საკითხის თავისი ეგიდის ქვეშ მოქცევას. მით უმეტეს, "ოსაძის კომისია", უკვე ორი მოწვევის პარლამენტში "რეკლამაციის" გარეშე მუშაობს და მისი არც ერთი გადაწყვეტილება ეჭვის ქვეშ არასოდეს დამდგარა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ზესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# ცესკო უფულოდ ბიულეტენებს არ დაითვლის

## თბილისის საკრებულოს ბედი კვლავ გაურკვეველია



ცენტრალური საარჩევნო კომისია დროს წელავს

ლევან ხერხეულიძის ფოტო

თამარ მჭედლიშვილი

***საკმაოდ ხმაურიანი დებატების შემდეგ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების გადათვლის წესი მიიღო. თითქოს ამ პროცედურას წინ აღარაფერი უნდა აღუდგეს, მაგრამ... ცესკო ბიულეტენებს მხოლოდ მაშინ დაითვლის, როცა ამ სამუშაოს ჩასატარებლად ხაზინა სახელფასო ფონდს გამოუყოფს.***

ასე და ამგვარად – ცენტრალური საარჩევნო კომისია კვლავ წარმატებით "გამოძვრა" მეტად უხერხული სიტუაციიდან და ბიულეტენების გადათვლის პროცედურა გაურკვეველი ვადით გადაწია. თანაც, მთელ ამ პოლიტსპექტაკლში ახალი მოქმედი გმირიც შემოიყვანა – სახელმწიფო ხაზინა.

როგორც ცესკოში განაცხადეს, ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო კრიზისის მიუხედავად, ამ მხრივ პრობლემები თითქმის არ შეიქმნება, რადგან გადათვლის პროცედურაში მონაწილე პერსონალი ხელფასს იმ ერთიანი თანხიდან მოითხოვს, რომელიც 2 ივნისის არჩევნებისთვის არის გამოყოფილი (საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების მონაცემებით, ეს თანხა ცესკოს ბოლომდე არ აქვს ათვისებული).

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ, სახელმწიფო ხაზინა ოფიციალურად დღეს შეიტყობს. დღესვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის სოციალისტი წევრი დენის დავითაშვილი უზენაეს სასამართლოში სარჩელს აფრენს და თემიდას გუშინ მიღებული წესის კანონიერების შესწავლას მოსთხოვს. სხვათა შორის, სოციალისტურმა პარტიამ ერთ-ერთმა პირველმა მოითხოვა არჩევნების შედეგების გაუქმება. ასე რომ, ხაზინის მიერ ცესკოს მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, დიდი წვალებით მიღებულ გადათვლის წესს გაუქმების საფრთხე დაემუქრება.

სავარაუდოდ, ხვალ ამ აბსურდის თეატრში საოლქო სასამართლოც ჩაერევა. როგორც ცნობილია, უზენაესმა სასამართლომ მას "სახალხოელებისა" და "ეროვნულ-დემოკრატების" სარჩელების განხილვა დაავალა – ორივე პარტია თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების გაუქმებას ითხოვს. როგორც ვარაუდობენ, სასამართლო პროცესი მოსარჩელეთა სასარგებლოდ დასრულდება. ყოველ შემთხვევაში, "ნაციონალური მოძრაობა" და "გაერთიანებული დემოკრატები" არაერთგზის ამტკიცებდნენ, რომ ორივე პარტია – ედპ და "სახალხოელები" – სახელისუფლებო დაკვეთას ასრულებენ. ისინი ამავე ბრალდებას სასამართლოსაც უყენებენ.

ამ ფონის გათვალისწინებით, სავსებით გასაგები ხდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ამგვარი საეჭვო გარჯა. კომისია, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, აშკარად ვერ წყვეტს არჩევნების შედეგების გაუქმება-არგაუქმების ყბადაღებულ პრობლემას და მის გადაჭრას თავს ყოველნაირად არიდებს. ოფიციალურად ამ მოსაზრებას ცესკოში არავინ ადასტურებს, თუმცა, ე.წ. პრივატულ საუბრებში, კომისიის წევრები აცხადებენ, რომ პრობლემას საბოლოოდ საოლქო სასამართლო გადაწყვეტს; ცენტრალური საარჩევნო კომისია კი მხოლოდ დროს წელავს.

რაც შეეხება თავად გადათვლის წესს: თუკი იგი (ისევე, როგორც მთლიანად არჩევნების შედეგები) გაუქმებას გადაურჩა, სამუშაო ორ ეტაპად დაიყოფა - ბიულეტენების აღწერა და შემდეგ უკვე გადათვლა. საამისოდ უკვე შეიქმნა ჯგუფები. პროცესი გამჭვირვალე იქნება და მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან. ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა ლაშა ჯიბლაძემ საარჩევნო კონვერტების დათვლაც მოითხოვა, მაგრამ მისი წინადადება კომისიამ არ გაიზიარა.

# პრეზიდენტის მანევრი

პირველი გვერდიდან

ითვალისწინებდა. "ტრადიციონალისტების" ვარიანტის თანახმად, საქართველოში უნდა გაუქმებულიყო რაიონული მოწყობა და ქვეყანა რეგიონულ მოწყობაზე გადასულიყო. ასეთი რეფორმირების შემდეგ, ქვეყანაში, ორი ავტონომიის გარდა, იარსებებდა 10 ოლქი. ოლქების უმრავლესობის ტერიტორია თანხვდება დღევანდელ მხარეებს. გარეგნულად ეს ვარიანტი ეწინააღმდეგება ინიციატივას გუბერნატორთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ.

შეგახსენებთ, კაკო ასათიანის ეს "კარგი ინიციატივა" საქართველოს პრეზიდენტმა ერთი წლის წინათ მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონპროექტის ინიცირებით "გადაფარა".

მინისტრთა კაბინეტის თემა "სახრავად" კარგა ხნის განმავლობაში ეყო საქართველოს პარლამენტს და მთავრობამაც შარშანდელი ძალიან მწველი პოლიტიკური ზამთარი ამ ინიციატივის მეოხებით გადაიტანა.

გასულ წელს "ტრადიციონალისტებმა" სცადეს, ტერიტორიული მოწყობის თემა მიებათ "მინისტრთა კაბინეტის" საკითხისათვის, მაგრამ მაშინ მათ ეს მცდელობა "მოქალაქეებმა" პოლიტიკურ შანტაჟად ჩაუთვალეს.

ამასობაში "ახლებმა" და მაშინდელმა ოპოზიციამ ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ ოთხმოცდაათკაციანი ბლოკის შეკვრა მოახერხეს და მინისტრთა კაბინეტის იდეამაც და ამ ინიციატივამაც ჩაილურის წყალი დალია.

მოგვიანებით, სახელმწიფო მინისტრად ავთანდილ ჯორბენაძის დამტკიცების წინ, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი და "ტრადიციონალისტების" ინიციატივა მთავრობაში ისევ გაახსენდათ. ავთანდილ ჯორბენაძის სახელმწიფო მინისტრობის პირველივე თვეებში კი ითქვა, რომ ამ საკითხების დასმა "ნაადრევი გახლდათ".

ახლა საქართველოს პარლამენტის კულუარებში ისევ საუბრობენ მინისტრთა კაბინეტზე. პარლამენტის უახლოესი რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში უკვე ჩასმულია გუბერნატორების გადაყენების შესახებ საკითხის განხილვა. ამ ინიციატივის მომხრეების რიგებს პარლამენტში, "ახალმოქალაქური" ფრაქციების გარდა, ყველა ფრაქცია ავსებდა. ამიტომ, თითოეული ფრაქციისთვის "საინტერესო" ინიციატივის შეთავაზება მთავრობას გუბერნატორთა ინსტიტუტის შესანარჩუნებლად "ჰაერივით სჭირდება".

ეს ინიციატივა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ახალი ტერიტორიული მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ნაადრევად და მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმებაზე საუბარი.

"ტრადიციონალისტებისადმი" გაკეთებული გუშინდელი რევერანსიც, სავარაუდოდ, ამ ფრაქციის "დაინტერესებითა" და მათი ხმების "შეკავებითაა" მოტივირებული.

თუმცა, გუშინ "24 საათთან" საუბრისას ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წარმომადგენელმა, ალეკო შალამბერიძემ განაცხადა, რომ ამ ორი საკითხის ერთმანეთზე მიბმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. **"ახალი ტერიტორიული მოწყობის შესახებ განხილვა უნდა გაიმართოს, მაგრამ ჯერ გუბერნატორების ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს,"** – აღნიშნა მან. შალამბერიძეს მიაჩნია, რომ დღეს არსებულ გუბერნატორებს, რომლებიც პრეზიდენტის მიერ ხელდასხმული ჩინოვნიკები არიან, არაფერი აქვთ საერთო ოლქების მართვის "ტრადიციონალისტების" პროექტში გათვალისწინებულ მეთოდებთან.

# შევარდნაძე რუსეთთან ისევ გამწვავებაზე მიდის

პირველი გვერდიდან

ეუთო-ში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარემ გენადი სელეზნიოვმა "შეურაცხმყოფელი" უწოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლას. მან ამ თემაზე მსჯელობის შეწყვეტა მოითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის საკითხის განხილვა, ქართული დელეგაციის მცდელობით, დღის წესრიგში უკვე შეტანილი იყო, მან ამ მოთხოვნის გატანა მაინც მოახერხა. გუშინ რუსი ანალიტიკოსები ირონიით იუწყებოდნენ: საქართველოს და მის მხარდამჭერ დეპუტატებს დაავიწყდათ, რომ რუსეთი ეუთო-ში ვეტოს უფლებით სარგებლობს.

გენადი სელეზნიოვმა "იტარტასსთან" საუბარში გააკრიტიკა ეუთო, რომელიც, მისი აზრით, კონკურენციას უწევს ევროსაბჭოს. **"ეუთო-ში სულ უფრო მეტ ადგილს უთმობენ ადამიანთა უფლებებს, რაც, ძირითადად, ევროსაბჭოს პრეროგატივაა. შედეგად, უყურადღებოდ რჩება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრიორიტეტული საკითხები,"** - განაცხადა სელეზნიოვმა.

აღნიშნული რეაქცია მოჰყვა ნინო ბურჯანაძის გამოსვლას, რომლის თაობაზეც "24 საათი" გუშინ იუწყებოდა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ქვეყნის ტერიტორიების ანექსიის მცდელობა უწოდა აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესს.

რუსულმა მასმედიამ ეს განცხადება რუშაილოს ვიზიტის ჩაშლის მცდელობად შეაფასა. ითქვა ისიც, რომ მსგავსი განცხადებები, შესაძლოა, მიზნად ისახავდეს პანკისის ხეობაში რუსეთის, აშშ-სა და საქართველოს მონაწილეობით დაგეგმილი სამმხრივი ოპერაციის ჩაშლას.

გასული კვირის ბოლოს ასეთი ოპერაციის ალბათობას "24 საათთან" საუბარში კომენტარს არ უკეთებდნენ საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები.

კარგად ინფორმირებული წყარო კი იუწყებოდა, რომ რუსეთის მხარის მოთხოვნა, გელაევის რაზმის წინააღმდეგ ოპერაციაში რუსი სპეცრაზმელების მონაწილეობის შესახებ, უცვლელი დარჩა და ეს გახლდათ ჩარჩო-ხელშეკრულების ხელმოწერის ერთ-ერთი სერიოზული წინაპირობა.

ასეთ ფონზე, გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლის კომენტირებისას, განაცხადა, რომ ნინო ბურჯანაძის გულისწყრომა აბსოლუტურად საფუძვლიანი და სამართლიანი გახლდათ. **"თუ რუშაილო ვიზიტის გადასადებად მიზეზს ეძებს, სხვა საქმეა... 50 000 აფხაზმა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. რა დავარქვათ ამას, თუ არა ანექსია?"** - იკითხა პრეზიდენტმა.

ამასთან, მან კატეგორიულად უარყო ინფორმაცია პანკისში დაგეგმილ ოპერაციაში რუსული მხარის მონაწილეობის შესახებ: **"ოპერაციაში არც ერთი უცხოური ძალა მონაწილეობას არ მიიღებს. საქართველო ამ პრობლემას საკუთარი ძალებით მოაგვარებს",** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და ამით მითი რუსეთ-საქართველოს შორის ბოლოდროინდელი "დათბობის" შესახებ ერთი ხელის მოსმით მოსპო.

# ლევან მამალაძის „დიდგორი"

მაია მოსიაშვილი

5 ივნისს ნაციონალებმა საქართველოს პრეზიდენტს ულტიმატუმი წაუყენეს და 10 დღეში ქვემო ქართლში მისი რწმუნებულის, ლევან მამალაძის მოხსნა მოსთხოვეს. გუშინ ლევან მამალაძემ, ამ ფაქტთან დაკავშირებით, ასეთი კომენტარი გააკეთა:

**"ჩვენ არ ვაპირებთ რაღაც ულტიმატუმებზე და პროვოკაციებზე აყოლას. ეს არის ბრძოლა და ამ ბრძოლაში ჩვენ არ ვაპირებთ, რომ ვიღაცის სურვილები დავაკმაყოფილოთ. არავინ არც თანამდებობებს ეკიდება და არც რაღაც პრივილეგიებს. ეს არის პრინციპი და ამ თვალსაზრისით, ჩვენი პოზიცია მყარია."**

გუბერნატორის მხრიდან მრავლობით რიცხვში საუბარი, ალბათ, ძლიერ არგუმენტს უნდა ეფუძნებოდეს. მართლაც, "24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტმა კვირას საღამოს თავისთან დაიბარა მამალაძე და უთხრა: შენ შენი სიმართლე დაამტკიცე, მე შენს მხარეზე ვარო. იგივე გააკეთა სახელმწიფო მინისტრმაც.

ამ ვიზიტის შემდეგ, პრეზიდენტის რწმუნებული, ბოლო დღეებში დაკარგულ ძველებურ რიხს იბრუნებს და პოლიტიკურ ოპონენტებს ახალი ძალით უტევს:

**"ეს ულტიმატუმები მიზნად ისახავს რუსთავში არეულობისა და დაძაბულობის შემოტანას. ამით უნდათ შექმნან პლაცდარმი იმ უმოქმედობისა, რომელიც ამ პოლიტიკურ ძალებს ბოლო პერიოდში დაეტყოთ. მიზეზებს ეძებენ, რომ რაღაცნაირად ამოქმედდნენ."**

ლევან მამალაძე თავისი კარიერისათვის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვან, "დიდგორის ბრძოლას" იწყებს. გუშინ მან ამაზე არაპირდაპირი მინიშნებაც გააკეთა:

**"11 ან 12 აგვისტოს დიდგორში მნიშვნელოვანი ღონისძიება უნდა ჩატარდეს. მოწვეულნი იქნებიან პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი და ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები. დიდგორობა გამარჯვების დღესასწაულია და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ამის გაკეთება ამ სიტუაციაში, როცა სხვადასხვა პოლიტიკური ძალები საყოველთაო ნიჰილიზმის დანერგვას ცდილობენ."**

# რითი დასრულდება საქართველოს წინააღმდეგ ჩაფიქრებული „ბერლინური დემარში"

## „მით უარესი სელეზნიოვისათვის"...

პირველი გვერდიდან

ბერლინში ამ დღეებში მიმდინარე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე, რუსეთის დელეგაციამ ხმა არ მისცა მუდმივმომქმედი კომიტეტის სხდომაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი სიტუაციის საკითხის განხილვას.

მოწინააღმდეგეთა ფრთას, რუსეთის დელეგაციის მხრიდან, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე გენადი სელეზნიოვი ხელმძღვანელობდა და ბუნებრივია, მანვე განსაზღვრა კენჭისყრის შედეგიც. გენადი სელეზნიოვის სიტყვებით,"**საქართველოს დელეგაციამ, ამერიკელი პარლამენტარების მხარდაჭერით, მოახერხა აფხაზეთსა და საქართველოში მიმდინარე სიტუაციაზე საკითხის დღის წესრიგში შეტანა.**

**რუსეთს ბრალი დასდეს იმაში, რომ იგი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მიღების დაჩქარებულ პროცედურას ეწევა, ვითომ რუსეთი იმპერიული ამბიციების მატარებელი იყოს და საქართველოს მიწების ანექსია უნდოდეს. მე მიმაჩნია, რომ ეს რუსეთის უმძიმესი შეურაცხყოფაა,"** - განაცხადა სელეზნიოვმა.

სპიკერის განცხადების ასეთი კონტექსტი არ გაიზიარა რუსეთის დელეგაციის წევრმა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსეი არბატოვმა. არბატოვის თქმით, **"რუსული მხარე ვერსად დაემალება აფხაზი და ოსი მოსახლეობის პასპორტიზაციაზე ჩვენს გაურკვეველ ლოიალობას".**

არბატოვი ამტკიცებს: გენადი სელეზნიოვმა შესანიშნავად იცის, რომ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ხელშეწყობით, აფხაზური და ოსური მხარეები საკუთარი მოქალაქეებისათვის რუსეთის პასპორტების ლეგალიზებას მიმართავენ. **"სამწუხაროა, რომ ამ ღონისძიების მთავარი მოტივია კონფლიქტურ რეგიონებში საქართველოს იურისდიქციის შეზღუდვა,"** - ამბობს არბატოვი.

მოსკოვის პოლიტიკური წრეების ზოგიერთი წარმომადგენლის თვალსაზრისი არ ემთხვევა პარლამენტის თავმჯდომარის ასეთ პოზიციას.

ფრაქცია "იაბლოკოს" ერთ-ერთმა ლიდერმა **ვიაჩესლავ იგრუნოვმა** "24 საათისათვის "გაკეთებულ კომენტარში აღნიშნა, რომ **"ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფაზე, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ასეთი რესურსით ჩვენ ხსენებული კონფლიქტების დარეგულირებას ვერ მოვახერხებთ. აქ საჭიროა ისევ პრეზიდენტების პოლიტიკური ნება, რათა მომჩივანმა მხარემ კატეგორიულ ფორმაში მოსთხოვოს მოპასუხეს პრინციპული პოზიციის დაფიქსირება. ვლადიმირ პუტინი კი ამ თემაზე დუმილს ამჯობინებს".**

ფაქტია, რომ რუსეთის პარლამენტის ხელმძღვანელობა ანგარიშს არ უწევს საკუთარი პრეზიდენტის მიერ საჯაროდ დეკლარირებულ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. ისიც ფაქტია, რომ თვითონ გენადი სელეზნიოვს არაეთგზის აღუნიშნავს პარლამენტის მიერ ამ პრინციპის განუხრელად დაცვა და გატარება. მაშინ რა მოხდა ახლა და რამ გააღიზიანა ასე რუსეთის პარლამენტის დელეგაცია ბერლინში?

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს საელჩოში არ იცოდნენ, თუ როგორ იქნა საკითხი დაყენებული ბერლინში, ამიტომ კომენტარებისაგან თავი შეიკავეს, მაგრამ ჩვენთან მოსაუბრე ერთ-ერთმა დიპლომატმა განაცხადა, რომ რუსი პარლამენტარების წინაშე მოსკოვში **"არაერხელ გამოვხატეთ საკუთარი პოზიცია აფხაზი და ოსი მოსახლეობის პასპორტიზაციაზე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენჯერმე პროტესტის ნოტებიც გადავეცით და თუ სელეზნიოვი საქმის კურსში არ არის, მით უარესი სელეზნიოვისათვის".**

ახლა საკითხავია, როგორ პასუხს გასცემს სელეზნიოვის დემარშს ქართული მხარე, რომელიც, პირველ რიგში, თავადაა "უმძიმესად შეურაცხყოფილი".

# „ტრადიციონალისტი" შალამბერიძე შევარდნაძეს უჩივის

ვერიკო თევზაძე

*კახეთის რეგიონში რვა გამგებლის უკანონოდ დანიშვნის გამო ალექსანდრე შალამბერიძეს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს საკონსტიტუციო სასამართლოში.*

შალამბერიძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ იგი საქართველოს დანარჩენ რეგიონებში არსებულ სიტუაციასაც შეისწავლის და ამის შემდეგ შეადგენს სარჩელის ტექსტს. "ტრადიციონალისტის" თქმით, კახეთში გამგებლების დანიშვნა, წინ უსწრებს მათი უფლებამოსილების ცნობას, რაც კანონის უხეში დარღვევაა. მაინცადამაინც კახეთით რატომ დაიწყეთ? – ამ შეკითხვაზე შალამბერიძემ უპასუხა, რომ მათ ამ რეგიონის შესახებ ყველაზე ადრე მიაწოდეს ინფორმაცია და ამაზე, გარკვეულწილად, მედეა მეზვრიშვილის ოდიოზურმა ფიგურამაც იქონია გავლენა.

შალამბერიძის აზრით, "მოქკავშირი" ცდება, როცა ფიქრობს, რომ კახეთში, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, იქაური გამგებლების დახმარებით, მოაგროვებს ხმებს. **"2003 წლისათვის საქართველოში სულ სხვა სიტუაცია იქნება – ხალხი უკვე აღარ ენდობა დანიშნულ თანამდებობის პირებს. ჩვენ ვიწყებთ ახალი "პოლიტიკური მესიჯის" გავრცელებას: "საქართველო პრეზიდენტის მიერ დანიშნული გუბერნატორებისა და გამგებლების გარეშე." 2003 წლამდე ამ მოძრაობამ საყოველთაო ხასიათი უნდა მიიღოს."**

თუკი ალექსანდრე შალამბერიძე საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესს მოიგებს, ამის შემდეგ "ტრადიციონალისტები" შევარდნაძის იმპიჩმენტს მოითხოვენ, წაგების შემთხვევაში კი, კონსტიტუციის შესაცვლელად იბრძოლებენ. დღევანდელ კონსტიტუციაში, შალამბერიძის თქმით, ჩადებული არ არის პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის მექანიზმი.

ჯერჯერობით უცნობია, როდის შეიტანს სარჩელს ალექსანდრე შალამბერიძე. იგი ელოდება ცესკოს მონაცემებს, სხვა რეგიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს საკმაო დრო აქვს იმისათვის, რომ შესაგებებელი სარჩელის შინაარსი მოიფიქროს.

## "იზვესტია" მთავრობამ დაიბრუნა

მაია ურუშაძე

მოსკოვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოება "საგამომცემლო სახლი "იზვესტია"-ს შექმნის შესახებ, რომლის ერთ-ერთი აქციონერიც არასახელმწიფო საპენსიო ფონდი "ლუკოილ-გარანტი" გახლავთ. საქმე აღძრა რუსეთის პრეზიდენტის საქმეთა სამმართველომ. სასამართლოს დადგენილებით, სახელმწიფო გამომცემლობა "იზვესტიას" ქონება, რომელიც "საგამომცემლო სახლ "იზვესტიას" საწესდებო კაპიტალში იყო შეტანილი, სახელმწიფოს უკან უბრუნდება. ამ ქონების მთავარი ნაწილი – პოლიგრაფიული კომპლექსია, რომელიც მოსკოვში, "იზვესტიას" შენობაში, პუშკინის მოედანზე მდებარეობს.

"gazeta.ru"-ს ინფორმაციით, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტ პუტინის საქმეთა სამმართველოს მხრიდან "იზვესტიაზე" თავდასხმის პირველი შემთხვევა არ არის. წლის დასაწყისში სკანდალი აგორდა იმის გამო, რომ პრეზიდენტის საქმეთა სამმართველო, თითქოსდა, რედაქციისთვის ბრენდის (საფირმო ნიშნის) წართმევას აპირებდა. მაშინ საქმე პრეზიდენტის მიერ "იზვესტიას" მონახულებისთანავე შეწყდა, როცა პუტინის საქმეთა მმართველი ვლადიმერ კოჟინი "იზვესტიას" ბრენდის გამოყენებისთვის "ერთობლივი ვარიანტის პოვნის" შესახებ ალაპარაკდა.

"საარბიტრაჟო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სახელმწიფოს მხრიდან კიდევ ერთი ნაბიჯია თავად ბრენდ "იზვესტიასთვის" წარმოებულ ბრძოლაში, რაც აშკარად არ აწყობს გაზეთ "იზვესტიას" რედაქციას. თუმცა, გაზეთში ეს საკითხი არ აწუხებთ და თვლიან, რომ ეს დავა "ლუკოილისა" და სახელმწიფოს საქმეა", - წერს "gazeta.ru. არადა, სახელმწიფოს აქვს 1992 წლის იანვრით დათარიღებული, "როსპატენტის" მიერ დარეგისტრირებული მოწმობა, რომლის თანახმადაც სახელი "იზვესტია" ეკუთვნის შესაბამის პოლიგრაფიულ საწარმოს. ახლა, როცა ეს პოლიგრაფიული საწარმო პრეზიდენტის საქმეთა სამმართველოს კონტროლის ქვეშაა, ბრენდი "იზვესტია" ავტომატურად სახელმწიფო კუთვნილებაში გადავიდა".

"ლუკოილ-გარანტში", რომელმაც ტიპოგრაფიაზე კონტროლი დაკარგა, მომხდარს კომენტარს არ უკეთებენ და მხოლოდ აცხადებენ, რომ მათ ძველებურად ეკუთვნით სააქციო საზოგადოება "საგამომცემლო სახლი "იზვესტია"-ს" 50 პროცენტი. პუტინის საქმეთა სამმართველოს პრეს-სამსახურის უფროსი ვიქტორ ხრეკოვი კი უარყოფს ჟურნალისტებისთვის ბრენდის ასეთი უღირსი მეთოდით წართმევის ფაქტს. მისი განცხადებით, "იზვესტიას" რედაქციას აქვს რაღაც დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ბრენდი რედაქციას ეკუთვნის. ახლა საქმეთა სამმართველომ და გაზეთმა თავიანთი ახალი სამართლებრივი ურთიერთობები ბრენდ "იზვესტიასთან" დაკავშირებით ოფიციალურად უნდა გააფორმონ. ბრეკოვის თქმით, გაზეთი არ დაიხურება და "იზვესტიასთვის" ბრენდის წართმევას არავინ არ აპირებს.

რაც შეეხება "ლუკოილ-გარანტთან" ურთიერთობას, ხრეკოვის თქმით, თავიდან პუშკინზე მდებარე შენობაში მედიაკომპლექსის ყოველგვარი ტიპოგრაფიის გარეშე შექმნა იგეგმებოდა, მას შემდეგ კი, რაც დრო გავიდა და "საგამომცემლო სახლი "იზვესტია" საერთოდ არ ამოქმედდა, სახელმწიფომ გადაწყვიტა გამოსულიყო ამ პროექტიდან და ახლა სახელმწიფო ქონების დაბრუნების პროცესი მიმდინარეობს.

## ინვესტორებმა 2001 წელს 2,6 ტრილიონი დოლარი დაკარგეს

2001 წელს, საფონდო ბირჟებზე კრიზისის შედეგად, მსოფლიოს უმდიდრესმა ინვესტორებმა 2,6 ტრილიონი დოლარი დაკარგეს. "როიტერის" ცნობით, ეს დანაკარგი შვეიცარიის ბანკების შესაძლო გაკოტრებისას მიღებული ზარალის ტოლფასია, რომელთა აქტივებიც, დაახლოებით, სამი ტრილიონი დოლარია.

Boston Consulting Group-ის ექსპერტებმა მსოფლიოს 60 უმსხვილესი საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლები გამოკითხეს. მათი დასკვნის მიხედვით, კრიზისი ინვესტორთა ძალზე მცირე ნაწილს არ შეეხო.

როგორც Boston Consulting Group-ის ექსპერტები ვარაუდობენ, შექმნილი ვითარება საბანკო სექტორში გაერთიანების პროცესს გამოიწვევს.

## Sony და Toshiba პერსონალური კომპიუტერების ექსპორტს ზრდიან

იაპონიის უმსხვილესი კომპანიები - Sony და Toshiba 2002 საფინანსო წელს მსოფლიო ბაზარზე პერსონალური კომპიუტერების გაყიდვების გაზრდას აპირებენ. ამით ეს ორი იაპონური სამრეწველო გიგანტი დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ცდილობს.

იაპონიაში მიკროსქემების უმსხვილესი მწარმოებელი Toshiba გაყიდვების გაზრდას 19,1 პროცენტით აპირებს. რაც შეეხება Sony-ს, ეს კომპანია 2002 წელს 2,6 მილიონი პერსონალური კომპიუტერის გაყიდვას აპირებს.

## სამხრეთკორეული ავტოგიგანტების მუშები გაიფიცნენ

კომპანია kia-ს პროფკავშირები აპირებენ გაფიცვის მასშტაბის გაფართოებას, რომელიც მუშახელისთვის ხელფასის მომატების მოთხოვნით მიმდინარეობს. გაფიცვა გამოიწვია ინფორმაციის გავრცელებამ kia-სა და Hyundai-ს პროდუქციის გაყიდვების ზრდის შესახებ.

კომპანია Hyundai-ს ხელმძღვანელობამ შეძლო მუშახელთან საერთო ენის გამონახვა და ამით ფართომასშტაბიანი გაფიცვა თავიდან აიცილა. რაც შეეხება kia-ს, მისი ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიას, გაფიცვის შედეგად, ათობით მილიონი დოლარის ზარალი მიადგა.

## Fiat-ის მფლობელებს გადასახადებისგან ათავისუფლებენ

იტალიის მთავრობა Fiat Auto-ს ეხმარება, რაც იმაში გამოხატა, რომ მთავრობამ სამი წლის მანძილზე გადასახადებისგან გაათავისუფლა Fiat Auto-ს მიერ გამოშვებული ახალი მცირელიტრაჟიანი და ეკოლოგიურად სუფთა ავტომანქანების მფლობელები.

არადა, Fiat Auto-ს კარგი დღეები ნამდვილად არ უდგას. მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიის ვალები, გაყიდვების მოცულობა კი დაეცა. კომპანია გაკოტრების ზღვარზეა. ამ მიზნით, Fiat Auto-ს ხელმძღვანელობამ Ferrari-ის აქციების 35 პროცენტის გაყიდვა გადაწყვიტა.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 3–9 ივლისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6527 | 0.6433 | 0.0055 |
| US$ | 1.5322 | | 0.9855 | 0.0084 |
| €uro | 1.5545 | 1.0148 | | 0.0085 |
| ¥en | 181.9 | 118.73 | 117.01 | |

### 2002 წლის 9 ივლისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1831 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3921 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4876 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2150 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3263 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1865 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0702 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4544 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3809 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1573 ლარი |

# დეიკალო "თბილგაზმა" საგონებელში ჩააგდო

## კანცელარიის დაპირება – დღეს თბილისს გაზი ექნება

პირველი გვერდიდან

თებერვლის ხელშეკრულების თანახმად, მისი გაფორმების დღიდან "თბილგაზმა," მიმდინარე დავალიანებებთან ერთად, ყოველთვიურად უნდა გადაიხადოს ძველი დავალიანებების 30 პროცენტი. როგორც "საქგაზში" აცხადებენ, დღემდე ამ მიმართულებით ერთი თეთრიც არ არის გადახდილი და ამ თანხამ პირველი ივლისისათვის 4,5 მილიონი ლარი შეადგინა.

დეიკალომ გუშინ გამართულ ბრიფინგზე არ დაასახელა თბილისისათვის გაზის მიწოდების სანაცვლოდ გადასახდელი თანხის რაოდენობა, თუმცა აღნიშნა, რომ მილიონ შვიდასი ათასი ლარი ამისთვის საკმარისი აღარ იქნება. "საქგაზის" ხელმძღვანელმა ისიც განაცხადა, რომ მათი პოზიცია არ შეცვლილა. **"ჩვენ არ შეგვიცვლია მოთხოვნა. ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ ერთს, რომ ქართულმა მხარემ შეასრულოს ხელშეკრულების პირობები. რის საფუძველზე არ უნდა მოითხოვოს "საქგაზმა" ვალების გადახდა და ხელშეკრულების პირობების შესრულება? მაშინ, როცა მილიონ შვიდასი ათასი ლარიც კი არ არის გადახდილი, როცა არ არსებობს არანაირი იურიდიულად გაფორმებული დოკუმენტი ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ, რის საფუძველზე უნდა აღვადგინოთ გაზის მიწოდება და რის საფუძველზე არ უნდა მოვიქცეთ ასე, როგორც ვიქცევით? ყოველივე ამის შემდეგ გეკითხებით, რა პირობები დაარღვია "საქგაზმა"?** – ჟურნალისტებს შეეკითხა დეიკალო და თავის შეკითხვას იქვე თვითონვე უპასუხა: **"არანაირი."**

ლეონიდ დეიკალოს განცხადებით, "თბილგაზი" "საქგაზისაგან" 132 ათას კუბურ მეტრ გაზს ითხოვს. იმ შემთხვევაში თუ "იტერას" შვილობილი კომპანია დედაქალაქს ბუნებრივი აირის მიწოდებას აღუდგენს, თბილისის მარცხენა სანაპირო, საერთოდ, ბუნებრივი აირის გარეშე დარჩება. "საქგაზის" მონაცემებით, თბილისის მოსახლეობა ივლისში, 1999 წლიდან დღემდე, 4 წლის განმავლობაში, საშუალოდ, დღე-ღამეში 200 ათას კუბურ მეტრ გაზს მოიხმარდა. **"ახლა "თბილგაზმა" ოფიციალურად მოგვთხოვა 132 ათასი კუბური მეტრი გაზი. ეს არის იმაზე ცოტა, რაც თბილისმა ივნისში მოიხმარა. რას ნიშნავს ეს? გაურკვეველია. ვის უნდა ეყოს ეს გაზი? წარმოიდგინეთ, ამ რაოდენობით მარტო მარჯვენა სანაპიროს მოსახლეობასაც კი ვერ დააკმაყოფილებენ. ვინ მიიღებს გაზს? ეს ისეთი მოცულობაა, რომელიც ერთ დიდ მიკრორაიონს ან, ალბათ, მარტო საავადმყოფოებს ეყოფა. ვერ გავიგე, რა საჭიროა გაზი: უბრალოდ, რომ თქვან - გაზი გვაქვს და ჩვენი მოვალეობები შევასრულეთო, თუ იმისთვის, რომ გაზის მომხმარებლები, რომლებიც იხდიან გაზის საფასურს რეალურად კომფორტულად ცხოვრობდნენ?!"** – აღშფოთება ვერ დამალა "საქგაზის" გენერალურმა დირექტორმა.

გასულ კვირას მოსკოვში "იტერასთან" მოლაპარაკებებს აწარმოებდა ქართული დელეგაცია სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით. ამ მოლაპარაკებებს ესწრებოდნენ "საქგაზის" წარმომადგენლებიც. იმსჯელეს ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი იურიდიულად გაფორმებული დოკუმენტი არ არსებობს. ჯერჯერობით შეჩერდნენ იმაზე, რომ შეიქმნება კომისია, რომელიც იმუშავებს ამ საკითხებზე. მეორე საკითხი, რაც განიხილეს შეხვედრაზე, "თბილგაზს" შეეხებოდა. ქართულმა მხარემ "იტერას" "თბილგაზში" მართვის უფლებით შესვლა შესთავაზა. ქართულმა დელეგაციამ ამ წინადადებაზე პრინციპული უარი მიიღო. დეიკალოს განცხადებით, **"იტერას" არ უნდა, "თბილგაზის" მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არსებულ ვალებს კიდევ 50 მილიონი დოლარი დაემატოს"**, - განაცხადა ლეონიდ დეიკალომ, რომელიც ესწრებოდა მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებებს.

"იტერას" წარმომადგენელი თამაზ პატარიძე საქართველოს დელეგაციის თხოვნაზე უარის თქმას თავმოყვარეობის შელახვით ხსნის. **"იტერას პოზიცია გასაგებია, ნებისმიერი თავმოყვარე ადამიანი ასე მოიქცეოდა. კომპანიაც ხომ ადამიანებისგან შედგება?!"** "საქგაზის" ხელმძღვანელის განცხადებით, ამ მომენტისათვის ხელმოწერილი არ არის არც ერთი დოკუმენტი ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ. **"ეს დოკუმენტი საქართველოს მთავრობას ერთი თვის წინ უნდა წარმოედგინა, თუმცა, დღესაც არაფერია "იტერაში" მისული"**, - განაცხადა ლეონიდ დეიკალომ.

"საქგაზის" გენერალური დირექტორი საქართველოს კანონმდებლობის დაუხვეწაობაზეც ალაპარაკდა. მისი განცხადებით, **"საქართველოს კანონმდებლობაში ხშირად ისეთი ცვლილებები შეაქვთ, რომლებიც "საქგაზის" ინტერესებს ბღალავს. ერთ-ერთი ცვლილების მიხედვით, "საქგაზს", მისი უფლებების დაცვისას, არ შეუძლია, დააყადაღოს იმ საწარმოთა ქონება, რომლებშიც სახელმწიფოს წილი 50 პროცენტზე ნაკლები არ არის. ეს საკმაოდ ართულებს ამ საწარმოებიდან (პირველ რიგში, ეს "თბილგაზს" ეხება) დავალიანების ამოღების პროცესს."**

# აჭარის საბაჟო ცენტრალურ ბიუჯეტში, თანხების ნაცვლად, საბანკო ანგარიშებს აგზავნის

სოფო კვინტრაძე

რამდენიმე წელია, თბილისსა და ბათუმს შორის გაუთავებლად მიმდინარეობს დავა საბაჟო და საგადასახადო შემოსავლების ცენტრალურ ბიუჯეტში გადარიცხვასთან დაკავშირებით. თუმცა, დღემდე არ არის მიღწეული კონკრეტული შეთანხმება, რომლის თანახმადაც, აღნიშნული პრობლემა მოგვარდება. საბაჟო დეპარტამენტის პრეს-სამსახურის უფროსის, ხათუნა ბიწაძის ინფორმაციით, აჭარის საბაჟომ ივნისის თვის გეგმა, რომელიც სამი მილიონ სამასოთხმოც ათას ლარს შეადგენდა, გადაჭარბებით შეასრულა. ბათუმის საზღვაო ბანკში გახსნილ ანგარიშზე აჭარის საბაჟომ ოთხი მილიონ სამას სამოცდახუთი ათასი ლარი შეიტანა. თუმცა, აღნიშნული თანხა არ გადაირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში. საბაჟო დეპარტამენტი გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ აჭარიდან გადმოგზავნილი ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე ფლობს, რომელსაც თან საზღვაო ბანკის ანგარიშიც ახლავს. ინფორმირებული წყაროს ცნობით, ივნისის თვეში აჭარიდან ცენტრალურ ბიუჯეტში მხოლოდ ფირმა "ომეგამ" გადმორიცხა სამასი ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის უფროსი დავით რამიშვილი ადასტურებს ინფორმაციას თანხების არგადმორიცხვის შესახებ.

**"მთელი წლის განმავლობაში აჭარიდან სახელმწიფო ხაზინაში არც საბაჟო და არც საგადახადო თანხები არ შემოსულა, ანუ ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი თანხა ხაზინის ანგარიშზე არ დამჯდარა,"** – აცხადებს დავით რამიშვილი.

საგადასახადო შემოსავლების ექს-მინისტრის, მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ქვეყნის ხელისუფლება არ გამოხატავს სერიოზულ დაინტერესებას აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად.

**"ჩემი მინისტრობის პერიოდში ეს საკითხი მოგვარებული იყო. საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ შეძლო შეთანხმების მიღწევა ასლან აბაშიძესთან და 2000 წლის აგვისტოდან 2001 წლის მაისამდე აჭარიდან საბაჟო და საგადასახადო შემოსავლები ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხებოდა. ასე რომ, ხელს აჭარისკენ ნუ იშვერენ, საჭიროა შესაბამისი პოლიტიკური ნება და ეს პრობლემა გადაიჭრება. დღეს კი გამოდის, რომ ორმაგ ბუღალტერიასთან გვაქვს საქმე, რადგანაც ეროვნულ ბანკში არის ოფიციალური დოკუმენტი თანხების დარიცხვის შესახებ, მაგრამ რეალურად ამ თანხებს ვერ ვხარჯავთ,"** – აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი. მისი თქმით, დიდი ხანია მიმდინარეობს მსჯელობა აჭარაში რეგიონული ხაზინის შექმნის თაობაზე, მაგრამ ეს საკითხიც ხელისუფლების პასიურობის გამო ჭიანურდება. სახელმწიფო ხაზინის უფროსი დავით რამიშვილი კი აცხადებს, რომ აჭარაში ხაზინის გახსნას მხოლოდ ტექნიკური პრობლემები უშლიდა ხელს, რაც, ნაწილობრივ, უკვე მოგვარებულია.

ფრაქცია "ერთიანი საქართველო"-ს თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე აჭარის რეგიონსა და ცენტრს შორის საბიუჯეტო ურთიერთობის მოუგვარებლობას ასევე ცენტრალურ ხელისუფლებას აბრალებს.



*დავით რამიშვილი*

იური ლობოდინის ფოტო

**"აჭარის ხელმძღვანელობა კონსტრუქციულად არის განწყობილი პრობლემის მოსაგვარებლად. ასლან აბაშიძეს რომ სთხოვონ, არ გადმორიცხო ცენტრალურ ბიუჯეტში თანხაო, მაინც გადმორიცხავს, მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებაში არ არის ამ საკითხისადმი თანამიმდევრული მიდგომა. ამ პრობლემას სჭირდება ეკონომიკურ და არა პოლიტიკურ ჭრილში განხილვა,"** – აცხადებს გიორგი თარგამაძე.

აღნიშნული პრობლემა, პრაქტიკულად, 1998 წლიდან დგას ქვეყნის ხელისუფლების წინაშე, მაგრამ მას აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს. ბათუმსა და თბილისს შორის საბიუჯეტო ურთიერთობები ისევ მოუგვარებელია. მხარეები პრობლემის არსებობაში, როგორც წესი, ერთმანეთს ადანაშაულებენ. ორმხრივი დიალოგი საკითხის გარშემო კი, ჯერჯერობით, არ ჩანს. არადა, თუ საბოლოოდ არ გაირკვა ცენტრსა და რეგიონს შორის უფლება-მოვალეობანი, პრობლემა ყოველთვის იარსებებს.

# 12,4-მილიარდ დოლარიანი "აფიორა"

თორნიკე შარაშენიძე

კორპორაციული სკანდალების კასკადს ამერიკაში ბოლო არ უჩანს. ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ფარმაცევტული კომპანიის "მერკის" განყოფილებამ თავის შემოსავალში აღრიცხა 12,4 მლრდ. დოლარი, რომელიც სინამდვილეში არასოდეს მიუღია. ეს ასტრონომიული თანხა, რომელიც "მერკის" განყოფილება "მედკო ჰელს სოლუშენზმა" თავის საბუღალტრო ანგარიშში დააფიქსირა, წარმოადგენს იმ ფულს, რომელსაც კლიენტები აფთიაქში სპეციალური ბარათის გამოყენებისას იხდიან. ამ ბარათის გამოყენებისას მედიკამენტის ფასის დიდ ნაწილს სადაზღვევო კომპანია ფარავს და კლიენტი მცირე ნაწილს - 10-15 დოლარს – იხდის, მაგრამ ეს ფულიც აფთიაქში რჩება. "მედკომ" კი ყოველივე ეს შემოსავალში დააფიქსირა.

კომპანიის ხელმძღვანელობას შეუძლია იმით იმართლოს თავი, რომ ეს თანხა აღირიცხებოდა როგორც შემოსავალში, ასევე გასავალშიც. ასე რომ, ბალანსი, საბოლოო ჯამში, არ დარღვეულა. მაგრამ შემოსავლის ასეთმა გაბერვამ არარეალური სურათი შექმნა "მერკის" ფინანსური მდგომარეობის შესახებ და, შესაბამისად, გაბერა მისი აქციების ფასიც.

"მედკომ" ბარათების ტრანსაქციის შემოსავლად აღრიცხვას 1999 წელს მიჰყო ხელი - მაშინ 2,8 მლრდ. დააფიქსირა. შემდეგ ეს მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა: 2000 წელს - 4 მლრდ. დოლარით, 2001 წელს კი - 5,5 მლრდ. დოლარით. სხვათა შორის, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, შემოსავლის გაბერვის ამგვარ ხერხს ფარმაცევტულ კომპანიათა უმრავლესობა მიმართავს.

აღსანიშნავია, რომ "მერკი" დიდი ხანია, გეგმავს "მედკოს" გაყიდვას, მაგრამ ამ საქმეს საშველი, რატომღაც, არ ადგება. შეიძლება, კომპანიას არ ემეტება თავისი განყოფილება, რომელიც ერთობ გამოცდილია გაყალბებაში და ამით დიდი წვლილი შეაქვს აქციათა კურსის ზრდაში.

და მაინც, "ენრონთან", "უორლდკომთან" და სხვებთან შედარებით, "მერკის" დანაშაული არც ისე სერიოზულია. მთავარია, რომ, ზემოთ ჩამოთვლილთაგან განსხვავებით, ფარმაცევტულ კომპანიას ზარალი არ დაუმალავს და სუფთა მოგება არ გაუზვიადებია. "მერკს" საქმეები მშვენივრად მისდის და გაკოტრებაზე ფიქრი, ჯერჯერობით, სასაცილოა.

კორპორაციულ თაღლითობათა პირველი მერცხლის, "ენრონის" საგას კი ბოლო არ უჩანს. სენატის სპეციალურმა საგამოძიებო ქვეკომიტეტმა ახლახან დაადგინა, რომ კომპანიის თავკაცები საქმის კურსში იყვნენ ორგანიზაციაში შექმნილი ფინანსური კრიზისის თაობაზე და ამიტომ მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი ათასობით აქციონერის წინაშე, რომლებსაც "ენრონის," ამერიკის უდიდესი ენერგოგამანაწილებელი კომპანიის აქციათა ნაცვლად, ფარატინა ქაღალდები შერჩათ ხელში.

შეგახსენებთ, "ენრონი" შარშან დეკემბერში გაკოტრდა, რაც უდიდეს კორპორაციულ კრახად იქცა ამერიკის ისტორიაში. პასუხისმგებლობა ამ მოვლენის გამო კომპანიის ხელმძღვანელობამ საკუთარ თავზე არ აიღო. ყველა აცხადებდა, რომ არაფერი უწყოდა შექმნილ ვითარებაზე და, საბოლოოდ, ხელი კომპანიის აუდიტორს – "ანდერსენს" შეახოცეს. არადა, ახლა გაირკვა, რომ "ანდერსენის" წარმომადგენელმა, დევიდ დანკანმა, რომელმაც უკვე დამნაშავედ სცნო თავი "ენრონის" გაკოტრების გამო, ენერგოგიგანტის ხელმძღვანელობა გააფრთხილა და მიუთითა, რომ კომპანიის "რესურსები ზღვარზეა" და იგი "უფსკრულის პირას იმყოფება."

გარდა ამისა, სენატის ქვეკომიტეტი აცხადებს, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ საეჭვოდ არ მიაქცია ყურადღება "ენრონის" მთავარი ფინანსური ოფიცრის, ენდრიუ ფასტოუს მიერ კომპანიის გარეთ ამხანაგობების შექმნის ფაქტს. ხელმძღვანელობა ქარაფშუტულად ეკიდებოდა ყოფილი მთავარი აღმასრულებლის, კენეტ ლის მიერ ორგანიზაციის თანხების თავისი მოთხოვნილებებისათვის ხარჯვის ფაქტს.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, სენატის ქვეკომიტეტმა მხარი დაუჭირა კორპორაციული და აუდიტორული საქმიანობების მარეგულირებელი კანონების გამკაცრებას. აღსანიშნავია, რომ ახალი კანონპროექტი - აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობის გამკაცრების შესახებ უკვე წარდგენილია განსახილველად სენატში. იგი ითვალისწინებს ახალი, დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნას, რომელიც აუდიტორულ ფირმებს გააკონტროლებს.

# სახელმწიფო მშენებლობა თურქმენულად





*თურქმენბაში ერის გამაერთიანებელი მამა, კულტურა, რელიგია, ისტორია და მომავალი*

შოთა უტიაშვილი

თუ სწორია დებულება, რომ ისტორია ყოველთვის მეორდება, თანაც მეორედ - როგორც ფარსი, მაშინ "ყველა თურქმენის მამის" ისტორია სწორედ ამ ფარსს წარმოადგენს.

თუ "თურქთა მამა", იგივე ქემალ ათათურქი ისტორიაში შევიდა, როგორც ლიდერი, რომელმაც ოსმალთა იმპერიის ნანგრევებიდან ძლიერი და მდგრადი სახელმწიფო შექმნა, "თურქმენთა მამა" ანუ "დამოუკიდებელი ნეიტრალური თურქმენეთის პირველი პრეზიდენტი, დიდი საფარმურატ თურქმენბაში" ისტორიაში შევა, როგორც მეოცე საუკუნის დასასრულისა და ოცდამეერთეს დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და ექსცენტრიული მმართველი.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნიაზოვს, მაშინდელი თურქმენეთის კომპარტიის პირველ მდივანს, ძალზე რთული ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი. მას პოსტსაბჭოური ამორფული მასისაგან, ისტორიაში პირველად, უნდა შეექმნა დამოუკიდებელი თურქმენული სახელმწიფო. და არა მხოლოდ სახელმწიფო. მას უნდა შეექმნა თურქმენი ერი, თურქმენული კულტურა, გამოეგონებინა თურქმენული ისტორია და მითოლოგია და აეგო თურქმენული ისტორიული ძეგლები, ანუ, ფაქტობრივად, ცარიელ ადგილზე შეექმნა ერი-სახელმწიფო, თავისი ყველა ატრიბუტით. ეს მიზანი კი უაღრესად რთულად მისაღწევია თურქმენეთზე გაცილებით უფრო დიდი ისტორიისა და სახელმწიფოებრიობის მქონე ერებისთვისაც.

ამ ამოცანის გადაწყვეტა სხვადასხვა სახელმწიფოებმა სხვადასხვაგვარად სცადეს. ზოგმა ერის შემაკავშირებელ ფაქტორად რელიგია გამოიყენა, ზოგმა - ნაციონალიზმი, ზოგმა - საერთო ისტორია და ზოგმაც - საერთო მომავალი. თურქმენბაშიმ კი, რომლის სახელმწიფოშიც არც ნაციონალისტური განწყობები იყო მაინცადამაინც ძლიერი და არც რელიგიური, გადაწყვიტა თავად ქცეულიყო ერის გამაერთიანებლ ფაქტორად, მის მამად, კულტურად, რელიგიად, ისტორიად და მომავალის იმედად.

მან თავი სამუდამო პრეზიდენტად გამოაცხადა, თანაც იმგვარ პრეზიდენტად, რომელიც ხელისუფლების სამივე შტოს ხელმძღვანელობს. იგი აკონტროლებს ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ პარტიას - თურქმენეთის დემოკრატიულ პარტიას, რომლის ხელმძღვანელიც თვითონაა, და არჩევნებზე სტაბილურად აგროვებს ხმების 99,5 პროცენტს. იგი პირადად იღებს ყველა, თვით სრულიად უმნიშვნელო, გადაწყვეტილებასაც კი. იგი იმდენად ხშირად ცვლის კადრებს, განსაკუთრებით ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, რომ მთავრობაში სრული არაკომპეტენტურობა სუფევს. ისიც უნდა ითქვას, რომ თურქმენბაშის რეჟიმს, კლასიკური გაგებით, რეპრესიულს ძნელად თუ უწოდებ. ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობით, ქვეყანაში თითქმის არ არიან პოლიტპატიმრები, არავინ ებრძვის ოპოზიციასა და განსხვავებულ აზრს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი არ არსებობს, ანდა არ ჩანს.

სოციალური მომსახურების თვალსაზრისით, ეს ქვეყანა საბჭოთა ხელისუფლების "გაუმჯობესებულ ვარიანტს" წარმოადგენს. მოსახლეობას უფასოდ მიეწოდება წყალი, ბუნებრივი გაზი და შუქი, ლიტრი ბენზინი 2 ცენტი ღირს. ხელისუფლება აცხადებს, რომ სოციალური თანასწორობა მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, ამიტომ თანამდებობიდან მოხსნილ მაღალი თანამდებობის მოხელეებს სისტემატურად ართმევს ქონებას და მას "კანონიერ მფლობელს - თურქმენ ხალხს" უბრუნებს.

რაც შეეხება კულტურასა და რელიგიას, ნიაზოვმა აკრძალა ოპერა და ბალეტი, როგორც უცხო ეროვნული ტრადიციისათვის, შეზღუდა პრესა - იმ დონემდე, რომ მხოლოდ თვითონ აქვს გაზეთის ფლობის უფლება. მის სახეს დაინახავათ ყველგან: სახელმწიფო დაწესებულებებში, სკოლებში, ქუჩებში, ფულის ყველა ერთეულზე და ტელევიზიის ყველა არხზე. დაახლოებით ერთი წლის წინათ, მან დაწერა წიგნი - "რუჰნამა", რომელსაც უცხოეთში სრულ აბდაუბდად, თავად თურქემენთში კი არა მხოლოდ ცოდნისა და სიბრძნის უდიდეს წყაროდ, არამედ ბედნიერებისაკენ ერთადერთი ჭეშმარიტი გზის მაჩვენებლად მიიჩნევენ. "რუჰნამას" ასწავლიან სკოლაში, უფრო სწორად, იგი ერთადერთი წიგნია, რომელსაც სკოლაში ასწავლიან, მას კითხულობენ მეჩეთებში და, საერთოდაც, ფიქრობენ, რომ ერთადერთი - ყურანი თუ მივა მასთან ახლოს.

ნიაზოვი ქმნის თავისი ერის ისტორიასაც. რაკი ერთ კაცს, რაც უნდა ძლიერ უნდოდეს, ვერ იქნება მთელი ერის წარსული, თურქმენბაშმა თავისი ხალხი პართიელების შთამომავლად გამოაცხადა, ყველასათვის უცნობ ტომის ბელადებს, რომლებიც 1000 წლის წინ ცხოვრობდნენ, თურქმენი ერის დიდი წინაპრები უწოდა და ძეგლები დაუდგა.

თურქმენი ხალხის "ოქროს ხანის" სიმბოლო დედაქალაქის ახალი ცენტრია, რომლის ასაშენებლად და გასალამაზებლად ნიაზოვი არაფერს იშურებს. მის შუაგულში, მბრუნავ კვარცხლბეკზე თურქმენბაშის ოქროს უზარმაზარი ქანდაკება დგას. მბრუნავი კვარცხლბეკი იმისთვისაა საჭირო, რომ ქანდაკებამ, მზის მოძრაობასთან ერთად, იტრიალოს, რათა ქანდაკებას მზე ყოველთვის სახეში ანათებდეს. ოქროს კიდევ ერთი უზარმაზარი მონუმენტი დგას იმ ადგილას, სადაც დიდი თურქმენბაში ქვეყანას მოევლინა.

ნიაზოვი, როგორც ვთქვით, ქმნის თურქმენ ერსა და თურქმენულ ნაციონალიზმსაც. თუ საბჭოთა ეპოქაში ამ ქვეყნის ინტელიგენციასა და ადმინისტრაციას თითქმის მთლიანად რუსულენოვანი მოსახლეობა შეადგენდა, ამჟამად მათმა უმრავლესობამ ქვეყანა დატოვა და მათი ადგილები ეთნიკურმა თურქმენებმა დაიკავეს. ისინი აკონტროლებენ ამ ქვეყნის უზარმაზარ ბუნებრივ რესურსებსაც. იმისათვის, რომ თურქმენებმა თავი თავიანთი ქვეყნის სრულუფლებიან ბატონ-პატრონებად იგრძნონ, უცხოეთის - როგორც დასავლეთის, ისე რუსეთის - "მავნე ზეგავლენა" მინიმუმამდეა დაყვანილი. ახლახან მიღებული კანონის თანახმად, თუ უცხოელს თურქმენეთის მოქალაქეზე დაქორწინება სურს, მან სპეციალურ ფონდში 50 ათასი დოლარი უნდა შეიტანოს.

თურქმენეთის "ოქროს ხანის" დაფინანსება სწორედ ნავთობისა და გაზის ხარჯზე ხდება. თუმცა, აქედან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი ოქროს სასახლეებსა და ქანდაკებებს ხმარდება და არა ეკონომიკის განვითარებასა და სოციალური პრობლემების მოგვარებას. ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი პრეზიდენტის ფონდში იყრის თავს, სადაც, დასავლური წყაროების მიხედვით, უკვე 2,5 მილიარდი დოლარია აკუმულირებული, მაშინ, როდესაც ქვეყნის სავალუტო რეზერვები სულ 25 მილიონ დოლარს შეადგენს.

უზარმაზარი ბუნებრივი სიმდიდრის მიუხედავად, არაკომპეტენტურობა და კორუფცია სერიოზულად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. თურქმენეთის ნავთობისა და გაზის სამინისტროს მონაცემებით, ენერგეტიკული რესურსების ათვისებისათვის ქვეყანას, დაახლოებით, 30 მილიარდი დოლარის მოცულობის უცხოური ინვესტიციები სჭირდება. მაგრამ, თურქმენბაშის ექსცენტრიული რეჟიმის შემყურე, თვით ყველგან მყოფი და ყველაფრის მნახველი ნავთობკომპანიებიც კი ვერ ბედავენ ამ ქვეყანაში შესვლას.

შეპირებული "ოქროს ხანის" დადგომას კიდევ ერთი დიდი დაბრკოლება ეღობება – განათლების სისტემის თითქმის სრული კრახი. საშუალო განათლების ხანგრძლივობა 11-დან 9 წლამდე შემცირდა. თუმცა, ეს 9 წელიც თურქმენბაშისა და ნაციონალიზმის პროპაგანდას ხმარდება და არა რეალური ცოდნის მიღებას. დიდმა ბელადმა საბჭოეთის დროინდელი სახელმძღვანელოები აკრძალა, ახალს კი, თუ "რუჰნამას" არ ჩავთვლით, არავინ ბეჭდავს. ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სულ 3000 სტუდენტია, მეტის მიღება კანონითაა აკრძალული. სამეცნიერო ხარისხი დიდი ხანია აღარავის მიულია.

ნიაზოვი და მისი რეჟიმი საყოველთაო ირონიის ობიექტია. თუმცა, ხშირად ისინი, ვინც თურქმენბაშზე შაყირობენ, საკუთარი ქვეყნების ისტორიაში მსგავს "ერის გამაერთიანებლებს" დიდი პატივისცემით უყურებენ. ნიაზოვის შემთხვევა, ალბათ, კარგი მაგალითია იმისა, თუ რა განსხვავებაა თანამედროვე და არქაულ, ჭკვიან და სულელ მმართველებს შორის.

# რუსეთის და ცენტრალური აზიის პრეზიდენტების არაფორმალური შეხვედრა



*არაფორმალური შეხვედრა* REUTERS

კვირას ყაზახეთის ნავსადგურ აქტაუში რუსეთისა და ცენტრალური აზიის ოთხი ლიდერის არაფორმალური შეხვედრა დასრულდა. შეხვედრის ინიციატორი ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი იყო. შეხვედრის დღის წესრიგის მთავარი საკითხები ავღანეთში შექმნილი ვითარება, ანტიტერორისტული კამპანიის მიმდინარეობა და სათბობ-ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა გახლდათ. შეხვედრის დროს ხაზი გაესვა მრავალმხრივი თანამშრომლობის გავრცელების აუცილებლობას არა მარტო ნავთობისა და ბუნებრივი აირის, არამედ ელექტროენერგეტიკის განვითარების სფეროზეც. პრეზიდენტებმა ენერგორესურსების მსოფლიო ბაზარზე ერთობლივი გასვლის საკითხიც განიხილეს.

შეხვედრის ადგილი შემთხვევითი არ იყო. საქმე ის არის, რომ ყაზახეთი აპირებს შეუერთდეს სატრანსპორტო პროგრამას "ჩრდილოეთი-სამხრეთი", რომელსაც თავის დროზე რუსეთმა, ინდოეთმა და ირანმა მოაწერეს ხელი. ყაზახეთის ამ პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, რეგიონის სატრანსპორტო სისტემას კასპიის ნავსადგური აქტაუ შეუერთდება, რომელიც, ნაზარბაევის შეფასებით, არის "კავკასიასა და ირანში გასასვლელი გზა". ყაზახეთის ჩაბმა ამ პროგრამაში რუსეთის პოზიციებს შეასუსტებს, რადგან ყაზახეთის ნავსადგური აქტაუ და რუსეთის ნავსადგურები კონკურენტები არიან. გასული წლის განმავლობაში ყაზახეთმა აქტაუს ნავსადგურში 40 მლნ. დოლარი ჩადო, რუსეთმა კი კასპიის ზღვაში თავის რამდენიმე ნავსადგურს მხოლოდ 12 მლნ. დოლარი მოახმარა. ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, რუსეთის პოზიციებს კიდევ უფრო ასუსტებს.

შეხვედრას არ ესწრებოდა თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი. ნიაზოვის შეხვედრაზე არჩასვლის ზუსტი მიზეზი უცნობია. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ მიზეზი შეხვედრის მიზნებთან არის დაკავშირებული. შეხვედრის დროს პრეზიდენტებმა განიხილეს ევროაზიული საგაზო ალიანსის პრესპექტივები, რომელიც დე ფაქტო რუსეთისა და ყაზახეთისგან შედგება, ხოლო დე იურე კი ცენტრალური აზიის დანარჩენი სახელმწიფოების მხარდაჭერის მზადყოფნას აფიქსირებს. თურქმენბაშმა გაზაფხულზე ამ პროექტისადმი თურქმენეთის მხარდაჭერა დააფიქსირა, მაგრამ მას შემდეგ, როგორც ჩანს, მისი გეგმები შეიცვალა – მას უფრო პერსპექტიულად ტრანსავღანური გაზსადენის პროექტი მიაჩნია, რომელსაც (ჯერჯერობით მხოლოდ მორალურად) აშშ უჭერს მხარს.

შეხვედრის პროგრამის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ პრეზიდენტებმა ზღვისპირა დასასვენებელ ბაზაში, "კენდერლიში" გადაინაცვლეს, სადაც ნურსულთან ნაზარბაევის დაბადების დღე აღნიშნეს – მას 62 წელი შეუსრულდა.

*საერთაშორისო ამბები*

# ბუში ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმებას ითხოვს

3 ივლისს აშშ-ს კონგრესის ორივე პალატისათვის გაგზავნილ წერილში აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დსთ-ს 9 ქვეყნისათვის ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმებას მოითხოვს. აღნიშნული შესწორება, რომელიც 1974 წელს იქნა მიღებული, ებრაელების მიგრაციისათვის ხელის შეშლის გამო, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სავაჭრო სანქციებს აწესებდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კანონი ყოფილ რესპუბლიკებზე გავრცელდა. 2001 წელს ამ კანონის მოქმედება მხოლოს საქართველოსა და ყირგიზეთზე შეჩერდა, დანარჩენი ქვეყნები კი კვლავ დისკრიმინაციული სავაჭრო პოლიტიკის მსხვერპლად რჩებიან. ამჯერად ბუში შესწორების გაუქმებას, ბელორუსის გარდა, დსთ-ს ყველა დარჩენილ ქვეყანაზე მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ბუშმა ანალოგიური წინადადებით კონგრესს წელს აპრილში, რუსეთში ვიზიტის წინაც მიმართა, მაგრამ უარი მიიღო.

# ვაშინგტონში სომეხთა გენოციდის მუზეუმი გაიხსნება

"ამერიკის სომეხთა ასამბლეის" აღმასრულებელი დირექტორის, ჯამიანის განცხადებით, 2007 წელს ვაშინგტონში, თეთრი სახლისა და ჰოლოკოსტის მუზეუმის ახლოს 1914 წელს განხორციელებული სომეხთა გენოციდის მუზეუმი გაიხსნება. პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიაში მომხდარმა ამ მასობრივმა ხოცვა-ჟლეტვამ 1,5 მილიონი სომეხის სოცოცხლე შეიწირა. ამ ტრაგედიის საერთაშორისო აღიარება სომხური დიასპორისა და თავად სომხური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.

2000 წელს აშშ-ს კონგრესი ახლოს იყო ამ გენოციდის აღიარებასთან, მაგრამ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, რომელიც შიშობდა, ამას აშშ-თურქეთის ურთიერთობების გაუარესება არ მოჰყოლოდა, ეს პროცესი ბოლო წუთს შეაჩერა.

აქვე შეიძლება ითქვას, რომ სომხური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში, სომხეთსა და თურქეთს შორის მედიატორის როლი შეასრულოს. ამის შესახებ ერთ-ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა განაცხადა, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ისურვა.

*Arminfo*

# ოპოზიცია მუშარაფის დიქტატურის წინააღმდეგ

პაკისტანის ორმა მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ - მუსლიმურმა ლიგამ და სახალხო პარტიამ - დაგმო პრეზიდენტ ფერვეზ მუშარაფის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც ყოფილ პრემიერ-მინისტრებს, ბენაზირ ბჰუტოსა და ნავაზ შარიფს ხელისუფლებაში დაბრუნება ეკრძალებათ.

6 ივლისს მუშარაფმა გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ნებისმიერ პირს, ვისაც პრემიერ-მინისტრის ან პროვინციის მთავარი მინისტრის თანამდებობა ორჯერ ეკავა, ხელისუფლებაში მესამედ მოსვლა ეკრძალება. ბჰუტოსა და შარიფს 1988-1999 წლებში პრემიერ-მინსიტრის თანამდებობა ორ-ორჯერ ეკავათ.

ბჰუტოს ორგანიზაციის - პაკისტანის სახალხო პარტიის გენერალური მდივანი, რაზა რაბანი აცხადებს: "ეს ცვლილებები მიზნად ისახავს ქვეყანაში დიქტატორული მმართველობის გაძლიერებას". შარიფის პარტიის - პაკისტანის მუსლიმური ლიგის ლიდერის, საიედ ზაფარ ალი საჰის განცხადებით კი, მუშარაფმა "პოლიტიკიდან ორი დიდი პარტიისა და ორი დიდი ლიდერის მოშორება განიზრახა".

ფერვეზ მუშარაფმა ძალაუფლება ხელში 1999 წლის ოქტომბერში ჩაიგდო, სამხედრო გადატრიალების შედეგად. პრემიერ-მინისტრი ნავაზ შარიფი ღალატისა და კორუფციის ბრალდებით დააპატიმრეს და 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 2000 წლის დეკემბერში შარიფი საუდის არაბეთში გადაასახლეს. ბენაზირ ბჰუტო კი ლონდონსა და დუბაიში ცხოვრობს და პაკისტანში დაბრუნების შემთხვევაში მას კორუფციის ბრალდებით გაასამართლებენ.

2001 წლის ივნისში მუშარაფმა თავი ქვეყნის პრეზიდენტად გამოაცხადა. ერთი თვის წინ კი მან წარმოადგინა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც მას პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის გადაყენების უფლება ექნება. გარდა ამისა, მას შეეძლება პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის თავისი სურვილისამებრ წარდგენა. ცვლილებები, სავარაუდოდ, ოქტომბერში დანიშნულ არჩევნებამდე შევა ძალაში.

მუსლიმური ლიგა და სახალხო პარტია, რომლებიც 2000 წლის დეკემბერში შექმნილი "დემოკრატიის აღდგენის ალიანსის" (18 ოპოზიციურ პარტიას აერთიანებს) წევრები არიან, უზენაეს სასამართლოში "ბუშარაფის" (ეს მეტსახელი მუშარაფმა ბუშის მხარდაჭერის გამო მიიღო) წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებენ.

*Bloomberg*

# გროზნოში ტერორისტული ოპერაცია იგეგმება

ჩეჩენი ბოევიკები გროზნოში მსხვილ ტერაქტებს ამზადებენ, რომელთა დროსაც გამოყენებულ იქნება ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერებები. ეს ინფორმაცია "რია ნოვოსტის", ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციის მართვის რეგიონალური ოპერატიული შტაბის წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა ილია შაბალკინმა მიაწოდა.

შაბალკინის ინფორმაციით, ბოევიკები საკვებისა და წყლის მოწამლვას და, აგრეთვე, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მომწამლავი გაზების გამოყენებას გეგმავენ. შაბალკინი აცხადებს, რომ ამ მიზნით, ჩეჩნეთში გასაგზავნად საქართველოში, პანკისის ხეობაში გამზადებულია სწრაფმოქმედი შხამების დიდი პარტია. ეს გეგმა არაბული წარმოშობის ჩეჩენმა საველე მეთაურებმა - აბუ ხავსმა, აბუ საადმა და აბუ ბასთუმმა შეიმუშავეს. სამივე ბოევიკი გაზაფხულზე ჩეჩნეთში მოკლულ ხატაბთან დაახლოებული პირები არიან.

შაბალკინი მიიჩნევს, რომ, ამ ტერორისტული გეგმის განხორციელების შემთხვევაში, ყველაზე მეტად გროზნოს მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალდება. თუმცა, ეს ბოევიკებს არ აღელვებთ. შაბალკინმა გაიხსენა ბოევიკების რამდენიმე მცდელობა, გაზაფხულზე მომწამლავი ნივთიერებების გამოყენებით ტერაქტები განეხორციელებინათ. მაშინ ბოევიკების სამალავებიდან ამოღებულ იქნა დიდი რაოდენობით მომწამლავი ნივთიერებები, მათ შორის, დარიშხანი და მოწამლული არყის ათობით ბოთლი, რომელიც სამხედროებისთვის უნდა მიეყიდათ.

შაბალკინმა განაცხადა, რომ ფედერალური ძალები ტერაქტების აღმკვეთ ღონისძიებებს აწარმოებენ.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შტაბის წარმომადგენელმა კი "ინტერფაქსს" მიაწოდა ინფორმაცია, რომ პანკისის ხეობიდან ჩეჩნეთში საველე მეთაურის, რუსლან გელაევის ბოევიკები აპირებენ დაბრუნებას. მისი ინფორმაციით, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გადასასვლელად გელაევის მეომრებს საველე მეთაურის, უმაროვის ბოევიკები ამზადებენ. შტაბის შეფასებით, გელაევის რაზმში 200-250 წევრია.

*Газета.ru*

# საფრანგეთის საგარეო მინისტრის ვიზიტი მოსკოვში

კვირას მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დომინიკ გალუზო დე ვილპენი. ორდღიანი ვიზიტის დროს ვილპენი შეხვდება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს და მთავრობის წარმომადგენლებს. დაგეგმილია საკითხების ფართო სპექტრის განხილვა, როგორებიცაა რუსეთ-საფრანგეთის და რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობები და, აგრეთვე, ვითარება ახლო აღმოსავლეთში. საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ვიზიტი, აგრეთვე, მიზნად ისახავს საფრანგეთის პრეზიდენტის, ჟაკ შირაკის რუსეთში ვიზიტისთვის ნიადაგის მომზადებას.

*BBC*

# სიკეთე „სამარიტელთა ქისიდან„

ეთერ მამულაშვილი


ბავშვებს დიდი სათამაშო მოედანი ექნებათ
მარიკა ამირეჯიბიშვილის ფოტო

დღეიდან თბილისელ ბავშვებს ახალი, დიდი სათამაშო მოედანი ექნებათ. ის თბილისში აქამდე მოქმედი მოედნებისგან იმით განსხვავდება, რომ აქ მოსული ყველა ბავშვი, ატრაქციონებზე უფასოდ გაერთობა. მოედანი დიღომში, მაიაკოვსკის ძეგლის უკან გაიხსნა. საქანელები, ჩამოსასრიალებლები, გასაძრომი მთები და სხვა, ეს ყველაფერი საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ "სამარიტელთა ქისამ" საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას ერთი თვის წინ აჩუქა.

გუშინ წითელი ჯვრის საზოგადოებამ, მოედნის პრეზენტაცია მოაწყო. მოწვეულ სტუმართა უმრავლესობა, 10 წლამდე ბავშვები იყვნენ. სათამაშო მოედანს 4 წლის ქეთი ფალავანდიშვილის სახელი დაარქვეს. ეს გადაწყვეტილება წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტმა ნანა ყეინიშვილმა ასე ახსნა: **"ქეთის ბებია, ქალბატონი ქეთევან ფალავანდიშვილი უკვე მერვე წელია ჩვენი ორგანიზაციის ყველაზე აქტიური წევრია და მან ამ ხნის მანძილზე ბევრი კარგი საქმე გააკეთა".**

სხვათა შორის, "სამარიტელთა ქისამ" დღემდე საქართველოში ათამდე ჰუმანიტარული პროექტი განახორციელა და როგორც მისი დირექტორის, დევიდ კუკისგან შევიტყვეთ, ორგანიზაცია უახლოეს მომავალში კიდევ რამდენიმე საქველმოქმედო ღონისძიების განხორციელებას გეგმავს.

# რატომ ყიდულობენ ქუჩაში გამოტანილ საკვებს

ნანა ქადაგიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონის ამოქმედების შემდეგ, გარე მოვაჭრეთათვის პროდუქტის ჩამორთმევა კიდევ უფრო გაძნელდა, სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციას ყოველი კვირის ბოლოს აქვს გარე ვაჭრობის ადგილებიდან ამოღებული პროდუქტების სია. გასულ კვირას ინსპექციამ 320 ცალი გაფუჭებული კვერცხი, 100 კგ. თევზი, 89 კგ. ხორცი, 135 კგ. რძის პროდუქტები და 87 ცალი საკონდიტრო ნაწარმი ამოიღო. 20-დან 27 ივნისამდე კი გარე მოვაჭრეებს 162 ცალი "სიგა", 17,5 კგ. სათალი, 9 კგ. რძის პროდუქტი, 40 ცალი კვერცხი და 2080 ცალი მეორადი მოხმარების პოლიეთილენის ბოთლი ჩამოართვეს. თუმცა, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია. ქუჩაში გამოტანილი პროდუქციის დიდი ნაწილი შეუმოწმებელი რჩება.

ქალაქში გარე ვაჭრობის აღკვეთის ერთადერთი საშუალება მოვაჭრეთათვის პროდუქტის ჩამორთმევაა, რადგან მათი დაჯარიმების მექანიზმები არ არსებობს. თუმცა, პროდუქტის ამოღების პროცესიც ძალზე გართულდა. მაკონტროლებელს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მოვაჭრისთვის პროდუქტის ჩამორთმევის უფლება არ აქვს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინსპექტორის ხელფასი 30-40 ლარს არ აღემატება, ეს თანხა კი მაკონტროლებელს მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისკენ ნამდვილად ვერ უბიძგებს. მით უმეტეს, როცა გარე მოვაჭრეებს ხშირად პოლიციაც უმაგრებს ზურგს. ასეთი მდგომარეობის ფონზე ინსპექციისთვის მეტის მოთხოვნა ძნელია. არადა, ზაფხულობით მალფუჭებადი პროდუქტისგან მოსალოდნელი საფრთხე ერთიორად იმატებს და ყოველ კვირას ათეულკილოგრამობით ამოღებული პროდუქტები საშიშროებას ვერ ამცირებს. მოვაჭრეს დღეს წაართმევენ პროდუქტს, ხვალ ისევ გამოიტანს.

ქალაქის ხელმძღვანელობა ერთ რამეში ნამდვილად მართალია: ქალაქში გარე ვაჭრობა მანამ არ მოისპობა, სანამ კლიენტი ეყოლება. გასაკვირია, მაგრამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დღემდე ვერ ხვდება, რომ ქუჩაში გამოტანილი შეუმოწმებელი, მტვრიანი საკვები, მით უმეტეს, მალფუჭებადი, არ უნდა იყიდოს. იმასაც ვერ ვიტყვით, მოსახლეობა მაღაზიასა და ბაზარში ხელმოკლეობის გამო ვერ შედისო, ქუჩასა და მაღაზია-ბაზრებში პროდუქტის ფასები დიდად არ განსხვავდება. მაგალითად, მარჯანიშვილზე მდებარე მაღაზიებში ხორცისა და რძის პროდუქტები, გარეთ გამოტანილთან შედარებით, მხოლოდ 20-30 თეთრით ძვირად იყიდება. ეს, ალბათ, უფრო მოსახლეობის უცოდინარობის ბრალი უნდა იყოს.


გარე ვაჭრობა
იური ლობოდინის ფოტო

# საქართველო შიდსის ეპიდემიის მოლოდინში

მაკა ჯაიანი

*ბარსელონაში მიმდინარეობს შიდსის დაავადებისადმი მიძღვნილი მე-14 საერთაშორისო კონფერენცია. იგი 13 ივლისამდე გასტანს და მასში მონაწილეობას მსოფლიო ჯანდაცვის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრების, ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წამყვანი სპეციალისტები და თავად შიდსით ინფიცირებულები მიიღებენ. კონფერენციაზე შიდსის დარგში მსოფლიო მასშტაბით მიღწეულ სამეცნიერო-პრაქტიკულ და სამკურნალო შედეგებზე იმსჯელებენ. საქართველოს მხრიდან ღონისძიებაში მონაწილეობს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორი, თენგიზ ცერცვაძე.*

კონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე, გაეროს ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში გაეროს შიდსის პროგრამის 2001 წლის ანგარიშის პრეზენტაცია მოეწყო. შიდსის ეპიდემია უდიდესი ეპიდემიაა მსოფლიოს ისტორიაში და დღეს იგი მხოლოდ საწყის ფაზაშია, - ნათქვამია დოკუმენტში. არადა, მეცნიერების ნაწილი მიიჩნევდა, რომ სენი უკან დაიხევს, როგორც კი დაავადების რისკის მქონე ადამიანების რიცხვი შემცირდება. ფაქტია, შიდსის ეპიდემია განურჩევლად ყველას ემუქრება. ანგარიშის ავტორების გათვლებით, შემდგომ ოც წელიწადში, დაბალი და საშუალო განვითარების ქვეყნებში შიდსისგან 68 მილიონი ადამიანი მოკვდება. ამგვარი შედეგის შერბილება მხოლოდ მაღალგანვითარებული ქვეყნების სერიოზულ ფინანსურ დახმარებას შეუძლია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე, მსოფლიოში შიდსით 40 მილიონი ადამიანია ინფიცირებული. აქედან 34,7 მილიონი მოზრდილია, 16,4 მილიონი - ქალი, 1,4 მილიონი - 15 წლამდე ასაკის ბავშვი; გარდაცვლილია 21,8 მილიონი ადამიანი: 17,5 მილიონი - მოზრდილი, 9 მილიონი - ქალი, 4,3 მილიონი - ბავშვი.

შიდსის პროგრამის ანგარიშის მიხედვით, შიდსი ყველაზე სწრაფად საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელდა. დაავადება უკვე კარგა ხანია გასცდა ნარკომანებისა და ჰომოსექსუალების წრეს - უკრაინაში შიდსით ინფიცირებულთა 25 პროცენტს ჰეტეროსექსუალები შეადგენენ. ანგარიშში ნათქვამია, რომ შიდსის დონე სწრაფად იზრდება აზერბაიჯანში, ესტონეთში, ლატვიაში, შუა აზიის რესპუბლიკებსა და საქართველოში.

2002 წლის 19 მაისის მონაცემებით, საქართველოში შიდსის ვირუსით ინფიცირების 305 შემთხვევაა რეგისტრირებული. ინფიცირებულთაგან 38 ქალია, 266 - მამაკაცი. რეგისტრირებულთა 71 პროცენტი ინტრავენური ნარკომანია, 22 პროცენტი ჰეტეროსექსუალური გზით დაავადდა, 3,6 პროცენტი - ჰომო/ბისექსუალური კონტაქტით, 4 ადამიანი - სისხლის გადასხმის გზით, არის ინფექციის დედიდან შვილზე გადაცემის 3 შემთხვევა, გარდაცვლილია 44 ინფიცირებული.

ქართველი ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ოფიციალურად რეგისტრირებული შემთხვევების რიცხვი არ ასახავს საქართველოში შიდსის გავრცელების რეალურ სურათს. მათი ვარაუდით, ინფიცირებულთა რიცხვი 1500-ს აღწევს. **"გაეროს ექსპერტები გამუდმებით გვაფრთხილებენ, რომ ეპიდემიის აფეთქება გვიახლოვდება,** - ამბობს თენგიზ ცერცვაძე, - **დადგენილია, რომ შიდსი ვრცელდება ჩრდილოეთიდან სამხრეთით და დასავლეთიდან აღმოსავლეთით. თუ ამ დაავადების გავრცელების რუკას დახედავთ, ნახავთ, რომ ისრები, ფაქტობრივად, საქართველოზეა მომდგარი. შიდსი ჩვენს საზღვრებთან დგას, მაგრამ ჯერ არ გადმოულახავს იგი."**

შიდსის ეპიდემიამ უკვე იფეთქა უკრაინაში, მოლდოვაში, რუსეთში, სადაც შიდსის ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვი მილიონს მიუახლოვდა; აქედან 3000 ბავშვია. რუსი ექსპერტების განცხადებით, დაავადებულთა რეალური რიცხვის დასადგენად, ეს მაჩვენებელი მინიმუმ ხუთზე უნდა გამრავლდეს. რუსეთი ყურადღებას ინფიცირებულთა რაოდენობის ყოველწლიური მატებითაც იპყრობს. მარტო შარშან იქ 87 ათასი ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. გარდაცვლილთა საერთო რადენობა კი 2400 ადამიანს აჭარბებს. საქართველოსთვის ეს მონაცემები განსაკუთრებით საინტერესოა. მიგრაციული პროცესები შიდსის გავრცელებას კარგად უწყობს ხელს, რუსეთში კი 200 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქე იმყოფება.

**"ჩვენ, ჯერჯერობით, სტაბილურობას ვინარჩუნებთ,** - აცხადებს თენგიზ ცერცვაძე, - **საქართველოში დაავადებულთა მხოლოდ ნელი მატება აღინიშნება. შარშან ინფიცირებულთა მარტო 26 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა, დაახლოებით იმდენი, რამდენიც შარშანწინ. თუმცა, თავს ვერ დავიმშვიდებთ. საერთაშორისო ექსპერტები გვეუბნებიან, შემდეგი თქვენ ხართო."**




# ტყვიას დახვდება კონცეფცია

ნანა ქადაგიშვილი

ეთილიზებული ბენზინის რეალიზაცია საქართველოში 2000 წელს აიკრძალა. თუმცა, ერთი წლის შემდეგ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, ნორვეგიელ კოლეგებთან ერთად, გამოკვლევა ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ თბილისის ჰაერში ტყვიის კონცენტრაცია დასაშვებ ნორმას 7-ჯერ აღემატებოდა. გარემოს დამცველებმა მოსახლეობაც გამოიკვლიეს. ტყვიის შემცველობა მოქალაქეთა, განსაკუთრებით, ბავშვების სისხლშიც ნორმაზე მაღალი აღმოჩნდა. სისხლში ტყვიის შემცველობის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული სიდიდე 10 მიკროგრამ\დეკალიტრია, თბილისში მცხოვრებ ბავშვთა სისხლში კი ეს რაოდენობა 14,9 მიკროგრამ\დეკალიტრი იყო. ასე რომ, აკრძალვის მიუხედავად, ერთი წლის შემდეგ საქართველოში ტყვიის შემცველი ბენზინი კვლავ აქტიურად შემოდიოდა. აღნიშნული გამოკვლევის შემდეგ საქართველოში მსგავსი შემოწმება აღარ ჩატარებულა, საბაჟო დეპარტამენტი კი აცხადებს, რომ აკრძალული ბენზინი აღარ შემოდის. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტყვიის შემცველი ბენზინის რეალიზაციის აღსაკვეთად სათანადო მექანიზმები არ არსებობს, საბაჟოს განცხადება მთლად სარწმუნო არ უნდა იყოს.

ბენზინის ხარისხის მაკონტროლებელი მექანიზმები ახლა ყალიბდება. შარშან გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ შექმნა კონცეფცია და ახლა მუშაობს სახელმწიფო პროგრამაზე. კონცეფცია პარლამენტმა უკვე დაამტკიცა. მასში ბენზინის ხარისხის კონტროლის უპირველეს პირობად მიჩნეულია ადმინისტრაციული სანქციების გამკაცრება, მაკონტროლებელთა (ინსპექტორთა) ჯგუფის შექმნა და საბაჟო კონტროლის გაძლიერება. ცვლილებები უნდა შევიდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ამ ცვლილებების მიხედვით, ეთილიზებული ბენზინის მწარმოებელი 8 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება, ამ ქმედების ხელმეორედ ჩამდენი – 10 წლით, მაკონტროლებლისთვის ხელის შემშლელი – 3 წლით, ხოლო უკანონობის ჩამდენი მაკონტროლებელი – 7 წლით. გარემოს დამცველთა ცნობით, იუსტიციის სამინისტროს ამ ცვლილებებზე შენიშვნები არ გამოუთქვამს.

კორუფციის აღსაკვეთად კი, ზემო აღნიშნული კონცეფცია მაკონტროლებლის ხელფასის 2000 დოლარამდე გაზრდას ითვალისწინებს. **"ეს შესაძლებელია, თუკი უკანონოდ მოვაჭრეთაგან ამოღებულ ჯარიმასა და გარემოსდაცვით გადასახადს (რომელიც დღეს ბიუჯეტის შესავსებად გამოიყენება და გარემოს დაცვას აქედან ერთი თეთრიც არ ხმარდება) ინსპექტორის ხელფასისთვის გამოვიყენებთ. ამის გარდა, ბენზინის რეალიზატორებს მცირე რაოდენობის გადასახადი დაუწესდებათ და ეს თანხაც მაკონტროლებელთა ანაზღაურებას მოხმარდება",** - გვითხრა საავტომობილო საწვავის ხარისხის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის კოორდინატორმა გივი კალანდაძემ.

გარემოს დამცველთა ცნობით, აღნიშნული კონცეფციის განხორციელებაში დაგვეხმარება ამერიკის განვითარების სააგენტოც, ბენზინის ხარისხის შესამოწმებელ დანადგარებს მოგვაწვდის და მაკონტროლებლებს ტრეინინგს ჩაუტარებს. დანარჩენი კი ჩვენი ხელისუფლების ნებასა და მონდომებაზე იქნება დამოკიდებული.

# BBM-სეილი ქართველებისთვის

## ვის სჭირდება საქართველოში ბრიტანული ფილანტროპია

გიორგი გახელაძე

ნებისმიერი ქვეყნისთვის ეკონომიკური და ინტელექტუალური განვითარების საწინდარს კვალიფიციური კადრები წარმოადგენს. კაცობრიობის მწიგნობარმა ნაწილმა ამისთვის ბიბლიოთეკები, ახლა უკვე საინფორმაციო ცენტრები შექმნა. მათ ესმით, რომ ცოდნის მიღება მსურველისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს

ტექინფორმის ცოდნის ცენტრი 1999 წლიდან მოქმედებს. იგი შეიქმნა დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის DFID-ის პროგრამის BBM-ის (ბრიტანული წიგნები მენეჯერებისთვის) მხარდაჭერით. მისი საქმიანობა იმთავითვე ორი მიმართულებით წარიმართა: BBM-ის წიგნების პოპულარიზაცია და მათი ქართულ ენაზე გამოცემა. პროგრამა BBM მიზნად ისახავდა, რაც შეიძლება, ხელმისაწვდომი გაეხადა დაინტერესებულთათვის ბრიტანეთში გამოცემული მაღალი დონის წიგნები მენეჯმენტსა თუ ეკონომიკის სხვა საკითხებში. მათი ფასი აქ 3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე იქ, ბრიტანეთში. როგორც DFID-ის წარმომადგენელმა ლალი მესხმა განმარტა: **"BBM-ის პროგრამა 7 წლის განმავლობაში მოქმედებდა ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში."**

სულ სათარგმნად შეარჩიეს 60 წიგნი. თარგმნისა და გამოცემის საქმეში 20 ორგანიზაცია ჩაერთო. ტექინფორმი კი, რომელიც ამ წიგნების ექსკლუზიური დისტრიბუტერია, BBM-ის თარგმანებს გამოსცემს სერიით "მეწარმის ბიბლიოთეკა".

დღეს უკვე მზად არის 28 წიგნი: "როგორ დავიწყოთ? (როგორ დავაფუძნოთ საკუთარი ბიზნესი)", "შევიცნოთ მომხმარებელი", "ეფექტიანი კომუნიკაციის არსი", "ბიზნესი არაბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისთვის", "ადამიანური რესურსებისა და პერსონალის მენეჯმენტისთვის" და სხვა.

ცოდნის ცენტრის დირექტორის ნანი ჩხაიძის თქმით: **"ბრიტანეთის საელჩოს დახმარებით ბათუმის, ქუთაისისა და ფოთის უმაღლესმა სასწავლებლებმა 1000-მდე წიგნი შეიძინეს. სულ კი 1600 სახელმძღვანელოა გაყიდული."** BBM-ის ფასდაკლების პირობის თანახმად, ეს სქელტანიანი სოლიდური სახელმძღვანელოები, საშუალოდ, 15-18 ლარი ღირს. სამწუხაროდ, თბილისის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებისგან თანამშრომლობის დიდი სურვილი არ ჩანს. მაგრამ ხეირის ნახვა სხვანაირად სცადეს. მაგალითად, "მონეტარული და ფინანსური სისტემები" ბრიტანეთში თავად ჯორჯ სოროსმა გამოსცა ლონდონის საფინანსო ინსტიტუტისთვის. BBM-ის პროგრამით ამ და სხვა წიგნების საავტორო, სამთარგმნელო თუ საგამომცემლო უფლებების დასაცავი თანხა დაიფარა. ეს რამდენიმე ათეული ფუნტი სტერლინგია. **"თსუ-ს ერთმა "პატივცემულმა" პედაგოგმა კი ცალკეული თავების სახელდახელო შეუთანხმებელი თარგმანები წიგნის გამოსვლამდე რვეულებად გაამრავლა და სტუდენტებს შეასაღა. მთელ მსოფლიოში საგამომცემლო საქმე ბიზნესად იქცა, სწორედ საავტორო უფლებების მკაცრად დაცვის გამო. ჩვენში კი წესიერი გამომცემლობა ჰუმანიტარულ საქმიანობას ვერ გასცდა",** - აღშფოთებულია ამ ბესტსელერის მთარგმნელ-გამომცემელი თინათინ დიდებულიძე.

საგულისხმოა, რომ ვისაც არ ძალუძს ან არ სურს ამ წიგნების შეძენა, შეუძლია ცოდნის ცენტრში საბიბლიოთეკო მომსახურებით ისარგებლოს. იქვე შესაძლებელია ინტერნეტითა თუ ელექტრონული წიგნებით სარგებლობა. ამ ცენტრის მომსახურებას არ ერიდება მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა თუ ამერიკის სავაჭრო პალატა. თავისი 40-წლიანი ისტორიის მანძილზე ტექინფორმმა გაიარა გამოთვლითი ტექნიკის განვითარების ყველა სტადია. ამის საფუძველზე ცოდნის ცენტრში მოწყობილია მიკრომუზეუმიც, სადაც წარმოდგენილია ექსპონატები მექანიკური არითმომეტრიდან უახლეს პერსონალურ კომპიუტერამდე.

# იურიდიული განათლების კონცეფციას გილიგაშვილი წარადგენს

იურიდიული განათლების რეფორმის კონცეფციას უახლოეს მომავალში უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირების კომისიას წარუდგენს იუსტიციის მინისტრი, როლანდ გილიგაშვილი.

კონცეფციის თანახმად, იურისტის კვალიფიკაცია იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს აღარ მიეცემათ. ამ კვალიფიკაციის მისაღებად, კურსდამთავრებულმა უნდა ჩააბაროს ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდა, რომელსაც ჩაიბარებს რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის სპეციალური კომისია.

*მედია-ნიუსი.*

სასამართლო დარბაზი

# ძეგველიშვილები განაჩენის გასაჩივრებას აპირებენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

ერთკვირიან სკანდალურ და ხმაურიან სასამართლო გამოძიებას, გუშინ მოსამართლე იური ტაბუცაძემ წერტილი დაუსვა. მშობლების მკვლელობაში ბრალდებულ არჩილ ძეგველიშვილს სასამართლო კოლეგიამ ოცწლიანი პატიმრობის განაჩენი გამოუტანა.

მოსამართლემ არ გაიზიარა ადვოკატისა და განსასჯელის მტკიცება, რომ ძეგველიშვილმა სულიერი აღელვების ნიადაგზე დახოცა მშობლები. სამაგიეროდ, გაითვალისწინა ფსიქიატრ-ექსპერტის დასკვნა, რომელიც ირწმუნება, რომ არჩილ ძეგველიშვილი შერაცხადია. მას, უბრალოდ, აქვს ხასიათისმიერი ფსიქიკური ნაკლი, რაც ადვილად აღგზნებადობაში, ოპოზიციურობასა და ნერვულ ქმედებაში გამოიხატება.

განაჩენის გამოტანისას მოსამართლე დაეყრდნო ფსიქიატრ-ექსპერტის ჩვენებას, რომელმაც გამოიკვლია და შეისწავლა განსასჯელის ფსიქოლოგია და დაასაბუთა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში ძეგველიშვილს შეეძლო საკუთარი თავის კონტროლი. ერთი სიტყვით, სასამართლო გამოძიება ძირითადად წინასწარი გამოძიების დეტალებს დაეყრდნო, რომლის მიმდინარეობის დროსაც და-ძმა ძეგველიშვილებს საკუთარი ხელით აქვთ დაწერილი და დეტალურად აღწერილი მშობლების მკვლელობის ისტორია. სასამართლო გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებების იდენტური აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო გამოძიებამ დაადგინა, რომ არჩილ ძეგველიშვილმა შეგნებულად, განზრახ ჩაიდინა საზარელი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში.

მოსამართლე ტაბუცაძემ ასევე გააზრებულად ჩათვალა ძეგველიშვილის მოქმედება ჩადენილი მკვლელობის შემდეგ. "განსასჯელმა მშობლების მოკვლა მათთან მომხდარი ჩხუბის შემდეგ ჩაიფიქრა. დაუცადა მათ დაძინებას და უმწეო მდგომარეობაში მყოფნი დახოცა. დედა მოკლა იმიტომ, რომ მეუღლის მკვლელობა არ განეცხადებინა..." – ასეთია არჩილ ძეგველიშვილის განაჩენი.

უკვე მსჯავრდებული ძეგველიშვილი განაჩენს მშვიდად შეხვდა და ბადრაგს სთხოვა, სასწრაფოდ გაეყვანათ დარბაზიდან.



ნინო ძეგველიშვილი: "ვერაფერს დამიმტკიცებენ"

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მსჯავრდებულის დამ, ნინო ძეგველიშვილმა მოსამართლის გადაწყვეტილება დარბაზს გარეთ, უზენაესი სასამართლოს ფოიეში გააპროტესტა და მოსამართლეს ტენდენციურობაში დასდო ბრალი. წინა დღეების მსგავსად, მსჯავრდებულის და კვლავ იმეორებდა, რომ დედ-მამა მის ძმას არ მოუკლავს. თუმცა, არც იმას ამბობდა, ვინ დახოცა ისინი. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით უკმაყოფილოები დარჩნენ საქმეში დაზარალებულად ცნობილი მსჯავრდებულის მამიდებიც. მათ არა მარტო სასამართლო კოლეგიას, არამედ გამოძიებასაც დასდეს ბრალი ტენდენციურობასა და მიკერძოებაში. **"მოსამართლეს წინასწარ ჰქონდა განაჩენი დაწერილი. არც კი უცდია, სიმართლე გაერკვია. სიმართლით არც გამოძიება დაინტერესებულა. აჩიკო ოცწლიან პატიმრობას არ იმსახურებს,"** - ასე მოთქვამდნენ გუშინ უზენაესი სასამართლოს შენობაში უკვე მსჯავრდებული ძეგველიშვილის მამიდები. არადა, უნდა ითქვას, რომ სასამართლოსგან ასეთ "ჰუმანურ " განაჩენს, ისინი წინა დღეებში არც კი ელოდნენ. ერთი კვირის განმავლობაში ირწმუნებოდნენ, რომ ძმა და რძალი ძმისშვილმა დაუხოცათ. ერთ-ერთი მამიდა იმასაც ამტკიცებდა, ნინოც აჩიკოსნაირი დამნაშავეა და მის გვერდით უნდა იჯდესო. თუმცა, მოსამართლის მოთხოვნა, გენერალურმა პროკურატურამ გადახედოს და შეისწავლოს ნინო ძეგველიშვილის საქმე, მამიდებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ნინო ძეგველიშვილს კი, როგორც თავად განაცხადა ჩვენთან საუბრისას, ამ ქვეყნად არავისი და არაფრის ეშინია. რამდენიმე დღეში ის ახალი ადვოკატის აყვანას და განაჩენის გასაჩივრებას აპირებს. **"არც სიმართლე გაარკვიეს და არც გაითვალისწინეს ბევრი რამე. რა უნდათ აჩიკოსგან? ქვეყანაზე მასზე დიდი დამნაშავე ვერ მოძებნეს? რა გააკეთა ასეთი... ჩემს საქმეს კი გადახედონ და უყურონ, რამდენიც უნდათ, ვერაფერს დამიმტკიცებენ, საკასაციო საჩივრით იმაზე მეტს ვიტყვი, რაც ვიცი,"** – ისეთივე მშვიდი და აუღელვებელი ჩანდა ძმის განაჩენის მოსმენის შემდეგ, ჩვენთან საუბრისას ნინო ძეგველიშვილი, როგორიც სასამართლო პროცესზე დაკითხვისას, როცა მან დეტალებში გაიხსენა და მოჰყვა მის ოჯახში დატრიალებული საზარელი მკვლელობის ამბავი.

# პატიმართა უფლებები რომ არ დაირღვეს

სოფიკო ჩხაიძე

*წინასწარი დაკავების საკნებში პატიმართა უფლებების დარღვევა ის პრობლემაა, რომლის მოგვარებასაც არაერთი სამთავრობო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაცია ცდილობს ან მცდელობას იბრალებს. თვით პრობლემა კი მაინც მოუგვარებელი რჩება.*

დღეს წინასწარი დაკავების საკნებში ადამიანის უფლებების დარღვევა გამონაკლისს სულაც არ წარმოადგენს, რაზეც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გუშინდელ კოლეგიაზე გაკეთებული ინფორმაციაც მოწმობს. დარღვევები, რომლებიც იუსტიციის სამინისტრომ აღნუსხა, შს ორგანოებიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გადაყვანილი პატიმრების სამედიცინო შემოწმებისა და საქმეების შესწავლის მონაცემებს ეყრდნობა. ამ მონაცემების მიხედვით, 2002 წლის 1 იანვრიდან 30 მაისამდე ქუთაისის, ზუგდიდისა და თბილისის საპყრობილეებში სხეულის სხვადასხვა დაზიანებით 131 პატიმარი მიიყვანეს. ამათგან 82 აცხადებს, რომ დაზიანება დაკავებამდე მიიღო, 11 — დაზიანების დაკავებისას მიღებას ირწმუნება, 38 კი ამბობს, რომ დაზიანება პოლიციის თანამშრომლებმა მიაყენეს.

სხვათა შორის, როგორც გაირკვა, ყველაზე დიდი პრობლემა, პოლიციის მხრიდან პატიმარზე ფიზიკური ზეწოლის გამოაშკარავების მცდელობისას, სწორედ პატიმართა დუმილი გახლავთ. როგორც წესი, პატიმრები თავს არიდებენ პოლიციასთან ურთიერთობის გართულებას და მათ დანაშაულზე საუბარს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ 38 გულწრფელი პატიმრის აღიარებას იმის თაობაზე, რომ სხეულის დაზიანება პოლიციელებმა მიაყენეს, თვით პოლიციელთათვის არაფერი დაუშავებია. გენერალურმა პროკურატურამ 38 დაფიქსირებული ფაქტიდან მხოლოდ ერთზე აღძრა სისხლის სამართლის საქმე. უკვე მაისის შემდგომ დაფიქსირებულ დარღვევებზე კი, თურმე, სამი საქმეა აღძრული. პოლიციელთა დარღვევებზე სისხლის სამართლის საქმის არაღძვრას პროკურატურა, ძირითადად, ერთი არგუმენტით — პატიმართა მხრიდან სიმულაციით ხსნის. მაგრამ ამ არგუმენტს სრულებით აქარწყლებს ის შემთხვევები, როცა წინასწარი დაკავების საკნიდან პატიმარი ფეხის გულების დაჟეჟილობით მიჰყავთ. პოლიციელთა ზეწოლის ტიპური ხერხის დაფიქსირებაც კი რატომღაც ვერ აიძულებს საგამოძიებო ორგანოებს, სამართლებრივი რეაგირება მოახდინონ პატიმრების წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულზე.

რაც შეეხება შს სამინისტროს, ისინი აშკარად ახალი ტაქტიკით მოქმედებენ - ადამიანის უფლებების პრეტენზიულ დამცველებს ყველაფერზე კვერს უკრავენ, ჯანსაღი კრიტიკისთვის მადლობას იხდიან, სათავისო სტატისტიკას იშველიებენ და მომავალში გამოსწორების პირობის დადებასაც არ თაკილობენ, ოღონდაც კი კონკრეტული მასალები იქნას მიწოდებული პოლიციელთა მხრიდან დარღვევების თაობაზე. არადა, გამოძიება და დაკონკრეტება სულაც არ სჭირდება იმ ფაქტებს, როდესაც ადგილი აქვს პატიმრობის ვადის დარღვევას. იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, 2002 წლის პირველ ხუთ თვეში დანაშაულის ეჭვმიტანილის საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი დაკავების 72-საათიანი ვადის დარღვევის 200 შემთხვევაა აღრიცხული, აქედან 183 თბილისის პოლიციის სამმართველოებში. პოლიცია ასეთი შემთხვევების გასამართლებლად ბენზინის უქონლობაზე წუწუნს იწყებს, რის გამოც, თითქოს, ვერ გადაჰყავთ პატიმრები წინასწარი დაკავების საკნიდან საპყრობილეში. თუმცა, ისანი-სამგორის პოლიციელებს ბრალდებული ბოჭორიშვილი ფეხითაც რომ წაეყვანათ თბილისის მე-5 საპყრობილეში, ამას 23 დღე კი არა, 23 საათიც არ დასჭირდებოდა. ვადების დარღვევა, ჩვეულებრივ, ჩვენებების გამოძალვას რომ უკავშირდება ხოლმე, ამაში ეჭვი ცოტა ვინმეს თუ ეპარება. მით უმეტეს, როცა დაკავების ვადა სამი კვირითაც და მეტითაც კი არის გადაჭარბებული.

იუსტიციის სამინისტროში ამ საკითხების ირგვლივ გამართული გუშინდელი კოლეგიის მიზანი გამოსავლის მოძებნა გახლდათ. არასამთავრობო ორგანიზაციის — "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" ლიდერმა, ნანა კაკაბაძემ სამართალდამცველებს შესთავაზა, შს სამინისტროში სპეციალური ექსპერტის შტატი დაეუშვან იმისათვის, რომ დარღვევაზე რეაგირება წერილების გაცვალა-გამოცვლის შემდეგ კი არა, დარღვევის დაფიქსირებისთანავე მოხდეს. მეორე ვარიანტი, რომელსაც ნანა კაკაბაძე მისაღებად მიიჩნევს, სამოქალაქო სარჩელების პრაქტიკაა. რადგან თავად სამართალდამცველები არ იძიებენ თავისიანის დარღვევას, მაშინ დაზარალებულს შეუძლია, სამოქალაქო სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მიყენებული ზიანისთვის ანაზღაურება მოითხოვოს. კაკაბაძის თქმით, თუ ქართული სასამართლო არა, ევროპული მაინც დაუკმაყოფილებს სარჩელს.

თვით იუსტიციის მინისტრს, როლანდ გილიგაშვილს კი, რომელსაც გამოძიებისა და სამართლებრივი რეაგირების მოხდენის მრავალწლიანი პრაქტიკა აქვს, სამართალდამცველთა თავის მართლების ნაკლებად სჯერა და მათ მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს, ხოლო სიტუაციის გამოსწორებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად წინასწარი დაკავების შესახებ კანონის მიღება მიაჩნია.




კოლეგიის სხდომა

## პიტერ შოუს გამო ერთი კაცი დააკავეს

მართალია, პიტერ შოუს გამო სამართალდამცველებმა ერთი კაცი უკვე დააკავეს, მაგრამ დაკავებულს გატაცებასთან არავითარი კავშირი არ აქვს. მან, უბრალოდ, ფულის ადვილად შოვნა გადაწყვიტა. მას ჭკუაში დაუჯდა უშიშროების სამინისტროს მიერ ინფორმატორის დაჯილდოების შესახებ გაკეთებული განცხადება სათავისოდ გამოეყენებინა და, გამართლების შემთხვევაში, 15 ათასი ლარი ჩაედო ჯიბეში. მისდა სამწუხაროდ, არ გაუმართლა. ბრიტანეთის საელჩოსთვის პიტერ შოუს ადგილსამყოფელის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ, ჯილდოს აღების მსურველის აფიორა გამოაშკარავდა და იგი დააპატიმრეს.

ბრიტანეთის მოქალაქის გატაცების გამოძიების საქმეში სხვა სიახლე ჯერჯერობით არ არის ან, თუ სამართალდამცველებს დავუჯერებთ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ახმაურებენ.

ამასობაში უცხოელის გატაცების საქმის გამოძიებაზე კვლავ ალაპარაკდა საქართველოს პრეზიდენტი. თუ აქამდე იგი გატაცებულის დროულად ვერპოვნის შემთხვევაში ძალოვანი მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხის დასმით იმუქრებოდა, ახლა, როცა დროულ პოვნაზე საუბარი სასაცილოც კია, პრეზიდენტი ძალოვან მინისტრებს პიტერ შოუს საკუთარი სიცოცხლის ფასად მოძებნას უბრძანებს. რამდენად გაწირავენ თავს მინისტრები, ამას ალბათ მნიშვნელობა არც აქვს იქიდან გამომდინარე, რომ საეჭვოა, გამტაცებლებს ჩვენი ძალოვნების სიცოცხლე პიტერ შოუს გატაცების მიზეზის ფასად უღირდეთ.

## ხიდი ჯართად ჩააბარეს

მაია მოსიაშვილი

25 ტონიანი რკინის ხიდი, რომელიც რუსთავის ცემენტის ქარხანასა და გარდაბანს აკავშირებდა, ერთ ღამეში მოიპარეს და ჯართად ჩააბარეს. რუსთავის პოლიციას ამჟამად ორი ეჭვმიტანილი ჰყავს დაკავებული - გარდაბნის რაიონის სოფელ თაზაქენდში მცხოვრები ტელმან გარიბოვი, დაბადებული 1960 წელს და იმავე სოფლის მკვიდრი გასან მამედოვი, დაბადებული 1958 წელს. პოლიციაში აცხადებენ, რომ საქმეში 5-6 აზერბაიჯანელი ეროვნების ადამიანი ფიგურირებს და ამჟამად დაკავებულთა თანამზრახველების მოძიება მიმდინარეობს.

როგორც გაირკვა, ხიდი, რომლითაც ძირითადად სატვირთო მანქანები სარგებლობდნენ, მოსაპარად რამდენიმე დღის მანძილზე მზადდებოდა. ძირმოჭრილი ხიდი ერთი ღამის განმავლობაში დაჭრეს და იქვე, რკინაბეტონის ქარხანასთან მდებარე ჯართის ჩამბარებელ პუნქტში მიიტანეს. თანხის ერთი ნაწილი, 700 ლარი, გარიბოვმა და მამედოვმა აიღეს, მაგრამ დანარჩენის აღება აღარ დასცალდათ. კონკრეტულ ინფორმატორს პოლიციაში არ ასახელებენ და აცხადებენ, რომ ეს საქმე მათ საკუთარი აგენტურის მეშვეობით გახსნეს.

რუსთავის შს სამმართველოს უფროსი ნიკა ჯაფარიძე დარწმუნებულია, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ქურდებისათვის ხელი რომ არ შეეწყო, 25 ტონიანი ხიდის მოპარვას მხოლოდ 5-6 აზერბაიჯანელი ვერ შეძლებდა. **"ეს მარტო კრიმინალების მიერ არ ხდება. ისინი იყენებენ მანქანებს და სპეცტექნიკას, რომელიც წესით არასამუშაო დროს თავის ადგილზე უნდა იდგეს."**

პოლიციამ ხიდის ქურდების დაჭერა უფრო ადვილად მოახერხა, ვიდრე მისი პატრონის ვინაობის დადგენა. სამართალდამცველები ახლა მისი საბალანსო ღირებულების გარკვევას ცდილობენ, რათა შემდეგ, ზარალის გათვალისწინებით, ბრალი წაუყენონ დამნაშავეებს.

## სერიული ქურდობა გაიხსნა

გასულ კვირას რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლებმა 25 წლის დავით ყველიაშვილი და 32 წლის იმედა გვალია ბინის ქურდობის დროს ფაქტზე დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, მათ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში რუსთავში ჩადენილი, დაახლოებით, 30 ბინის ქურდობა აღიარეს. გვალია და ყველიაშვილი თბილისელები არიან და რუსთავში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ. ამოღებული ნივთმტკიცებების მიხედვით, ჯერ-ჯერობით, მათ 14 ბინის ქურდობა დაუმტკიცდათ. ამოღებულია, აგრეთვე, უმაღლესი დონის ხელსაწყოები, რომლებითაც, პოლიციის მტკიცებით, ნებისმიერი რკინის კარისა და საკეტის გახსნა შეიძლება. რუსთაველი სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ ამ პიროვნებებს თბილისშიც ჰქონდეთ ჩადენილი იმავე სახის ქურდობები. **"სხვა გაუხსნელი საქმეების დაკავებულთათვის "აკიდება" არ მოხდება, რადგან ნივთმტკიცებების გარეშე ეს შეუძლებელია,"**- აცხადებენ პოლიციაში. გამოძიება გრძელდება.

## მანდელას გაასამართლებენ

სამხრეთ აფრიკაში, ორშაბათს, დაიწყო ნელსონ მანდელას ყოფილი ცოლის, ვინნი მანდელას, სასამართლო პროცესი. ვინნი მანდელას ბრალად ედება თაღლითობა და ქურდობის 85 ფაქტი. პროკურატურის თქმით, აფრიკის ნაციონალური კონგრესის მართველობის პერიოდში ვინნი მანდელამ მიითვისა მილიონი რუპია, რაც დაახლოებით 100 ათასი დოლარის ეკვივალენტია.

როგორც აღმოჩნდა, ვინნი მანდელა კოლეგასთან ერთად აფრიკის ნაციონალურ კონგრესზე დაქვემდებარებული, სინამდვილეში არარსებული, ქალთა ლიგისთვის ფიქტიურ საბანკო სესხებს იღებდა. დღემდე მანდელა ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს. პროკურატურისათვის ცნობილია, რომ ვინნი მანდელა დიდი ხანია გახვეულია ფინანსურ სკანდალებში, თუმცა იგი თავს დამნაშავედ არ სცნობს და თავს პოლიტიკურ მსხვერპლად მიიჩნევს.

პროკურატურის მტკიცებით, 65 წლის ვინნი მანდელამ, ბროკერ ედი მულმანთან ერთად, შეიმუშავა და განახორციელა აფიორა. ნელსონ მანდელას ცოლი ყალბ დოკუმენტებზე ხელმოწერების მეშვეობით ახერხებდა ფიქტიური საბანკო სასხების გამოტანას. 1992 წელს სამხრეთ აფრიკის ყოფილი პრეზიდენტი ნელსონ მანდელა და მისი მეუღლე ერთმანეთს დასცილდნენ.

თუმცა, არაოფიციალური გაყრის შემდეგაც, ვინნი მრავალ ფინანსურ მაქინაციებში იღებდა მონაწილეობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამხრეთ აფრიკის მმართველის მეუღლეს ერთ-ერთ პოპულარულ პოლიტიკოსად და ღარიბი ხალხის უფლებების დამცველად მიიჩნევენ.

1991 წელს სასამართლომ ვინნი მანდელას ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მას ბრალად ედებოდა 14 წლის სტომპი სეიპელის მკვლელობა. სამართალდამცავებმა მოკლული კისერგამოჭრილი იპოვეს. მაშინ განაჩენი სააპელაციო სასამართლომ შეცვალა და მკვლელს სასჯელის მოხდა შეუცვალა ფულადი კონპენსაციით.

1996 წელს ვინნი და ნელსონ მანდელა უკვე ოფიციალურად გაეყარნენ ერთმანეთს. მეუღლეთა გაყრის მიზეზი ერთმანეთის მიმართ უნდობლობა გახდა.

2002 წელს ვინნი მანდელა სკანდალით გამოასახლეს ბინიდან. იქ იგი ნელსონ მანდელას დაპატიმრებამდე ცხოვრობდა. როგორც ამბობენ, ეს სახლი მუზეუმად უნდა გადაკეთდეს.

2002 წლის ივნისში ვინნი მანდელამ უპატივცემულოდ მოიხსენია საპარლამენტო კომიტეტი, რომელმაც მას ახსნა — განმარტება მოსთხოვა იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს ნელსონ მანდელას ყოფილი ცოლი უზრუნველ და მდიდრულ ცხოვრებას პარლამენტარის ხელფასით.

## რუს ჯარისკაცებს ჰაუპტვახტში აღარ ჩასვამენ

რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის გადაწყვეტილებით, რუსულ ჯარში დისციპლინის დარღვევისთვის არსებული სასჯელის ფორმა – ჰაუპტვახტი — გაუქმდება. ამიერიდან რუსი ჯარისკაცები მხოლოდ სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით გასამართლდებიან. თანაც სასჯელის ვადამ არ უნდა გადააჭარბოს 72 საათს. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, საერგეი ივანოვმა, საჯარისო ნაწილებში უკვე გააგზავნა შესაბამისი მითითებები. რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამინისტროს თანამშრომელთა თქმით, ანალოგიური ცვლილება უკვე შეტანილია რუსეთის შეიარაღებული ძალების შინაგან და საგუშაგო სამსახურების წესდებებში. 2002 წლის 30 ივნისიდან პრეზიდენტმა პუტინმა 671-ე ბრძანებულებით ცვლილებები შეიტანა საერთო საჯარისო უწყებებში ახალ ადმინისტრაციულ და პროცესუალურ კოდექსებზე დაყრდნობით.

ამიერიდან ჯარის მეთაურს ჯარისკაცის ჰაუპტვახტში ჩასმის უფლება ერთმევა. პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება ჰაუპტვახტის ინსტიტუტის გაუქმებას არ ნიშნავს, დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში ჯარისკაცის დატუსაღება მოხდება მხოლოდ სამხედრო სასამართლოს ნებართვით. საბჭოთა და შემდეგ რუსული ჯარის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ჰაუპტვახტი ითვლებოდა რიგით ჯარისკაცებში დისციპლინის შენარჩუნების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად. ჯარის მეთაური დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში განურჩევლად სჯიდა ურჩ ჯარისკაცებს — 10 დღე-ღამე ჰაუპტვახტში.

# სასამართლო პროცესი სტადიონზე გაიმართება - გვპირდება შარაძე

პირველი გვერდიდან

**“გიყვარდეთ ერთმანეთი...დაეხმარეთ ერთმანეთს, შექმენით საკუთარი კადრები... გამოიყენეთ ლამაზ-ლამაზი სიტყვები, ატეხეთ ხმაური...მნიშვნელობა არა აქვს რას იტყვით, მთავარია როგორ იტყვით...ნერვები დააწყვიტეთ იმ პიროვნებებს, რომლებიც გეწინააღმდეგებიან...იყავით ყველგან...ახალგაზრდები გახადეთ მართვადნი, მიართვით საჩუქრები, ასვით მათ ღვინო და კონიაკი, უმჯობესია ფალსიფიცირებული არაყი...”** -ეს ის დირექტივებია, რომელთა შესრულებაც ბოკერიას და მის მეგობრებს ევალებათო, - დასძინა შარაძემ. ამ დოკუმენტმა მქუხარე ტაში დაიმსახურა და შეკრებილი საზოგადოება “თავისუფლების ინსტიტუტის” დასალაშქრად განაწყო.

**“პარლამენტში რაც ვერ გავაკეთე, ქუჩაში მოკლე ხანში გავაკეთებ...ქუჩაში მიტინგებს არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ პარლამენტს გარეთ ყოფნას...”** - აიმედებს გურამ შარაძე მხარდამჭერებს და ერთ კვირაში “თავისუფლების ინსტიტუტის” წინააღმდეგ შედგენილი სარჩელით სასამართლოში მისვლას გეგმავს. **“სასამართლო პროცესი რომელიმე სასამართლოს დარბაზში კი არ გაიმართება, არამედ “დინამოს” სტადიონზე, ან უკიდურეს შემთხვევაში “ლოკომოტივის” სტადიონზე. ამ პროცესს ყველა უნდა დაესწროს, რადგან აქ ქვეყნის ინტერესებზეა საუბარი,”**- დასძენს შარაძე.



მიტინგი რუსთაველის ძეგლთან

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გუშინდელ აქციაზე ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენელი ლანა ღოღობერიძე და “სტრასბურგში მისი ანტიქართული მოღვაწეობაც” ახსენეს. შარაძე ღოღობერიძეს იმ “მოღალატურ ვალდებულებაში” ადანაშაულებს, რომელიც საქართველოს ევროსაბჭოში ძალად მოახვიეს და ჩვენს ქვეყანაში 400 ათასი თურქი-მესხის ჩამოსახლებას ითვალისწინებს. გურამ შარაძე ამ ვალდებულების გაუქმებასაც აპირებს.

**“საქართველოში უკვე წლებია იბადებიან ბავშვები, რომელთაც ეროვნება არა აქვთ. ეროვნება მხოლოდ ცხოველს არ შეიძლება ჰქონდეს...ჩვენს ბავშვებს ცხოველებს უტოლებენ...”** - აცხადებს ვახტანგ ბოჭორიშვილი.

**“სერიოზულად მადარდებს ჩემს სამშობლოში სექტების თარეში... მათი მოქმედება მთლიანად ანტისახელმწიფოებრივია...არის სექტები, რომლებიც კრძალავენ სამხედრო სამსახურს, უარესი რა შეიძლება მოხდეს,”**-ასეთია ანზორ აბრალავას პოზიცია.

აქციას “მრეწველები” გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე შორიდან ადევნებდნენ თვალს. **“რატომ მოვედით? “ენა, მამული, სარწმუნოება”-ეს აქცია ამ დევიზით მიმდინარეობს და, რა თქმა უნდა, ჩვენ მათ მხარს უჭერთ,”** - გვითხრა გოგი თოფაძემ. **“გურამ შარაძე ყოველთვის ხმალამოღებული იბრძვის ქვეყნის ინტერესებისთვის...რაც შეეხება “თავისუფლების ინსტიტუტს”, მინდა, რომ მკაფიოდ დააფიქსიროთ: ეს ხალხი სიტყვებს ჰაერზე ისვრის, რისთვისაც პასუხი უნდა აგონ,”** - ამბობს ზურაბ ტყემალაძე.

რუსთაველის ძეგლიდან მოქმედება გრიბოედოვის ქუჩაზე, “თავისუფლების ინსტიტუტის” ოფისთან ინაცვლებს და ჩვენი ფოტოკორესპოდენტისთვის ერთობ არასასიამოვნოდ ვითარდება...

აქცია გრიბოედოვის ქუჩაზე ნახევარ საათში დაიშალა.

**“თავისთავად ვინმე აქციას რომ ატარებს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მთავარია აქციის მიზანი. ის, რაც დღეს გარეთ ხდებოდა, ხელისუფლების პროვოცირებულია. ხელისუფლების სტილია, ყურადღების მოგონილ საფრთხეებზე გადატანა. ხალხს ჰგონია, რომ მისი მტერი იეღოველია და არა ეს ხელისუფლება...”** - ამბობს “თავისუფლების ინსტიტუტის” წარმომადგენელი გიგა ბოკერია.

**“ეს ცნობილი დალესის გეგმაა. ალან დალესი, ეიზენჰაუერის დროს, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობდა. ეს გეგმა, თითქოს, საბჭოთა ხალხის გარყვნას ისახავდა მიზნად... რუსები ლოთობისთვის უნდა მიეჩვიათ, რუსი ქალები მსუბუქი ყოფაქცევისთვის. ეს გეგმა პირველად შავრაზმულმა საბჭოთა გაზეთმა “სოვეტსკაია როციამ” ახსენა...ამ სისულელის კომენტირებაც არ შეიძლება,”** - აცხადებს დავით ზურაბიშვილი.

**“როცა შარაძე კგბ-ს გეგმებს კითხულობს საჯაროდ, ალბათ ხვდებით, რასაც ნიშნავს,”**-ირწმუნება ლევან რამიშვილი.

# პოლიტიკოსისათვის დაუშვებელი განცხადებები

## და ქართული სახელმწიფოებრიობა

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება პოლიტიკოსებს, რომლებიც პოლიტიკაში მეცნიერებიდან და ხელოვნებიდან მოდიან, მათი de facto იმუნიტეტი გაცილებით ფართოა. თუ პოლიტიკოსად გარდაქმნილი ზოგიერთი ბიზნესმენი სარგებლობს სახელმწიფოს სისუსტით და შეუზღუდავად იყენებს თავის მდგომარეობას საკუთარი ბიზნესის ლობირებისათვის, პოლიტიკოსად გარდაქმნილი ზოგიერთი პოეტი თუ კრიტიკოსი ასევე სარგებლობს ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის პოლიტიკის ნორმებში გაუთვითცნობიერებლობით და შეუზღუდავად იყენებს პოლიტიკის გარეთ დაგროვილ ავტორიტეტს პოლიტიკაში საკუთარი მდგომარეობის გამყარებისათვის.

ამ წერილის ამოცანას არ წარმოადგენს იმის კვლევა, რომელმა პოლიტიკოსმა როგორ დააგროვა ფული, რამდენად კარგი ნაწარმოები შექმნა ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში ან რამდენად ახალი სიტყვა იყო მეცნიერებაში მისი სადოქტორო თუ საკანდიდატო დისერტაცია. ამისათვის არსებობენ, შესაბამისად, ეკონომიკური და სამართალდამცავი სტრუქტურები, ლიტერატურული, თეატრალური და ა.შ. კრიტიკა, სამეცნიერო საბჭოები. წერილის მიზანია, წარმოვადგინო, ჩემი აზრით, სად უნდა გადიოდეს ზღვარი პოლიტიკოსის ამჟამინდელ საქმიანობასა და მის პოლიტიკოსობამდელ საქმიანობას შორის. ლაკმუსის ქაღალდად კი, ამ შემთხვევაში, ეთნიკურობის ყბადაღებულ თემას გამოვიყენებ.

სახელმწიფო თანამდებობის პირს რომ ეკონომიკური საქმიანობა ეკრძალება, ეს კონსტიტუციაში პირდაპირაა მითითებული და აქ მხოლოდ კანონის აღსრულების პრობლემა დგას. რაც შეეხება ადამიანებს, რომელთა პოლიტიკოსობამდელ საქმიანობას – ვთქვათ, ლექსების წერას – ასეთი შეზღუდვა არ ადევს, აქ საქმე რთულადაა, რადგან ხშირად გაპოლიტიკოსებულ ხელოვანს ან მეცნიერს ვპატიობთ იმას, რისი პატიებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, იგი რომ ხელოვანად და მეცნიერად დარჩენილიყო. საქმე უფრო სავალალოდაცაა: ამ ადამიანებს ეპატიებათ აშკარად ანტიკონსტიტუციური ქმედებები და სიტყვები მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ყველასათვის ცნობილი (რამდენად საყვარელი, ეს მეორე საკითხია) ხელოვანნი ან მეცნიერები არიან.

ინგლისელ პოეტს ვერავინ შეედავება, თუ მის ლექსში შოტლანდიელი თუ ირლანდიელი არ არის წარმოჩენილი იმგვარი დიდებულებით, როგორც ინგლისელი. რასთან აიგივებს დიდი ბრიტანეთის რიგითი მოქალაქე, მათ შორის, პოეტი, საკუთარ თავს – მხოლოდ ინგლისთან, დიდ ბრიტანეთთან მის ამჟამინდელ საზღვრებში თუ იმ პერიოდის დიდ ბრიტანეთთან, როცა იმპერიაში მზე არ ჩადიოდა – ეს მისი პირადი საქმეა.

მაგრამ დიდი ბრიტანეთის, ვთქვათ, თემთა პალატის წევრს, რა გინდა წარმატებული და აღიარებული პიროვნება უნდა ყოფილიყო ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში პარლამენტში არჩევამდე, საზოგადოება არასგზით აპატიებს და, ალბათ, პოლიტიკური კარიერის დასრულებადაც დაუჯდება, თუკი საჯაროდ კატეგორიებად დაჰყოფს ინგლისელსა და უელსელს, შოტლანდიელსა და ირლანდიელს და განაცხადებს, რომ მხოლოდ ინგლისელს შეიძლება ეჭიროს ესა თუ ის სახელმწიფო თანამდებობა.

### ეროვნული და ეთნიკური

ისევე, როგორც ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციით, საქართველოს კონსტიტუციითაც გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფოში თანამდებობის დაკავება შეუძლია ამ ქვეყნის მოქალაქეს. კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომელი კუთხიდან ან რეგიონიდან უნდა იყოს ეს მოქალაქე, ძე-ზე უნდა მთავრდებოდეს მისი გვარი თუ იაზე, დედაქალაქში უნდა იყოს დაბადებული თუ პროვინციაში.

არავისთვის იქნება გასაკვირი, თუ ქვეყანაში, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობას ეთნიკური (ეროვნულობის მიხედვით, საქართველოს ყველა მოქალაქე, ეთნიკური მიკუთვნებულობის მიუხედავად, ქართველია) ქართველები შეადგენენ, სახელმწიფო პოსტების უმეტესობას, მათ შორის, პრეზიდენტის პოსტსაც, ეთნიკური ქართველი დაიკავებს.

მაგრამ ეს მოხდება არა იმის გამო, რომ ეროვნებით (ანუ მოქალაქეობის მიხედვით) ქართველია და, სიტყვაზე, ეთნიკურად სომეხ მოქალაქეს მეორეხარისხოვნად მივიჩნევთ - მისი უფლებას, ეკავოს სახელმწიფო თანამდებობა საკუთარ ქვეყანაში ანუ საქართველოში, ვზღუდავთ. ეს მოხდება მხოლოდ იმის გამო, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია, ხოლო დემოკრატია, ამ სიტყვის ყველაზე მინიმალისტური განსაზღვრების მიხედვით, უმრავლესობის მმართველობაა.

ამომრჩეველს ვერავინ დაავალდებულებს, რა კრიტერიუმით დაუჭიროს მხარი ასარჩევ კანდიდატს. ეთნიკური წარმომავლობის ერთერთ ასეთ კრიტერიუმად არჩევა საქართველოს მსგავს ქვეყნებში, რომლებიც სულ თხუთმეტიოდე წლის წინათ საკუთარი თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგნენ, სავსებით ბუნებრივია. ამიტომ იმ ადამიანებს, რომლებსაც დემოკრატია მმართველობის არსებულთაგან ყველაზე საუკეთესო ფორმად მიგვაჩნია, შეცდომა მოგვივა, თუკი ეთნიკურ საკითხებზე გრძნობაგამახვილებულ ეთნიკურ ქართველს ამას სიბნელედ, დემოკრატიაში გაუთვითცნობიერებლობად და ჩამორჩენილობად ჩავუთვლით.

მაგრამ ეთნიკურ საკითხებზე გრძნობაგამახვილებულმა ეთნიკურმა ქართველმა არც ჩვენ, ვისაც დემოკრატია მმართველობის არსებულთაგან ყველაზე საუკეთესო ფორმად მიგვაჩნია, არ უნდა ჩაგვითვალოს მასონობად, სამშობლოს ღალატად და ა.შ. თუ განვაცხადებთ, რომ ფორმალურად, კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს ნებისმიერი სახელმწიფო პოსტის დაკავების უფლება. მე რომ ასეთ რამეს ვამბობ, ორ არგუმენტს ვეყრდნობი:

ჯერ ერთი, მე, როგორც საქართველოში ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, ვგრძნობ ყველაზე მეტ პასუხისმგებლობას ამ ქვეყნის მომავალზე. რა თქმა უნდა, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები, ვალდებულნი არიან, ჩემთან ერთად გაიზიარონ ეს პასუხისმგებლობა. მაგრამ მათ, იმავდროულად, უდგათ საკუთარი ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემა (იგივე ჩვენ საბჭოთა კავშირში გვედგა), რაც სავსებით ბუნებრივია, თუკი ვაღიარებთ, რომ ეთნიკური მიკუთვნებულობა და თვითმყოფადობა ადამიანის იდენტურობისა და შინაგანი სამყაროს ერთერთი არსებითი ნიშანია (ყოველ შემთხვევაში, საქართველოში და მთლიანად პოსტ-საბჭოთა სივრცეზე).

თუ ჩემი, როგორც ეთნიკურად ქართველის ამოცანა სახელმწიფოს ძლიერებაა, ეთნიკურად სომეხ, აზერბაიჯანელ, აფხაზ თუ ბერძენ საქართველოს მოქალაქეს (ანუ ეროვნებით ქართველს) ის აწუხებს, როგორი იქნება მისი ადგილი ამ სახელმწიფოში. ამიტომ მევე მეკისრება პასუხისმგებლობა, ეთნიკურად ოს თუ უკრაინელ საქართველოს მოქალაქეს ეს ადგილი დავანახო და განვუმარტო, რომ იგი ამ ქვეყნაში იმავე უფლებებით სარგებლობს, რითაც მე, რომ იგი ამ ქვეყნის ისეთივე პატრონია, როგორც მე.

ამიტომ მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ფრაზა, რომელიც სხვა ეთნიკურ ჯგუფებს ეთნიკურ ქართველებზე დაბლა აყენებს და ამით მათ საკუთარი თვითმყოფადობის დაკარგვის შიშს ულვივებს, შესაძლოა, ძალიანაც სიამოვნებდეს ბევრი ეთნიკური ქართველის გულს, მაგრამ ანგრევს ქართული სახელმწიფოებრიობის საძირკველს და შესაძლებლობას, რომ სხვა ეთნიკური ჯგუფები ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში ჩავაბათ.

თუ მაინცდამაინც საკუთარი უპირატესობის ხაზგასმაში ნახულობ სიამოვნებას, ამისთვის არსებობს ხელოვნება ანდა სპორტი. გერმანელებს არავინ უკრძალავს, გერმანელობა სხვაზე მაღლა დააყენონ, მაგალითად, სტადიონზე, როცა მიუნხენის “ბაიერნი” “მანჩესტერ იუნაითედ”-ს ეთამაშება, მაგრამ, ფაშიზმის საშინელი გაკვეთილის შემდეგ, გამორიცხულია, პოლიტიკოსმა ამგვარი გამონათქვამები გამოიყენოს. ამით კი გერმანული სახელმწიფოს ძლიერებას არა აკლდება რა.

### რანი არიან პოლიტიკოსები

ჩემი მეორე არგუმენტი საკუთრივ პოლიტიკის არსს ეხება. ჩემთვის პოლიტიკა არის საჯარო ქმედება ან საჯარო მსჯელობა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხების ირგვლივ. ადამიანს პოლიტიკაში გზას უნდა უხსნიდეს მისი კვალიფიკაცია, რამდენად სასარგებლოა მისი ქმედება თუ იდეები საზოგადოებისათვის და არა ის, რომელ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს იგი.

“რუსთავი 2”-ის ეთერში ჩვენ მოვისმინეთ ახალგაზრდა კაცის ფრაზა, რომ მას კორუმპირებული, მაგრამ მართლმადიდებელი და ქართველი ლევან მამალაძე ურჩევნია სხვა, სომხობაში “ბრალდებულ” პოლიტიკოსებს. მე ეჭვი მეპარება, რომ ამ “ბრალდებას” ეთნიკურად ქართველები სერიოზულად უყურებდნენ, რადგან “კორუმპირებული, მაგრამ მართლმადიდებელი და ქართველი” ლევან მამალაძის მოქალაქეთა კავშირმა ადგილობრივ არჩევნებზე სრული კრახი განიცადა, ხოლო სომხობაში “ბრალდებულმა” პოლიტიკოსებმა, სწორედ თავიანთი პოლიტიკური იდეების გამო, მოქალაქეთა დიდი მხარდაჭერა მიიღეს.

თუ ადამიანებს პოლიტიკის კეთებისაკენ (და სახელმწიფო პოსტი პოლიტიკის კეთების საშუალებაა) გზას ვუღობავთ იმის გამო, რომ იგი რომელიღაც ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს, მაშინ ჩვენ ვიზიარებთ ნაცისტების აზრს, რომ ზოგიერთი რასის, ეროვნებისა თუ ეთნოსის წარმომადგენელი უკეთესად აზროვნებს, ვიდრე სხვა რასის, ეროვნებისა თუ ეთნოსის წარმომადგენელი. გარდა ამისა, ეთნიკური ნიშნით თანამდებობის პირთა შერჩევიდან ერთი ნაბიჯია, თანამდებობის პირი კუთხურობის მიხედვით შევარჩიოთ, შემდეგ ნათესაობის და ბოლოს მოხდება ის, რაც უკვე მივიღეთ ბათუმში, როცა ქალაქის მერი ასლან აბაშიძის ვაჟია.

მოქალაქეთათვის ერთნაირად მიმზიდველი პოლიტიკური იდეების მქონე ეთნიკურად ქართველი და ეთნიკურად ქურთი პოლიტიკოსებიდან პირველს უკვე აქვს უპირატესობა იმის გამო, რომ ამომრჩეველთა უმეტესობა ეთნიკურად ქართველია. ეს უპირატესობა მხოლოდ რაოდენობრივია და არ შეიძლება აღქმულ იქნეს ისე, თითქოს ეთნიკურად ქართველი უკეთესი პოლიტიკოსი შეიძლება იყოს, ვიდრე ეთნიკურად ქურთი. თუ ამ ისედაც ნათელ და არავისთვის გამაღიზიანებელ რაოდენობრივ უპირატესობას ეთნიკური ქართველები თავიანთი თვისობრივი უპირატესობის დასამტკიცებლად გამოიყენებენ, ამით მხოლოდ გააღიზიანებენ ეთნიკურ უმცირესობებს, დათესავენ შუღლსა და ბოლმას და ამ სიძულვილის ნიადაგზე შეუძლებლად აქცევენ იდეას, საქართველო იყოს ძლიერი და თავისი ყოველი მოქალაქის დამცველი სახელმწიფო.

სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე არსებობს პოლიტიკაში ეთნიკურ უმცირესობათა კვოტირების საბჭოური პრაქტიკა, როცა ამა თუ იმ პარტიის საარჩევნო სიაში საქართველოს მოქალაქე მხოლოდ იმიტომ შეიძლება მოხვდეს, რომ იგი ამა თუ იმ ეთნიკური წარმომავლობისაა. ვფიქრობ, საქართველოს პარლამენტის ეთნიკურად არაქართველი, მაგრამ ეროვნებით ქართველი წევრებისათვის შეურაცხმყოფელი უნდა იყოს, თუკი მათ ეტყვიან, რომ ისინი პარლამენტში კვოტებით მოხვდნენ და არა მათი პოლიტიკური კვალიფიკაციისა და ღირსებების გამო.

ვფიქრობ, პოლიტიკაში გზა ყველას თანაბრად უნდა გავუხსნათ ყოველგვარი ეთნიკური კვოტების გარეშე. შესაძლოა, ერთი მოწვევის პარლამენტში ათი ეთნიკური აზერბაიჯანელი მოხვდეს, ხოლო მეორეში – არც ერთი, მაგრამ პირველ შემთხვევაში ეთნიკურ ქართველებს არ უნდა გვეგონოს, რომ ამით საქართველოს სახელმწიფოებრიობას საფრთხე ექმნება, ხოლო მეორეში ეთნიკურ აზერბაიჯანელებს არ უნდა შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მათ პოლიტიკურ უფლებებს ვინმე არღვევს.

იდეალური იქნება ვითარება, როცა ქართველი პოლიტიკოსი, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, დაიცავს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის უფლებებს და უზრუნველყოფს თითოეული პიროვნების განვითარების საშუალებას. ეს წესად უნდა დაამკვიდრონ ეთნიკურად ქართველმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც ამჟამადაც უმრავლესობაში არიან და მომავალშიც უმრავლესობაში იქნებიან ეთნიკურად ქართველი ამომრჩევლის რაოდენობრივი უპირატესობის გამო.

მხოლოდ მაშინ მოვთხოვთ ახალქალაქიდან არჩეულ, ეთნიკურად სომეხ დეპუტატს, იყოს ქართული სახელმწიფოებრიობის და არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების ინტერესების წარმომადგენელი, როცა ეთნიკურად ქართველი პოლიტიკოსები შეძლებენ, დაარწმუნონ ეთნიკურად სომეხი ამომრჩეველი, რომ მათი პოზიციაც ასევე საერთო-სახალხოა და არა მხოლოდ ეთნიკურად ქართველთა უპირატეს (თვისობრივად) მდგომარეობაზე გათვლილი.

### პოლიტიკაში და პოლიტიკის მიღმა

ახლა ვუბრუნდები იმას, რითიც დავიწყე, ანუ რისი თქმის უფლება აქვს პოლიტიკოსს და რისი - არა.

ხელოვანს ვერავინ დაუშლის, საკუთარ ეთნოსს ხოტბა შეასხას. ამასთან, ხელოვნებისთვისაც კი მიუღებელია სხვათა დამცრობა და, თუ არ მეშლება, არც ქართული და, საერთოდ, არც საკაცობრიო ხელოვნება არ იცნობს ასეთ პრაქტიკას.

რაც შეეხება პოლიტიკას, აქ წესები კიდევ უფრო მკაცრია. აქ არათუ რომელიმე ეთნოსის დამცრობაა პოლიტიკოსისთვის აკრძალული (რაც პირდაპირ კონსტიტუციის დარღვევა და სისხლის სამართლის დანაშაულია), არამედ რომელიმე ეთნოსის უპირატესობის მტკიცებაც. პოლიტიკოსმა, თუ მას თავისი ეთნოსი სხვაზე მეტად უყვარს (რაშიც არავითარი უცნაურობა და დანაშაული არაა), ამ ეთნოსზე იმით უნდა იზრუნოს, რომ სახელმწიფოში, სადაც მას თანამდებობა უკავია, ყველა ეთნოსის განვითარების პირობები უზრუნველყოს.

იქნებ ეთნიკურად ქართველ პოლიტიკოსს უნდოდეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამბროლაურის რაიონს მეტი თანხა ერგოს, ვიდრე მარნეულისას, მაგრამ მან ერთი გარემოება უნდა გაითვალისწინოს: სოციალურად და ეკონომიკურად მარნეულის ჩამორჩენა ეროვნებით ქართველ ეთნიკურ აზერბაიჯანელებში ეთნიკური ქართველებისადმი ბოღმას დაბადებს. ბოღმა, შესაძლოა, სიძულვილში და აგრესიაში გადაიზარდოს, ხოლო ეთნიკური ქართველების ბაქიაობა და ხანჯალზე ყურება ამ პრობლემას ვეღარ მოხსნის.

როგორც რიგითი მოქალაქეების ხარჯზე მცხოვრებ კორუმპირებულ ჩინოვნიკს ვერ დაიცავს სახლს შემოვლებული 7-მეტრიანი გალავანი, ასავე შეუძლებელი იქნება ძალით იმ სიძულვილის განეიტრალება, რასაც ეთნიკური ქართველების უპირატესი მდგომარეობა დაბადებს ეთნიკურად არაქართველ ქართველებში, თუ მათ სახელმწიფოსაგან და პოლიტიკოსებისაგან ასევე არ იგრძნეს ზრუნვა და პატივისცემა.

პოლიტიკოსს გაცილებით ფართო ასპარეზი აქვს საიმისოდ, რომ ქართულ სახელმწიფოებრიობას ემსახუროს. თუ იგი სახელმწიფო ტრიბუნიდანაც ლექსებს გვიკითხავს და სადღეგრძელოებს გვეუბნება, მხოლოდ ერთი რამ უნდა ვთქვათ: მან პოლიტიკისა არაფერი იცის. ხოლო თუ იგი სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ეთნოსის კუთვნილ პოლიტიკურ ასპარეზს მხოლოდ ერთი ეთნოსის უპირატესობათა პროპაგანდისათვის იყენებს, მან, სულ მცირე, პოლიტიკური ასპარეზი უნდა დატოვოს.

ამიტომ, ხელოვანსა თუ მეცნიერს, როცა იგი პოლიტიკოსი ხდება, აღარ უნდა იცავდეს ის საყოველთაო აღიარება, რაც მან, როგორც ხელოვანმა თუ მეცნიერმა მოიპოვა (დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად, ამას მნიშვნელობა სახელოვნებო კრიტიკისთვის და სამეცნიერო წრეებისათვის აქვს და არა პოლიტიკური არგუმენტაციისათვის). იგი უნდა შევაფასოთ, როგორც პოლიტიკოსი და არა როგორც ხელოვანი თუ მეცნიერი.

პოლიტიკოსის მიერ ქართველი ერის (ანუ საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის) სამსახური, პირველ რიგში, გადასახადების აკრეფაში და სახელმწიფოებრიობისათვის ძლიერი ეკონომიკური საფუძვლების შექმნაში უნდა გამოიხატებოდეს. როცა გადასახადები აკრეფილია, ბიუჯეტი შევსებული და ყოველი მოქალაქის ელემენტარული საარსებო პირობები უზრუნველყოფილი, მერე შეეძლება ნებისმიერ ხელოვანსა თუ მეცნიერს, შექმნას ის სულიერი ფასეულობები, რასაც ასევე და, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად მოითხოვს ქართული სახელმწიფოებრიობის სიძლიერე.

# სირაქლემის ბედი საქართველოში

## სირაქლემას აცრა არ სჭირდება, მასზე ჩვენ ვართ „აცრილი„



თამარ მაისურაძე

უკვე სამი წელია, საქართველოში სირაქლემების ფერმა არსებობს. "ინტელექტბანკის" პროექტი, რომელიც საქართველოში სირაქლემების გამრავლებას ითვალისწინებდა და რომელსაც, თავისუფლად შეიძლება, მიმბაძველობა ვუწოდოთ, ნამდვილად არ შედგა. "ინტელექტბანკს" ბელგიიდან საქართველოში სირაქლემების ჩამოყვანა მსოფლიო ბანკმა დაუფინანსა. დღეს მარნეულის რაიონის ფერმაში 150-მდე სხვადასხვა ასაკის სირაქლემაა. ქართველებმა აფრიკული წარმოშობის სირაქლემები არ მიიღეს, ვერ გაითავისეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცხოველის ხორცი საქონლისაზე უფრო მეტად მსუბუქი და გემრიელი ყოფილა, თანაც უქოლესტერინო, მაინც არ ჭამენ. **"ქართველები სირაქლემის ხორცს, ვერ ეგუებიან. ყველას თავისებურად აქვს მოწყობილი კვების საკითხი,"** – გვითხრა ფერმის დირექტორმა **რეზო რობაქიძემ**.

არადა, ამხელა საქმის წყალში ჩაყრაც არ შეიძლება. სირაქლემების მოვლის ტექნიკა, რამდენიმე ადამიანს უსწავლია. დღეს, საქართველოში ამ პროფესიის 3 სპეციალისტი გვყავს. სირაქლემის ხორცს ფირმა "ნიკორაში" აბარებდნენ და დღესაც აბარებენ, მაგრამ რად გინდა, არავინ ყიდულობს. ხალხზე არც ის მოქმედებს, რომ სირაქლემას არც ერთ დაავადებაზე არ ცრიან, არ სჭირდება - იმუნიტეტი აქვს ძლიერი. ხორცი არც საზღვარგარეთ გააქვთ. **"საქართველოში ნაგლახავები სირაქლემის ხორცი რომ არ წაიღონ, თვითონ არ ჰყავთ თუ?"** - ამბობს **რეზო რობაქიძე**.

"გაქართველებული" სირაქლემები, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში უფრო ფასობენ. მაგალითად, დიდი პრივილეგიებით სარგებლობს რუსეთსა და სომხეთში. **"სომხების ამბავი ხომ იცით, ერთს რომ ჰყავს, მეორესაც უნდა. ერთმანეთის ჯიბრზე ყიდულობენ სირაქლემებს,"** – ყვება **რეზო რობაქიძე**. ერთი სიტყვით, ისე ჩანს, ფერმა "ინტელექტბანკს" სომხების გულის გასახეთქად აუშენებია და მეტი არაფრისთვის. თუმცა, რატომ? დირექტორის თქმით, სირაქლემებთან ყოველდღე დადიან მნახველები. **"ვის არ ნახავთ აქ. პარლამენტარები, მგონი, პარლამენტზე ხშირად აქ დადიან,"** – ამბობს სირაქლემების ერთ-ერთი მომვლელი.

რა ბედი ეწევა "ქართველ სირაქლემებს", ვერ გეტყვით. ისინი 50 წელზე მეტ ხანს ცხოვრობენ, ქართველები კი მათ დიდი ყურადღებით არ ანებივრებენ. ერთის თქმაც შეიძლება - ამ ფერმას, მგონი, აურა აქვს ცუდი. როგორც რეზო რობაქიძემ გვითხრა, სირაქლემებამდე იქ იხვების ფერმა ყოფილა, მაგრამ გაუუქმებიათ, **"ქართველები არც იხვს ყიდულობდნენ. მხოლოდ დასავლეთში ვგზავნიდით. იქ უყვართ იხვის საცივი."**





გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

# „როკოკო„ და იაპონური ავანგარდი - თქვენს წინაშეა მაღალი მოდის შედევრები



დონატელა REUTERS

*„ჩემთვის ქალი უკიდურესად ნაზი და დელიკატური მექანიზმია“*, - **ეს სიტყვები იაპონელ დიზაინერს, იოჯი იამამოტოს ეკუთვნის. კვირას პარიზის ოპერაში წარმოდგენილი მისი კოლექცია სწორედ ამ სულისკვეთებას გამოხატავდა.**

**ხოლო ის, რაც დონატელა ვერსაჩემ მოიფიქრა, ყველაზე მდიდარი ფანტაზიებით დაჯილდოებულ მოდელიერსაც არ მოსვლია აზრად - მისი მზა ტანსაცმლის კოლექცია მადამ პომპიდუსა და მომღერალ პრინცის სტილის უცნაურ სინთეზს წარმოადგენდა...**

კვირას, პომპეზური წვეულებებისა და თავყრილობების ფონზე, პარიზის მოდის კვირეული გაიხსნა. დიზაინერები 2002 წლის შემოდგომა-ზამთრის მზა ტანსაცმლის კოლექციებს წარმოადგენენ.

როგორც უკვე გითხარით, წითელი ლენტა კვირას იოჯი იამამოტომ გახსნა. თუმცა, მან დროს სამი თვით გაუსწრო და შემოდგომა-ზამთრის ნაცვლად პუბლიკას 2003 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია წარუდგინა. **„დიდი ხანია, მინდოდა, ჩვენება ვიწრო და მშვიდ წრეში მომეწყო. ველარ ვიტან პარიზის ოქტომბრის კვირეულებს, როცა ჩვენებებზე უამრავი ხალხი ირევა“**, - ასე ახსნა იამამოტომ შოუს დასრულების შემდეგ თავისი ორიგინალობის მიზეზი.

მართლაც, მაღალი მოდა ხომ ყველაფერს ექსკლუზიურად მაღალს გულისხმობს, მათ შორის, პუბლიკასაც. პარიზის მაღალი მოდის კვირეულიც ვიწრო და თავისთავად მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებისთვის დაიწყო: შოუს ესწრებოდნენ ამერიკელი მოდელიერები დონა კარანი, მარკ იაკობსი, გერმანელი რეჟისორი ვიმ ვენდერსი, სუპერმოდელი ჰელენა კრისტენსენი...

ახლახან, მილანში გამართულ ჩვენებებზე დოლჩე და გაბანას ენამოსწრებული კომენტარებით მაყურებელმა თითქმის ისევე ისიამოვნა, როგორც უშუალოდ კოლექციების დათვალიერებით. იამამოტომ კი ძველი იაპონური ტრადიცია არ დაარღვია და პარიზის მოდის კვირეულიც იაპონურად ჩუმად, მოკრძალებულად და სადად გაიხსნა.

დიზაინერი მომავალი წლის გაზაფხული-ზაფხულის სეზონისთვის მკაცრი, კლასიკური და უბრალო სტილის ნაზავს გვთავაზობს. ეს ტენდენცია პარიზის ოპერის შენობაში მოწყობილ პოდიუმზე ხვეულთმიანმა მამაკაცმა მოდელებმა შეიტანეს, მკაცრი სტილით შეკერილი ქურთუკებითა და თავისუფალი შარვლებით. იამამოტოს მოდელებს თავზე ეხურათ 40-იანი წლების შავი სამხედრო ქუდები. მათგან რამდენიმეს ტულის ბადე ამშვენებდა.

იამამოტომ ტრადიციის დარღვევა არც მუსიკის არჩევისას ისურვა – მისი მოდელები პოდიუმზე აქამდეც მრავალჯერ აჟღერებული რაველის „ბოლეროს“ ფონზე გამოვიდნენ. აშკარად დიდი ზომის ქურთუკები, რომელთაც მთლიანად ქსოვილის ქამრები ამშვენებთ. შავი აბრეშუმის უსახელო მაისურები, კისერზე დიდი ბაფთით და ჯიბეებიანი გაშვებული კაბები – ასეთი იყო იამამოტოს ახალი კოლექციის განმსაზღვრელი შტრიხები. მისი ხელით შექმნილ საღამოს კაბებს კი მწერებისა და ცხოველების ნახატები ამშვენებდა, მაგალითად ბუზი, ბაყაყი, თევზი...

იაპონელის ამ ახალმა მიგნებებმა ნაღები საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. დონა კარანი, მარკ იაკობსი შოუს მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდნენ. გერმანელმა რეჟისორმა ვიმ ვანდერსმა კი შთაბეჭდილება ასე გამოხატა: „ჩვენ ვნახეთ, თუ როგორი ლამაზი მომავალი ელით ქალებს, რომელთაც თვითდაჯერება და შინაგანი ხიბლი არ აკლიათ“.

ის ფაქტი, რომ იამამოტო გაზაფხული-ზაფხულის მზა ტანსაცმელს მთელი სამი თვით ადრე წარმოადგენს სიმბოლურად, ალბათ, მოდის სამყაროში მის ლიდერობაზე მიანიშნებს. ბუნებრივია, მაღალი მოდის მაღაზიებში მისი ავანგარდული, პოეტური ქმნილებების ქსერო-ასლს პირდაპირ ვერ გადაიღებენ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მოდელებს ზოგადად გაზაფხული-ზაფხულის მოდაზე მაინც უდიდესი გავლენა ექნება.

გუშინ ღამით კი იმავე ნაღებმა საზოგადოებამ გემო დონატელა ვერსაჩეს ახალ კოლექციასაც გაუგო. იამამოტოსგან განსხვავებით, მას გეგმის გადაჭარბებით შესრულება არც უფიქრია და შელოს სასახლეში, იეფელის კოშკთან, მოწყობილ პოდიუმზე შემოდგომა-ზამთრის კოლექცია წარმოადგინა. „როკოკო“ – ასე ჰქვია დონატელას ახალ კოლექციას, რომლის შექმნისთვისაც შთაგონება მას მადამ პომპიდუმ და როკმომღერალმა პრინცმა მისცა. ანუ, როგორც ხვდებით, ვერსაჩეს მოდელებს შემოდგომა-ზამთარში მოსავთ მადამ პომპიდუს ბუდუარიდან „გამოღებული“ ტანსაცმელი, რომელიც პრინცის „როკმენული“ სტილით არის გამრავალფეროვნებული.

თავად წარმოიდგინეთ, საბოლოოდ როგორ მოდელებს მივიღებთ ამ ორი, პოლარულად განსხვავებული სტილის შეზავებით. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ დონატელა ვერსაჩემ ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელებისათვის ბევრი იწვალა. ძველებური თასმების, მაქმანებისა და ფარჩის მოსაპოვებლად მან ფლორენცია, ვენეცია, ლიონი და კომო შემოიარა. თითოეული მოდელის შეკერვას კი უამრავი დრო მოანდომა. მაგალითად, ვერსაჩეს ერთ-ერთი სერთუკი 80 სხვადასხვა სახის მაქმანით არის გაწყობილი, თითოეული მათგანი სერთუკზე ხელით გახლავთ მიკერებული. საბოლოოდ, ფერების და ნაქარგების ულამაზესი გამა იქმნება...



იამამოტო REUTERS

დონატელა ვერსაჩეს „როკოკოს“ კოლექციაში გამოყენებული აქვს ქვიშის საათის (ვერსაჩეს სახლის სინონიმი) სილუეტებიც – კორსეტებითა და წყალთევზას ფორმის ქვედაბოლოებით, ხოლო მისი ველვეტის პალტოები ხელით არის ნაქარგი.

დღეს კი მაღალი საზოგადოების გაოცებას, სხვებთან ერთად, შანელი, კრისტიან ლაკრუა, დევიდ ვინსენტი და მაურისიო გალანტე შეეცდებიან. საერთოდ, მაღალი მოდის კვირეულში მონაწილეობას 30-მდე დიზაინერი იღებს. თითოეული მათგანის მიზანი მსოფლიოს უმდიდრესი მანდილოსნების გულის და ჯიბის მოგებაა – მაღალი მოდის პირველი კლიენტები ხომ სწორედ ეს დახვეწილი გემოვნების ქალბატონები არიან.

## ამბები

### ინგლისში მოდაშია "ქანთრი"

როდესაც მადონა ამერიკიდან ლონდონში გადასახლდა, რატომღაც ყველას ეგონა, რომ ბრიტანეთში ვარსკვლავი ჰოლივუდის სტილს ჩაიტანადა. მაგრამ, მადონამ ყველას მოლოდინი გაუცრუა – პოპ-ვარსკვლავმა მოდაში „ქანთრი“ შეიტანა.

დასვენების დღეებს ბრიტანული Dunhill-ის სამარკო ტანისამოსში გამოწყობილი მადონა დღემდე ტირის სროლაში ატარებს. ბრიტანელებმაც არ დაახანეს და მართალია, გოლფის მოედნებზე ჯერ კიდევ ხალხმრავლობაა, მაგრამ ელვის სისწრაფით იმატა მიზანში მსროლელთა რაოდენობამ.

გართობის ეს სახეობა, ცხადია, განსაკუთრებულ ჩაცმულობას მოითხოვს. „ქანთრის“ სტილი კი, ამისთვის ზედგამოჭრილია. აქამდე პოპულარული იტალიური ტანსაცმელი, ნელ-ნელა კარგავს კლიენტებს ბრიტანეთში. დიზაინერები სულ უფრო ხშირად იმეორებენ, რომ იტალიელები ხარისხიან ტანსაცმელს თავისთვის იტოვებენ, მეორეხარისხოვანს კი, მომატებულ ფასად საექსპორტოდ უშვებენ.

### კეტრინ ზეტა ჯონსი სამუშაოდ Deutche Telekom-ში გადავიდა

ინგლისელმა მსახიობმა, კეტრინ ზეტა ჯონსმა (მონაწილეობს ფილმებში: „ზოროს ნიღაბი“, „დასავლეთი“) ხელი მოაწერა ორწლიან კონტრაქტს, რის თანახმადაც მუშაობას დაიწყებს მობილური კავშირგაბმულობის კომპანიაში T-Mobile (რომელიც Deutche Telekom-ის შვილობილი კომპანიაა). „კეტრინს აქვს ინტელექტი, თავდაჯერებულობა და სტილი, რომელთა ერთობლიობაც ჩვენს კომპანიაში მეტად საჭიროა,“ – ამბობს კომპანიის ამერიკული განყოფილების ხელმძღვანელი. კეტრინ ზეტა ჯონსი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო სარეკლამო კამპანიაში, რომელიც აშშ-ში ამ ზაფხულს დაიწყება.

### ფრანგი ვარსკვლავების ახალი წყვილი

იზაბელ აჯანიმ და ჟან-მიშელ ჟარმა დაქორწინება გადაწყვიტეს. ჟურნალ Paris Match-ის (ჟურნალმა ბოლო ნომერში მისცა ეს ცნობა) ინფორმაციით, ცნობილი ფრანგი მსახიობი და კომპოზიტორი რამდენიმე თვის წინათ შეხვდნენ ერთმანეთს რესტორანში და მას შემდეგ ერთად არიან.

საქორწინო რიტუალი მას შემდეგ იქნება, როდესაც აჯანი და ჟარი უახლოეს სამუშაო პროექტებს დაასრულებენ. აჯანი ამჟამად კინოგადაღებებითაა დაკავებული, იგი ჟან-პოლ რაპანოს ფილმში, „ბონ ვუიაჟში“ მონაწილეობს. თავის მხრივ, გეგმები აქვს მუსიკოსსაც: ჟან-მიშელ ჟარმა უნდა დაასრულოს მორიგ ალბომზე მუშაობა და დანიური ტურნე დაგეგმოს.

### „დორსი„ სცენას დაუბრუნდება

ლეგენდარული „დორსის“ წევრებმა განაცხადეს, რომ ჯიმ მორისონის სიკვდილიდან 30 წლის შემდეგ ისინი კვლავ ერთად იქნებიან და აშშ-სა და ევროპაში საკონცერტო ტურნეს გამართავენ. მორისონის ადგილს 80-იანი წლების ჯგუფის, The Cult-ის სოლისტი იან ესტბიორი დაიკავებს. დღეისათვის მხოლოდ ერთი თარიღია ცნობილი: პირველი კონცერტი 6 სექტემბერს California Motor Speedway-ში გაიმართება. ასეთი ტურნეები 2003 წელსაც მოეწყობა, მერე კი სტუდიაში ალბომსაც ჩაწერენ. როგორც გაირკვა, რეი მანზარეკს, რობი კრიგერსა და ჯონ დენსმორს უკვე დაწერილიც კი აქვთ სიმღერები ახალი ალბომისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ გასარკვევია, მიიღებს თუ არა ტურნეში მონაწილეობას დენსმორი, რომელიც ჯანმრთელობას უჩივის. თუ იგი მონაწილეობას ვერ შეძლებს, მისი შემცვლელი Pearl Jam-ის ლიდერი ედი ვედერი იქნება, რომელიც მორისონის სიკვდილის შემდეგ ცოტა ხნის განმავლობაში ჯგუფთან თანამშრომლობდა.

### მაჩუქე ფეხსაცმელი!

Sexy art history museum for miniature shoes

1980 წელს ავსტრიაში, ვენაში, ვინმე რუდი კმენტმა დააარსა მინიატურული ფეხსაცმლის, ანუ ფეხსაცმლის მინიატურის მუზეუმი.

რუდი, უკვე 15 წელია, ფეხსაცმელებს აგროვებს, ძირითადად ბაზრობებსა და ანტიკვარიატის მაღაზიებს ლაშქრავს ხოლმე კოლექციის გასამდიდრებლად, რომელიც ამჟამად 1.500 ეგზემპლარისგან შედგება.

ეს მხიარული კაცი დიდი გატაცებით ყვება ფეხსაცმლის ისტორიას, ძალიან საინტერესო ამბებს. მაგალითად, იცოდით, რომ მე-17 საუკუნიდან, როცა ევროპაში ხელოსნები დიდ პატივში იყვნენ და ამქრობა ყვაოდა, ყოველი ფეხსაცმლის მინიატურის გამკეთებელი ოსტატად იყო მიჩნეული? ან ის თუ იცოდით, რომ მე-19 საუკუნემდე ფეხსაცმლის ჩუქება სიყვარულის, ნაყოფიერების და ბედნიერების სიმბოლოდ ითვლებოდა? ახლაც ხომ ვჩუქნით ერთმანეთს ათასგვარი ფეხსაცმლის ფორმის კერამიკულ და ქარვის ნაკეთობებს, გასაღების საკიდებს, სამკაულებს და საფერფლეებს...

კოლექციონერს თავისი ავლა-დიდების მთლიანად ჩვენების შესაძლებლობა ჯერ არ ჰქონია, ამიტომ თემატურ გამოფენებს აწყობს ხოლმე: ეთნო-ფეხსაცმელი, მინის ჩექმები, სუვენირები და კიჩი, რომანტიკული მოტივები, კურიოზები, სექსუალური ქუსლები, ოქროსა და ვერცხლის ფეხსაცმელი და სხვა და სხვა.

ცალკეული ნიმუშები კვლავ ოცნებად რჩება – მეტისმეტად ძვირი ღირს. ისედაც, ხელი ყველაფერზე არავის მიუწვდება. ამიტომ, თუ რამე ფეხსაცმელი გემეტებათ, ნამდვილი თუ სათამაშო – მთავარია, ორიგინალური იყოს! – აჩუქეთ რუდის, ნუ დაინანებთ, ძალიან მადლობელი იქნება.

### ჰაიდ პარკი ვარსკვლავებს მასპინძლობს

პოპ-ვარსკვლავების უდიდესი ერთდღიანი თავყრილობა ევროპაში – ასე უწოდებენ ლონდონის ჰაიდ პარკში ტრადიციად ქცეულ კონცერტს, რომელიც პრინცის ფონდის ეგიდით ტარდება. კვირას გამართულ ღონისძიებას ასი ათასამდე მელომანი დაესწრო. ამინდი სუსხიანი იყო, მაგრამ ფონდის პატრონი – უელსის პრინცი ჩარლზი სიცივეს არ შეუშინდა და შემდეგ მონარქს დანარჩენებმაც მიბაძეს – ჰაიდ პარკის კონცერტისთვის გამოყოფილი კუთხე მთლიანად შეივსო. ისეთი ვარსკვლავებისთვის, როგორებიცაა ვილ იანგი, გარეთ გეითსი, ნატალი იმბრულია, Blue Atomic Kitten და ბრაიან ადამსი ლონდონური სიცივის ატანა მართლაც ღირდა. კონცერტი შთამბეჭდავად გახსნა Blue-მ, რასაც Atomic Kitten-ის გამოსვლა მოჰყვა. ფანები ჯგუფის წევრს, ნატაშა ჰამილტონს გამოემშვიდობნენ, რომელიც, თავის მხრივ, სცენას მშობიარობამდე დაემშვიდობა.

კონცერტის ორგანიზატორების ჯიბის გასქელებას კი ისეთი სახეების გამოჩენამ შეუწყო ხელი, როგორებიცაა შაგი, სოფი ელის-ბექსტორი და ლიბერთი იქსი – მათი პოპულარობა ხომ კომერციული წარმატების უმთავრესი წინაპირობაა. კონცერტის მოგება – 1 მილიონი ფუნტი სტერლინგი პრინცის ფონდში გადაირიცხება. ფონდი ახალგაზრდა და ნიჭიერი ადამიანების დახმარებაზეა გათვლილი.



პრინცი ჩარლზი კონცერტზე REUTERS


სატელეფონო კავშირი
8-07
www.online.ge

# ოცი წლის შემდეგ

## 80-იანელთა ფოტოარქივი გალერეა „ორიენტში"

თამარ სუხიშვილი

**1984 წელს თბილისის "მხატვრის სახლში" თაობათა გამოფენა გაიმართა და, ბუნებრივია, 80-იანელთა აბსტრაქციული ნამუშევრებიც გამოიფინა; მაგრამ, როგორც ჩანს, ეს "ბუნებრივია" სულაც არ ყოფილა ბუნებრივი: "ზემოდან" (ცეკას კულტურის განყოფილებიდან) დაურეკავთ და გამოფენის დახურვა უბრძანებიათ. ასეც ხდებოდა. სოცრეალიზმი და აბსტრაქციონიზმი ვიღაცეებისთვის შეუთავსებელი იყო.**

დღეს მხატვართა ამ თაობასთან ყველა საგამოფენო დარბაზი სიამოვნებით თანამშრომლობს, ხელოვნებათმცოდნეები კი თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ ე.წ. 80-იანელთა მხატვრობა დიდწილად განსაზღვრავს თანამედროვე ქართული ხელოვნების სახეს. მაგრამ ამ მხატვართა შემოქმედებისა და პირადი ცხოვრების ბევრი დეტალი დამთვალიერებლისთვის დღემდე უცნობია, ან ნაკლებადაა ცნობილი.

მართალია, 80-იანი წლები არცთუ შორეული წარსულია, მაგრამ 20 წელი არც ისე ცოტაა (თანაც, ისეთი მძიმე და მღელვარე, როგორც ეს უკანასკნელი 20 წელი) ძველის დასავიწყებლად. კიდევ ერთი 20 წლის შემდეგ უფრო ცოტას ეცოდინება, როგორ დაიწყეს მოღვაწეობა ამ მხატვრებმა, რას ხატავდნენ ადრე და რას ხატავენ ახლა...

გალერეა "ორიენტის" გამოფენა სწორედ ძველის (ნაცნობი უცნობების) გახსენებას, როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, ოთხმოციანელთა კულტურული მემკვიდრეობის გადახედვას, და მხატვრობის მოყვარულთა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად. დამთვალიერებელს იმის გაგებაც უნდა, ვინ და რა დგას კონკრეტული სურათის იქით, როგორ გამოიყურება მხატვარი, როგორ ცხოვრობს, როგორ აზროვნებს, როგორ ფიქრობს, როგორი მოქალაქეა... მოკლედ, რომ ვთქვათ, შემოქმედება და შემოქმედი მთლიანობაში აინტერესებს. "ჩვენთან ხელოვნების რეკლამის ეს სფერო განვითარებული არ არის, არადა, ეს აუცილებელია," – ამბობს "ორიენტის" დირექტორი ბაია წიქორიძე.

"ორიენტში", შეძლებისდაგვარად, ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი მხატვართა ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ფოტოები და მათი ნამუშევრები. აქ არის არაოთხმოციანელი ავთო ვარაზისა და ოთხმოციანელი ირაკლი ფარჯიანის გაცრეცილი ფოტო, ფარჯიანის 1983-1985 წლებში შესრულებული სამი ფერწერული ნამუშევარი – "პორტრეტი", "ნატურმორტი" და "სანაპირო", მერაბ აბრამიშვილის "ალიგატორი" და "აბრეშუმის გზა", აბანოთუბანში, სამხატვრო აკადემიაში, "მხატვრის სახლში" გადაღებული სურათები და ბევრი, ბევრი სხვა საინტერესო მასალა.

წარმოდგენილი ფოტოების დიდი ნაწილი ცნობილ ფოტოგრაფს გურამ წიბახაშვილს ეკუთვნის, ნაწილი გალერეა TMS-ის კატალოგისთვის იყო მომზადებული, რომელიც, სამწუხაროდ, არ დაიბეჭდა და, TMS-ის ნებართვით, "ორიენტში" გადმოინაცვლა; ფოტოების ნაწილი მხატვართა პირადი არქივების კუთვნილებაა, ნაწილიც – ერთ დროს "მხატვრის სახლში" ინახებოდა. 1992-1994 წლებში გადაღებული ფოტოები "ორიენტის" არქივის ნაწილია. ამ პერიოდში თბილისში ის ერთადერთი კერძო გალერეა იყო.

გამოფენის საბოლოო მიზანი 80-იანელთა ფოტოარქივის, ძველი და ახალი ნამუშევრების კატალოგის მომზადებაა. წიგნში შეიძლება შევიდეს მხატვრებთან ინტერვიუები და შემოქმედებითი პროცესის ამსახველი სხვა წერილობითი მასალებიც, რაც კიდევ უფრო გააცოცხლებს ამ გამოცემას. "80-იანელები მხატვართა ის ჯგუფია, რომლებმაც ამ პერიოდში დაამთავრეს სამხატვრო აკადემია და პოპულარობაც მაშინვე მოიპოვეს. შეიძლება ითქვას, მათი ნახატები ყველაზე კარგად იყიდება, მათი ბევრი ნამუშევარი ყოველგვარი აღნუსხვის გარეშე საქართველოს ფარგლებს გარეთ არის გასული. რაც დრო გადის, მით უფრო ძნელი ხდება საარქივო დოკუმენტების მოძიება, ამიტომაც ვჩქარობთ," – გვეუბნება "ორიენტის" დირექტორი.


ასე იხსენებდნენ 80-იან წლებს


გამოფენის გახსნაზე

იური ლობოდინის ფოტოები

გალერეა "ორიენტში" გამოფენილ ფოტოებზე 30-მდე მხატვარს შეხვდებით (ოთხმოციანელებსა და რამდენიმე არაოთხმოციანელსაც): ირაკლი ფარჯიანი, გია გუგუშვილი, ლევან ლაღიძე, შალვა მატუაშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, გია ბუღაძე, ოთარ ვეფხვაძე, ზაზა ბერძენიშვილი... ბევრი კარგი მხატვარი აქ ვერ მოხვდა, მაგრამ გალერეის თანამშრომლები განმარტავენ, რომ მათ მიკერძოება არ გამოუჩენიათ, გამოფენაზე, რომელიც სულ რაღაც ათიოდე დღეში მომზადდა, ის მასალა გამოიტანეს, რაც მათ ხელთ ჰქონდათ, ასეთი გამოფენები გაგრძელდება და 80-იან წლებში მოღვაწე არც ერთ მხატვარს არ გამოტოვებს. კატალოგის გამოსვლა იანვრის დასაწყისისთვის იგეგმება. მერე კი გალერეა არც არაოთხმოციანელებს დატოვებს უყურადღებოდ. "ორიენტის" პროექტი ითვალისწინებს მხატვართა შემოქმედების ფიქსაცია-შესწავლას 50-იანი წლებიდან დღემდე.

გამოფენის გახსნაზე, 2002 წლის 6 ივლისს, გალერეა "ორიენტმა" თავის ფოტოარქივს კიდევ ერთი ფოტო შემატა – მხატვრები და დამთვალიერებლები. დღეს ეს ფოტო უკვე ისტორიად იქცა.

მათთვის, ვისაც აინტერესებს, როგორ მუშაობდნენ ეს მხატვრები მხატვრის სახლსა თუ სამხატვრო აკადემიის სახელოსნოებში, როგორ ხატავდნენ ნატურიდან, როგორ გამოიყურებოდა მხატვარი გია ბუღაძე დიპლომის დაცვის დროს, ან როგორ ერთობოდა ახალგაზრდობაში, გალერეის კარი ღიაა. იჩქარეთ, რადგან ფოტოები თანდათან ფერმკრთალდებიან, თორემ ავთო ვარაზის, ირაკლი ფარჯიანის და სხვათა ფერწერული ტილოები ის ფასეულობაა, "რაც დავიწყებით არ იბინდება".

## ამბები

### ნიკ ქეივი იტალიაში

ნიკ ქეივი სოლო-კონცერტს გამართავს იტალიაში ყოველწლიურ ფესტივალზე Festival Di Musica Contemporanea. კონცერტი 14 ივლისს არის დაგეგმილი. ფესტივალზე ასევე მიწვეულები არიან: ლუ რიდი, ლორი ანდერსონი და ჯივან გასპარიანი.

### INXS და Blondie ერთობლივ ტურნეს იწყებენ

ამერიკელ და ავსტრალიელ მუსიკოსებს ერთობლივი კონცერტების იდეა რამდენიმე ხნის წინათ დაებადათ, როდესაც ერთ-ერთ შოუზე მოუწიათ გამოსვლა. "მაშინ ძალიან კომფორტულად ვიგრძენით თავი და მუსიკაც გადასარევად ჟღერდა," – ამბობს INXS-ის წევრი ენდრიუ ფერისი. ალბათ ყველას აინტერესებს, ვინ შეცვალა მაიკლ ჰატჩინსი? – INXS-ის ახალი ვოკალისტი ჯგუფ Noiseworks-ის ფრონტმენი, ჯონ სტივენსია. ტურნე გლაზგოდან, დეკემბერში დაიწყება. მანამდე კი, ორივე ჯგუფი ჰიტების კრებულს გამოუშვებს.

### Overkill-ის ფრონტმენი სცენაზე ცუდად გახდა

ბობი ელსვორსს ნიურნბურგის კონცერტზე გული გაუჩერდა. კონცერტის დაწყებიდან ნახევარ საათში მუსიკოსი სცენაზე დავარდა და სასწრაფო დახმარების მოსვლამდე გონდაკარგული იყო. ჯგუფის ოფიციალურ საიტზე მალე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ეს იყო "მცირე ინფარქტი". ორდღიანი გამოკვლევების შემდეგ, ელსვორსი საავადმყოფოდან გაწერეს. ამჟამად მუსიკოსი ევროპაში ისვენებს.

### ბონ ჯოვი კრიზისშია

ჯონ ბონ ჯოვიმ ჯგუფის წევრებთან ერთად ვერაფრით შეარჩია ახალი ალბომის სახელწოდება და დასახმარებლად ფანებს მიმართა. თაყვანისმცემლების მისია არც ისე რთულია: მათ ჯგუფის ოფიციალურ საიტზე შეთავაზებული სამი სიტყვიდან: Bounce, Won და One ერთ-ერთი უნდა შეარჩიონ.

#### თეატრები

პანტომიმის თეატრი
"დუმილის პოეზია". რეჟ. ამირან შალიკაშვილი დას: 18 სთ

#### საგამოფენო დარბაზები

"ქარვასლა"
თინათინ კლდიაშვილის ბატიკა და გობელენი
"ვიზუალური კვლევა ნამების გარშემო": ვაჟა წერეთელის, გურამ წიბახაშვილის, გიო სუმბაძისა და ლევან ჭოღოშვილის ნამუშევრები

TMS
ლევან ლაღიძის პერსონალური გამოფენა

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გ. მაქაცარიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

#### კინოთეატრები

რუსთაველი
"ადამიანი შავებში 2" დას: 17:00; 19:00; 21:00; 22. 30 ფასი: 5 ლარი

ამირანი
"დროის მანქანა" დას: 15:00; 21:00; 22:30
"სასიკვდილო ფეხბურთი" დას: 17:00 სთ

### ევროპის თეატრები ავინიონში იკრიბებიან

5 ივლისს ავინიონში 55-ე თეატრალური ფესტივალი გაიხსნა. 27 ივლისმდე ქალაქი ავინიონი ერთ მთლიან სასცენო მოედნად გარდაიქმნება. სცენად იქცევა ყველაფერი: ტროტუარები, პარკები, პატარა ეკლესიები, კაპელები, სპორტული დარბაზები. მართალია, ავინიონში ფესტივალის მსვლელობის დროს აუთვისებელი ტერიტორიები არ რჩება ხოლმე, ყველაზე პრესტიჟულ სასცენო მოედანს პაპის ყოფილი რეზიდენციის ეზო წარმოადგენს. წელსაც ფესტივალის ყველაზე მნიშვნელოვანი თეატრალური პრემიერები სწორედ პაპის სასახლეში გაიმართება. ბოლო წლების განმავლობაში ფესტივალის ორგანიზატორები ცდილობენ შეზღუდონ ფრანგ მონაწილეთა რაოდენობრივი უპირატესობა და 90-იან წლებში შემოტანილი პროგრამით - "თეორემა" აღმოსავლეთ ევროპაზე აკეთებენ ორიენტაციას.

### ბუკინგემის სასახლიდან ბექინგემში

ჯონი და ნიკი გაილს-ლარკინი სამეფო დამლაგებლები არიან. ისინი ბრიტანეთის ცისფერსისხლიანთა სამეფო პალატებს წლების განმავლობაში ასუფთავებდნენ. თუმცა, სამსახური დედა-დედოფლის გარდაცვალების შემდეგ დაკარგეს. მათი აყვანა პრინცმა ედვარდმა და სოფიმ სცადეს, მაგრამ ჯონიმ და ნიკიმ ფეხბურთის მეფის რეზიდენციებში გადასახლება არჩიეს – ამიერიდან ისინი სახლს დევიდ და ვიქტორია ბექჰემებს დაულაგებენ. მით უფრო, რომ დიდი სხვაობა ბუკინგემისა და ბექინგემის სასახლეებს შორის არც არის – ასე უწოდებენ ფეხბურთელის რეზიდენციას, მისი გვარიდან გამომდინარე. მართლაც ბექჰემების უზარმაზარ მამულს, რომელიც ჰერტსში მდებარეობს, სასახლემდე ცოტა უკლია, ის დაახლოებით 4 მილიონ დოლარი ღირს. ახლახან, სპეციალურად დამლაგებლებისთვის, ბექჰემებმა მამულის განაპირას კიდევ ერთი, უფრო მომცრო სახლი 400 ათას დოლარად იყიდეს. იქ სამეფო დამლაგებლები – ჯონი და ნიკი იცხოვრებენ.

# ლივერპულელი ოთხეულიდან ქართულ შოუ-ბიზნესამდე

## ლელა წურწუმიამ "არტ-იმედთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი

თამარ მურვანიძე

რამდენიმე დღის წინ ლელა წურწუმიამ "არტ-იმედთან" თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და მისმა პრესკონფერენციამაც აღარ დააყოვნა. პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ: ლელა წურწუმია, მისი მეუღლე კახა მამულაშვილი, იგივე "მამულიჩა", ლელას ახალი პროდუსერი ბიჭიკო ქადაგიძე, არტ-დირექტორი ჯემალ სეფიაშვილი და "არტ-იმედის" საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი ნინო ცაგარელი.

"არტ-იმედმა" შექმნის პირველივე დღეებიდანვე გამოთქვა მომღერალთან მუშაობის სურვილი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო (მოჩქარეს მოუგვიანდესო) კონტრაქტზე ხელი მოწერას არ ჩქარობდა.

რადიო "იმედის" ოფისში გამართულ შეხვედრაზე კახა მამულაშვილმა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაჭიანურება ასეთნაირად ახსნა: ეს პროცესი იმიტომ გაიწელა, რომ არ გვინდოდა თანხმობა უცბად განგვეცხადებინა, გარკვეული შეუთანხმებლობა იყო ფინანსებთან დაკავშირებით, თანაც, ამ პერიოდის განმავლობაში "არტ-იმედის" საქმიანობასაც ვადევნებდით თვალ-ყურსო.

ლელა წურწუმია, როგორც თვითონ ამბობს, საქმეში უკომპრომისოა და არასოდეს მიიღებს მისთვის წამგებიან წინადადებას; როგორც ჩანს, ბოლოსდაბოლოს მან შემოთავაზებაში მოგებაც დაინახა და დათანხმდა კიდეც. მისი ახალი პროდუსერი ყოფილი "ბითლომანი" ბიჭიკო ქადაგიძეა, რომელიც ლივერპულელი ოთხეულის შემოქმედების გარდა ზედმიწევნით იცნობს (და აფასებს) წურწუმიას შემოქმედებას.



ლელა წურწუმია და "მამულიჩა" პრესკონფერენციაზე

იური ლობოდინის ფოტო

"არტ-იმედის" მოთხოვნები ყველა მსახიობისთვის ინდივიდუალურია. ლელა წურწუმია არ აპირებს შეიცვალოს ის იმიჯი, რომლითაც ქართულ შოუ-ბიზნესში მოვიდა. მან ჰოლდინგთან ხუთწლიანი კონტრაქტი დადო, რომელშიც, ისევე, როგორც "არტ-იმედის" სხვა მსახიობებთან დადებულ ხელშეკრულებებში, ყველაფერი გასაიდუმლოებულია. მომღერალი მიჩნევს, რომ ამ კონტრაქტით არც მისი თავისუფლება იზღუდება და არც მსახიობისა და მასმედიის ურთიერთობა. თუმცა, ჟურნალისტების დიდ ნაწილს სხვაგვარი მოსაზრება აქვს. "არტ-იმედის" კონტრაქტის საფუძველზე ხომ ყველაფერი ჰოლდინგთან შეთანხმებული უნდა იყოს - დაწყებული ინტერვიუდან მომღერლის ფოტოგრაფირების უფლებით დამთავრებული.

"არტ-იმედის" წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ჯერ კიდევ არ "ჩამოყალიბებულან"; ჯემალ სეფიაშვილმა კი რატომღაც (?) საჭიროდ ჩათვალა იმის ხაზგასმა, რომ მათი საქმიანობა სიკეთეზე, მეგობრობასა და ცივილურ ურთიერთობებზე იქნება დამყარებული, და რომ მეგობრობა ღია და გამჭვირვალეა.

ამიერიდან "მამულიჩა" (რომელმაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისი შესაძლებლობები ამოწურა ლელასთან დაკავშირებით) დამოუკიდებლად იმოქმედებს და, როგორც ამბობს, არ დაიკარგება. მხოლოდ ის ვიცით, რომ დამოუკიდებელი პროდუსერული კომპანიის შექმნას არ აპირებს; ეს რომ ასე იყოს, ლელა წურწუმია ახალ კონტრაქტს არ დადებდა. "არტ-იმედის" წარმომადგენლებს კი იმედი აქვთ, რომ ჰოლდინგში თანდათანობით ყველა საინტერესო მომღერალი მოიყრის თავს.

# „თავისუფლება„, რომელიც სინამდვილეს ასახავს

## საქართველოში პირველი ჩეჩნური ფილმი გადაიღეს


კადრი ფილმიდან


ფოლმზე მუშაობისას


კადრი ფილმიდან

ნანა ბასილაშვილი

ალბათ, არაფერი გსმენიათ ჩეჩნური კინემატოგრაფის შესახებ, ეს იმიტომ, რომ იგი დღემდე არც არსებობდა. მალე კინოეკრანებზე პირველი ჩეჩნურენოვანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი გამოვა. "თავისუფლება" ("მარშო") - ასე ერქმევა ფილმს, რომელსაც მურატ მაზაევი (იგი, შეიძლება ითქვას, პირველ ჩეჩენ კინორეჟისორადაც გვევლინება) წარმოადგენს. მურატ მაზაევი კინოხელოვნებას საქართველოში ეზიარა და თავისი პირველი ფილმიც სწორედ აქ გადაიღო.

მურატი 25 წლისაა. რეჟისორობაზე იგი ბავშვობიდან ოცნებობდა. ყოველთვის, ლიტერატურის კითხვისას, სურვილი უჩნდებოდა, საკუთარი განცდები და გრძნობები კინოს ენით გამოეხატა, რადგანაც თვლიდა, რომ ადამიანური გრძნობების გადმოცემის საუკეთესო საშუალებას სწორედ კინო იძლევა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მომავალი კინორეჟისორი მოსკოვში სწავლაზე, რუსეთ-ჩეჩნეთს შორის დაძაბული ურთიერთობის გამო, უარს ამბობს და ჩეჩნეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე (რადგანაც სარეჟისორო ფაკულტეტი იქ არ არსებობდა) აბარებს. ერთადერთი კინოსტუდია ჩრდილოეთ კავკასიაში, ვლადიკავკაზში "ფუნქციონირებდა". გროზნოს უნივერსიტეტში სწავლისას მურატ მაზაევი იმ მცირე შემოქმედებითი ჯგუფის წევრი იყო, რომელსაც საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა თბილისთან. გროზნოში სპეციალური ტურების მიხედვით შერჩეული ოთხი სტუდენტი საქართველოში ჩამოიყვანეს. ჩეჩენმა სტუდენტებმა თეატრალურ ინსტიტუტში კინოფაკულტეტზე გამოცდების ჩაბარების შემდეგ ბუბა ხოტივარის ჯგუფში დაიწყეს სწავლა. ერთი წლის შემდეგ, გროზნოში დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, სტუდენტები სამშობლოში დაბრუნდნენ. ომის დამთავრების შემდეგ კი, სწავლა კვლავ გააგრძელეს.

ამჟამად მურატ მაზაევი დიპლომზე, პირველ ჩეჩნურ მხატვრულ ფილმზე მუშაობს. ფილმის გადაღება შარშან სექტემბერში დაიწყო და ამ კვირაში დასრულდება. "თავისუფლება" ერთ-ერთი ჩეულებრივი ჩეჩნური ოჯახის ტრაგიკულ ამბავს მოგვითხრობს. ფილმი ჩეჩენ ახალგაზრდაზეა, რომელიც მთის ძირას გაშენებულ სოფელში დედ-მამასთან, დებთან და ძმებთან ერთად ცხოვრობს. აქვს გეგმები, ჰყავს საცოლე, მაგრამ იწყება ომი და ცხოვრებაც მთავრდება. "ამ ფილმში გადმოცემულია ჩემი ქვეყნის ტრადიციები, რაც სხვებისთვის საერთოდ არაა ცნობილი, ჩვენი ხალხის ადათწესები. ეს არის მცდელობა, ყველას გავაცნო და დავანახო ჩეჩენი ხალხის ყოფა-ცხოვრება, ვუჩვენო ყველაფერი, რაც იქ სინამდვილეში ხდება," - აღნიშნა რეჟისორმა. სინამდვილის საუკეთესოდ წარმოჩენისთვის კი, მურატ მაზაევმა პანკისის ხეობა ამოირჩია. მისი თქმით, აქ ყველაფერი ნაცნობი იყო: ბუნება, ხალხი და დაძაბული ცხოვრება. ყველაფერთან ერთად ხეობაში ფილმის გადაღება ფინანსურადაც იაფი დაჯდა. ამავე დროს, პანკისში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილები მან მასობრივ სცენებში გადაიღო, მათ ფილმში ჩეჩენი მეომრები განასახიერეს. რაც შეეხება დანარჩენ მსახიობებს, ვინაიდან არ არსებობს ჩეჩნური კინო, რეჟისორმა პროფესიონალი და არაპროფესიონალი მსახიობები თბილისსა და ახმეტაში შეარჩია. ფილმში დედის როლს მსახიობი ნინო კობერიძე ასრულებს, დას – მარი კუბლაშვილი, ხოლო საცოლეს - ნათია გულიაშვილი. ჩეჩენ მეომრებს თავად ჩეჩნები ასრულებენ, რაც შეეხება რუს ჯარისკაცებს, მათ როლს ქართველები (რადგანაც ჩეჩნებმა უარი თქვეს) თამაშობენ. მთავარ როლს თავად რეჟისორი განასახიერებს, მისი თქმით, სხვა ეროვნების ადამიანი ამ როლს ვერ შეასრულებდა. სცენარის ავტორადაც რეჟისორი გვევლინება. მონტაჟსა და გახმოვანებაში დახმარებას უცხოელი კოლეგები (ბრიტანელი რეჟისორი ვანესა რედგრეივი, ტანია რახმანინა და სხვანი) დაჰპირდნენ.

ფილმის დადებითად შეფასებაზე და მის წარმატებებზეა დამოკიდებული რეჟისორის სამომავლო გეგმები. თავად მურატის თქმით, თუკი ობიექტურად შევაფასებთ, ტექნიკური თვალსაზრისით ფილმი პროფესიონალურადაა გაკეთებული. თუმცა, ამის მიუხედავად, გრანდიოზულ წარმატებებს მაინც ნაკლებად ელის, რადგანაც ასე თუ ისე გარკვეულ წილად შეზღუდული იყო (მიზანსცენები, კოსტიუმების დიზაინერი, გრიმიორი, მხატვარი და ა.შ.).

მართალია, ფილმი ჯერ არავის უნახავს, მაგრამ იგი უკვე საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. "ამიერიდან უნდა გავითვალისწინო, რომ ომის თემაზე ჩემს მიერ გადაღებულ ფილმს, პოლიტიკურადაც შეაფასებენ,"- აღნიშნა მაზაევმა. მისივე თქმით, რუსულ მასმედიაში ფილმი შეაფასეს არა როგორც შემოქმედებით (მითუმეტეს, ეს პირველი ჩეჩნური მხატვრული ფილმია), არამედ პოლიტიკურ მოვლენად. არადა, თავად რეჟისორს ეს არ გაუთვალიწინებია. სამომავლოდ კი იგი ამ ფაქტს აუცილებლად მიიღებს მხედველობაში. "ამ პატარა ისტორიით, შევეცადე მეჩვენებინა, რომ ომი არ შეიძლება დამთავრდეს უბრალოდ, კონკრეტული შედეგით. მიმაჩნია, რომ ეს ფილმი ჩეჩენი ხალხისთვის ოპტიმისტურია, რადგან მათი ბრძოლა და თავგანწირვაც აუცილებლად დაფასდება," – სჯერა ახალგაზრდა ჩეჩენ რეჟისორს.

# დივა ცოცხლდება...

## რეჟისორი ფრანკო ძეფირელი მარია კალასის შესახებ ფილმის გადაღებას ამთავრებს

დავით ბუხრიკიძე

საავადმყოფოს გრძელი კორიდორი. სანიტრები ნერვიულად დარბიან, რათა არცთუ ახალგაზრდა ქალს მშობიარობის ტკივილები შეუმსუბუქონ. მისი სახე ტანჯვითა და ოფლის წვეთებითაა დაფარული, რადგან სადაცაა მკვდარ ბავშვს შობს..."გადაღებულია!", - დაღლილი ხმით ამბობს რეჟისორი. ფილმს, რომლის სამუშაო სახელწოდებაა "ყველა დროის კალასი", ცნობილი იტალიელი რეჟისორი, ფრანკო ძეფირელი იღებს. მარია კალასის როლს ფანი არდანი ასრულებს - ფრანსუა ტრიუფოს ყოფილი მუზა და მეუღლე.

შესაძლოა, უცნაურია, რომ ფილმის გადაღებები რუმინეთში მიმდინარეობს, მაგრამ ფაქტია, რომ ოპერის, თეატრისა და კინოს "შეთავსებით" სახელგანთქმულმა მაესტრომ იაფფასიანი კინოსტუდია ბუქარესტში ძვირფასი რეკვიზიტითა და საოპერო კოსტიუმებით მორთო. ეს ყველაფერი კი მარია კალასის საყვარელი სუნამოთი გააზავა. თავის დროზე სწორედ ასე მოიქცა ლუკინო ვისკონტი – ძეფირელის უფროსი კოლეგა და მასწავლებელი - როდესაც "ლუდვიგის" გადაღებისას, რომი შნაიდერის საამებლად თუ ფილმის შესაბამისი აურის შესაქმნელად, რამდენიმე ლიტრი "შანელი" მოასხურა კინოსტუდიაში.

ძეფირელი, რომელიც კალასს დიდი ხნის განმავლობაში იცნობდა და რომლის მეგობრადაც მიიჩნევს თავს, აცხადებს: "მე დავუბრუნებ მას სიცოცხლეს. დავამტკიცებ, რომ კალასი უდიდესი იყო და წარსულის ყველა ჭორი თუ ბინძური მონაჩმახი, დღეს მხოლოდ შარავანდედს მატებს მის სახელს. მენეგინიმ, მისმა პირველმა მეუღლემ და, მოგვიანებით არისტოტელე ონასისმა, მეთოდურად გაანადგურეს მისი პირად ცხოვრება.... იგი უდიდესი მომღერალი იყო, ნამდვილი დივა, რომელმაც ვოკალური და არტისტული ხელოვნების მწვერვალებს მიაღწია."

"ლა დივინა" - "ღვთაებრივი" – სწორედ, ასე უწოდა აღფრთოვანებულმა პუბლიკამ მარია კალასს, როდესაც მან მილანის "ლა სკალაში" პირველად იმღერა. "ტრავიატა" ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ სპექტაკლად იქცა, რომელიც ლუკინო ვისკონტიმ 1953 წელს დადგა. მოგვიანებით, როდესაც ვისკონტისა და ძეფირელის გარკვეული უთანხმოება მოუვიდათ, მათ გაციებულ ურთიერთობას მხოლოდ კალასი ალღობდა. ორივე რეჟისორი აღმერთებდა ბერძენ მომღერალს, რომლის შესახებაც იმხანად, უფრო ელიტური ჭორებისა და სამოსელის მიხედვით მსჯელობდნენ, ვიდრე შესრულებული პარტიების მიხედვით. ლეგენდები დადიოდა კალასის ტყავის ჩანთებისა და ხელთათმანების კოლექციის შესახებ, რომელიც მხოლოდ უდიდეს მოდელიორებს ეკუთვნოდათ. მაგრამ, დღეს, ეს ყველაფერი ფერმკრთალი და დავიწყებული წარსულია. დარჩა მხოლოდ კალასის უნიკალური ხმა, საოპერო სცენებზე შესრულებული როლები და, რაღა თქმა უნდა, მის მიერ განსახიერებული მედეა პაზოლინის ფილმში.

კალასი აღიარებულია უდიდეს მომღერლად, რომელმაც მეოცე საუკუნეში ვოკალისა და არტისტიზმის წარმოუდგენელ სინთეზს მიაღწია. დიდი ხნის განმავლობაში ვერც ერთი რეჟისორი ვერ ბედავდა მის შესახებ ბიოგრაფიული ფილმის გადაღებას. 70-იანი წლების დასაწყისში ლუკინო ვისკონტის სურდა მისი მონაწილეობით "ტრავიატას" გადაღება, მაგრამ რეჟისორი შეუძლოდ გახდა, უკვე დეპრესიაში მყოფი მომღერალი კი საშინლად განიცდიდა ხმის დაკარგვას. 1976 წელს მისი ფსიქიკური მდგომარეობა კრიტიკული იყო: არავის ღებულობდა, არ პასუხობდა ტელეფონის ზარებს და, რაც მთავარია, აბსოლუტურად მარტოსული იყო.

სწორედ კალასის სიკვდილისწინა, პარიზის ცხოვრების პერიოდს ასახავს ძეფირელის ფილმი, რომლის შინაარსი უფრო ახლოა მელოდრამასთან, ვიდრე ტრაგედიასთან: სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე კალასის ბინაში ტელეფონი რეკავს. შოუბიზნესისა და პოპ-მუსიკის ცნობილი მენეჯერი (ამ როლს ცნობილი ბრიტანელი მსახიობი ჯერემი აირონსი ასრულებს) კალასს სცენაზე დაბრუნებას პოპულარული არიებით სთავაზობს (დაახლოებით ისე, როგორც დღეს პავაროტი "მეგობრებთან" ერთად მღერის ხოლმე). კალასი ჯერ თანახმდება, მაგრამ როდესაც წარმოიდგენს, რომ ტრიუმფი მხოლოდ ძველი ჩანაწერების მიხედვით ერგება, ერთი შეხედვით მაცდურ წინადადებაზე უარს ამბობს.

ფილმის ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდი საავადმყოფოში ხდება, რომელის შესახებაც უკვე აღვნიშნეთ და სადაც კალასის უმთავრესი ტრაგედიაა ნაჩვენები. ბევრი რამ დაიწერა კალასის საიდუმლოზე. ითქვა ისიც, რომ იგი ერთდროულად ბედნიერი და უბედური იყო – დედოფალი სცენაზე და ხელმოცარული პირად ცხოვრებაში, რადგან დედობა არ ეღირსა. ასეა თუ ისე, ფილმში "ყველა დროის კალასი" ძეფირელი ცდილობს ახსნას მისტიკურობის ბურუსით მოცული საიდუმლო, რამაც საუკუნის უდიდესი მომღერალი პირად ტრაგედიამდე მიიყვანა.

"კალასის გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე პარიზში ჩავფრინდი, სადაც იგი დიდი ხანი განმარტოებით ცხოვრობდა. ფრთხილად შევაპარე, რომ მონტევერდის "პომპეოსის კორონაციის" დადგმა მსურდა, სადაც ერთ-ერთ მთავარ პარტიას შეასრულებდა. თუმცა, წინასწარვე ვიცოდი, რომ უარს მეტყოდა, რადგან დეპრესია ჰქონდა და სუსტად იყო. ეს უფრო გამოწვევას და თერაპიას ჰგავდა. მარია ცუდ გუნებაზე შემხვდა, სავარძელში იჯდა და თითქმის არ ლაპარაკობდა. მითხრა, რომ ძალიან ბედნიერია შემოთავაზებით, მაგრამ აღარასოდეს იმღერებდა. როდესაც ვუთხარი, რომ ცოტა მსუბუქი და პატარა პარტიები ემღერა, გავეშებულმა კატეგორიული ტონით მიპასუხა: "ჩემი ხმა ისეთად დარჩება, როგორიც იყო..."

ფანი არდანი ძეფირელის ახალ ფილმში 26 კოსტიუმს იცვლის, რომელიც კარლ ლაგეფილდმა სპეციალურად შანელის სტილში შეკერა. შანელი ხომ კალასის საყვარელი მოდელიორი იყო. მიუხედავად სანაქებო პროპორციებისა (ეს ეფექტურად ჩანს ფრანსუა ოზონის "რვა ქალშიც", სადაც მსახიობი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს), არდანს მაინც მოუწია წონაში დაკლება, რათა კალასის სახელგანთქმული ყვრიმალები და მაღალი ყელი გამოეჩინა. ნავარაუდევია, რომ ფილმი "ყველა დროის კალასი" ეკრანზე სექტემბერში გამოვა. პრემიერას კი ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე ელოდებიან, რომელიც ყოველწლიურად, სწორედ, სექტემბრის დასაწყისში იმართება.


მარია კალასი სცენაზე




მარია კალასი და ლუკინო ვისკონტი "ტრავიატას" პრემიერის შემდეგ. 1953წ.

ფეხბურთი

## კანის გასაჭირი

მუნდიალის ფინალში ჟილბერტო სილვასთან ჭიდილი ოლივერ კანს მხოლოდ ხელის ტრავმად როდი დაუჯდა. გერმანიის ნაკრებისა და მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერმა ნატკენი ხელით რონალდოს დარტყმის მოგერიება ვერ შეძლო და გოლი გაუშვა. ახლა კი, როგორც ირკვევა, კანისთვის ფინალში მიღებული ტრავმა შესაძლოა, კიდევ უფრო დრამატული აღმოჩნდეს.

მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელს თითში ძარღვი აქვს გაწყვეტილი და "ბაიერნის" ვარჯიშებში ვერ მონაწილეობს. როგორც ახლახანს გახდა ცნობილი, კანს სამკურნალოდ სულ ცოტა ექვსი კვირა მაინც სჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ "ბაიერნი" ცხრა აგვისტოს ახალ სეზონს თავისი შეუპოვარი ლიდერის გარეშე დაიწყებს.

## ფრიდელს „ბლექბერნი" მოსწონს

არ გიკვირთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების საკმაოდ კარგი მეკარე ბრედ ფრიდელი, რომელმაც მუნდიალზე მეოთხედფინალში გასვლა შეძლო, პრემიერლიგის აუტსაიდერ "ბლექბერნში" ყოფნით ბედნიერია? ფრიდელმა მუნდიალზე ისეთი კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რომ მოესურვებინა, ალბათ, არ გაუჭირდებოდა "ბლექბერნზე" უკეთეს კლუბში გადასვლა, მაგრამ ამერიკელმა ინგლისში დარჩენა ამჯობინა და "ბლექბერნს" კონტრაქტის კიდევ ოთხი წლით გახანგრძლივებაზე დათანხმდა.

ოთხი წლის შემდეგ ფრიდელი უკვე 36 წლის იქნება და, საეჭვოა, ისევ დარჩეს ფეხბურთში. თავის კარიერას ამერიკელი, ალბათ, სწორედ "ბლექბერნში" დაასრულებს.

## ნუთუ აღსრულდა?

ნუთუ ეშველა ალესანდრო ნესტას, მორჩა მის ტრანსფერთან დაკავშირებული ყველა გაუგებრობა და საბოლოოდ გაირკვა, სად ითამაშებს "ლაციოს" ექსკაპიტანი მომავალ სეზონში?

როგორც იტალიური სპორტული პრესა ირწმუნება, ნესტას ტანჯვა-წამება დასრულდა. "ლაციომ" და "ინტერმა" უკვე მოაგვარეს ყველა სადავო საკითხი და ნესტა, დღეს ან ხვალ, ოფიციალურად გადავა მილანური კლუბის საკუთრებაში.

ჯერჯერობით ჟურნალისტებმა ვერ დაადგინეს, რა თანხა გადაუხადეს მილანელებმა რომაელებს. ერთი ვერსიით, კრანიოტის კლუბმა ნესტას სანაცვლოდ 28 მილიონი და ნიკოლა ვენტოლა მიიღო, მეორე ვარიანტი კი - 30 მილიონი და ბრაზილიიდან ახლად ნაყიდი კლებერსონია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ ნესტას "ინტერში" და ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება.

## გერმანელები - ოქროს ევროპელები

პრესტიჟული პრემიის "ოქროს ევროპის" არსებობის ისტორიაში გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრებს პირველად გადაეცა ეს საპატიო ჯილდო. პრემია ბერლინში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე გერმანიის ნაკრების საპატიო კაპიტანს, უვე ზეელერს გადასცეს. ფეხბურთელთათვის ეს იმით არის განსაკუთრებულად ფასეული, რომ გერმანული ტელევიზია ARD–ის მიერ დაწესებული ერთ-ერთი უძველესი ჯილდო ხელოვნებასა და კულტურაში წარჩინებულთ ენიჭებათ. წლეულს, გერმანელებმა გამონაკლისი დაუშვეს, თუმცა არც ხელოვნების მოღვაწეები დარჩენიათ უყურადღებოდ.

2002 წლის ხელოვნების საუკეთესო მოღვაწედ ფრანგი მომღერალი პატრისია კაასი დასახელდა, "წლის ელვისებური ვარსკვლავისთვის" განკუთვნილი ჯილდო კოლუმბიელ შაკირას გადაეცა.

## ხელოვან ქალს კოლინასთან ყოფნა სურს

განათლებით მხატვარი და დიზაინერი კრისტინა ჩინი, სუსტი სქესის პირველი წარმომადგენელი იქნება, რომელიც იტალიის სერია ა-ს მატჩებს უმსაჯებს. 32 წლის ჩინი, რომელიც "ფიორენტინას" გულშემატკივარია, მსაჯობით ათი წლის წინათ დაინტერესებულა და საჭირო კურსებიც გაუვლია, რის შემდეგაც ჯერ სერია ც-ს, შემდეგ სერია ბ-ს, ბოლოს კი სერია ა-ს მატჩების მსაჯობის უფლება მიეცა.

ჯერჯერობით კრისტინას მხოლოდ გვერდითი მსაჯობით მოუწევს დაკმაყოფილება, თუმცა, მთავარი მსაჯობის დიდი სურვილი არც გააჩნია. მისი ოცნება ყოფილა პიერლუიჯი კოლინასთან ერთად მატჩის არბიტრობა. აღსანიშნავია, რომ მისი ქმარიც მსაჯი ყოფილა, თანაც, ცოლის მსგავსად, გვერდითი.

# ნებისმიერ ნაკრებს შეუძლია, სიურპრიზი შემოგვთავაზოს

## ალექსანდრე ჩივაძეს კალაძის იმედი აქვს

მიხეილ აბაიშვილი



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ზუსტად ორ თვეში საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სასტარტო შეხვედრას გამართავს. მოგეხსენებათ, ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად ჩვენს გუნდს ირლანდიის, რუსეთის, შვეიცარიისა და ალბანეთის ნაკრებებთან მოუხდება პაექრობა. საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა მოუწევს. მართალია, ამ პოსტზე ხელახალი მოსვლის შემდეგ ნაკრებმა ოთხ თამაშში (ლუქსემბურგთან, ლიტვასთან, უნგრეთთან და სამხრეთ აფრიკასთან) გაიმარჯვა, ერთი შეხვედრა ფრედ დაასრულა (რუმინეთთან) და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა (უკრაინასთან), მაგრამ ამ დადებით სტატისტიკას ორი თვის შემდეგ, შვეიცარიის ნაკრებთან მატჩის წინ, არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება. გუშინ ალექსანდრე ჩივაძემ მომავალი მეტოქეების შესახებ თავისი მოსაზრებები გაგვიზიარა.

ა.ჩ.: - ჩვენი ქვეჯგუფის კალენდრის დადგენის დღიდანვე დავიწყეთ ინფორმაციის და ვიდეომასალის შეგროვება როგორც ჩვენს პირველ მეტოქეზე - შვეიცარიის ნაკრებზე, ისე რუსეთის, ირლანდიისა და ალბანეთის გუნდებზე. შვეიცარიის ნაკრებმა ბოლო დროს ორი ამხანაგური მატჩი გამართა. შვედეთის ეროვნულ გუნდთან ფრედ - 1:1 დაასრულა, ხოლო მეორეში კანადის ნაკრებთან დამარცხდა. მოვიპოვეთ ორივე თამაშის ამსახველი ვიდეოფირი. თამაშამდე მეტოქის შესახებ კიდევ დაგვიგროვდება ინფორმაცია. შვეიცარიელებთან მატჩის ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულება ძალიან ბევრს ნიშნავს. გამარჯვების შემთხვევაში საგზურზე სერიოზულ განაცხადს გავაკეთებთ .

**"24 საათი": - მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ორმა მომავალმა მეტოქემ იასპარეზა. როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე რუსეთისა და ირლანდიის ნაკრებებმა?**

ა.ჩ.: - მიუხედავად იმისა, რომ როი კინი მსოფლიო დონის ვარსკვლავია, მისმა მოცილებამ ირლანდიის ნაკრებზე დადებითად იმოქმედა. გუნდი ერთ მუშტად შეიკრა და, ჩემი აზრით, მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. ამ გუნდთან შეხვედრისას გასათვალისწინებელია გულშემატკივრის ფაქტორიც. ირლანდიელები, საერთოდ, მებრძოლი სულის ხალხია. მათში ძალზე მაღალია ეროვნული თვითშეგნება. თუ გახსოვთ, მსოფლიო ჩემპიონატამდე ირლანდიისა და რუსეთის ნაკრებმა გუნდებმა დუბლინში ამხანაგური მატჩი გამართეს. მე დავესწარი ამ შეხვედრას და აღფრთოვანებული დავრჩი ირლანდიელთა გულშემატკივრობით. ამ თამაშში ვერ განაცალკევებდი ირლანდიის ნაკრებს და მის გულშემატკივარს. ეს იყო ერთი განუყოფელი ორგანიზმი. ცხადია, ჩვენც ამ ერთიან ორგანიზმთან მოგვიწევს დაპირისპირება. ირლანდიელებს ჰყავთ ძალიან კარგი მეკარე, დაცვა, რომელსაც ძალიან ცოტა შეცდომა მოსდის, მაღალი კლასის თავდამსხმელები. ამ გუნდმა მთელი ტაიმის განმავლობაში საკუთარ კარს მიაჯაჭვა მომავალი ფინალისტი - გერმანიის ნაკრები და საჭირო გოლიც გაუტანა. ის ფაქტი, რომ ირლანდია მხოლოდ საფეხბურთო ლატარეაში - პენალტების სერიაში მარცხის გამო გამოეთიშა მსოფლიო ჩემპიონატს, მრავლისმეტყველია.

რუსეთის ნაკრებში თაობათა ცვლაა. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელმა - ონოპკომ, მოსტოვოიმ და კარპინმა სანაკრებო კარიერის დასრულების თაობაზე განცხადება გააკეთა. მათ შეცვლიან ნიჭიერი ახალგაზრდები სიჩოვის, კერჟაკოვის, იზმაილოვის, სალამატინის და სხვების სახით. ამ ფეხბურთელებმა უმაღლეს დონეზე თამაში უკვე გაუგეს გემო. დღესხვალ ნაკრებს ახალ მწვრთნელსაც დაუნიშნავენ და, დარწმუნებული ვარ, უწინდელთან შედარებით უფრო მობილური გუნდი იქნება.

**"24 საათი": - რამდენად სახეიროა ჩვენთვის შესარჩევი თამაშების კალენდარი?**

ა.ჩ.: - ვინც უნდა გყავდეს მეტოქედ, პირველ თამაშს ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სატურნირო, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ჩვენი შეხვედრის პარალელურად ირლანდიისა და რუსეთის ნაკრები გუნდები უპირისპირდებიან ერთმანეთს. მეორე მატჩში რუსეთის ნაკრებს ვმასპინძლობთ. ადვილი მისახვედრია, ამ თამაშს მხოლოდ სპორტული დატვირთვა არ ექნება. 2003 წლამდე მეტი შესარჩევი მატჩი არ გველის, თუმცა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის ამ ორი თამაშის შედეგზეა დამოკიდებული საგზურის ბედი. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ჩვენს ქვეჯგუფში არც გამოკვეთილი ფავორიტია, არც - გამოკვეთილი აუტსაიდერი. ნებისმიერ გუნდს, თვით ალბანეთის ნაკრებსაც კი, შეუძლია არაერთი სიურპრიზი შემოგვთავაზოს.

**"24 საათი": - 21 აგვისტოს საქართველოს ნაკრები ტალინში საკონტროლო ამხანაგურ მატჩს გამართავს ესტონეთის ნაკრებთან. სხვა მოსამზადებელ ამხანაგურ შეხვედრებს თუ გეგმავთ?**

ა.ჩ.: - არა, ამ შეხვედრით შემოვიფარგლებით და შემდეგ გერმანიის ქალაქ რიუიტში გავივლით საწვრთნელ შეკრებას. ამჟამად ჩვენი თვალთახედვის არეშია საქართველოსა და უცხოეთში მოთამაშე 32 ქართველი ფეხბურთელი. ნაკრების რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ბედი გაურკვეველია. ვგულისხმობ მათ საკლუბო კარიერას. ჯამარაული და ქინქლაძე, რომლებიც ახალ კლუბს ეძებენ, დემეტრაძე, რომელსაც, პრაქტიკულად, მთელი სეზონი გაუცდა... გაიგებდით, "მილანის" ხელმძღვანელობამ განაცხადა იმის თაობაზე, რომ ეს გუნდი მომავალ სეზონში მალდინი-კალაძე-შევჩენკოზე ააწყობს თამაშს. მიხარია, რომ საქართველოს ნაკრების ლიდერმა არც იტალიური ფეხბურთის გრანდში შეირცხვინა თავი და "მილანში" მისი იმედი აქვთ. კალაძე პირადად მეც ძალიან მეიმედება.

## რუსებს თბილისში გაზაევი ჩამოუძღვება



რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრების ახალი თავკაცი ვალერი გაზაევია, რომელიც ამჟამად მოსკოვის ცსკა-ს და ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს უდგას სათავეში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის საფეხბურთო კავშირმა აღმასკომის გუშინდელ სხდომაზე.

ოლეგ რომანცევი, რომელიც გუნდს კორეა-იაპონიაში ხელმძღვანელობდა, სხდომას არ დასწრებია. მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების გამოსვლის შესახებ მოხსენება გააკეთა გუნდის უფროსმა მიხაილ გერშკოვიჩმა. გაზაევის კანდიდატურას აღმასკომმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

24 ხმა 24 შესაძლებლიდან – ასეთი იყო აღმასკომის გადაწყვეტილება. ამასთან, აღმასკომის 7 წევრის წინადადებით, რომელსაც სხვებმაც დაუჭირეს მხარი, გაზაევი წლის ბოლომდე შეითავსებს მოსკოვის ცსკასა და ეროვნული ნაკრების მწვრთნელობას.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ვიაჩესლავ კოლოსკოვის თქმით, გაზაევის გარდა, სხდომაზე 7 უცხოელისა და ორი რუსი სპეციალისტის – იური სიომინისა და იური მოროზოვის კანდიდატურაც განიხილეს. გაზაევი აღმასკომისთვის ყველაზე მისაღები კანდიდატი აღმოჩნდა. კოლოსკოვი ახალ მწვრთნელს აუცილებელ ფინანსურ და საკადრო მხარდაჭერას დაჰპირდა.

გაზაევსა და რუსეთის საფეხბურთო კავშირს შორის ოთხწლიანი კონტრაქტი გაფორმდა – მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატამდე. ჟურნალისტებთან საუბარში ახალმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში წარმოადგენს ნაკრების მომზადების გეგმას, აგრეთვე, ახალი, სავარაუდო კანდიდატების სიას და მწვრთნელთა ახალ შტაბს. ეს ხალხი, გაზაევის თქმით, მუდმივად ახალი ფეხბურთელების ძიებით იქნება დაკავებული.

ვალერი გაზაევი იმით არის ცნობილი, რომ მისი ხელმძღვანელობით ვლადიკავკაზის "ალანია" რუსეთის ჩემპიონი გახდა.

## იაპონელებზე მოთხოვნილება იზრდება

იაპონელ ფეხბურთელებს მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებულმა ასპარეზობამ ევროპაში თავის წარმოჩენის შესაძლებლობა მისცა. ესპანური კლუბების შემდეგ, იაპონელებით დაინტერესება ინგლისელებმაც გამოხატეს. ლონდონის "ტოტენჰემმა" ტოდი კაძიუკას შეძენის სურვილი გამოთქვა, რომელიც "შიმიძუში" თამაშობდა. იაპონელი ნახევარმცველი ქვეყანაში ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად ითვლება და მასზე დიდ იმედებსაც ამყარებენ. სწორედ ამიტომ, ლონდონელთა წინადადებას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაც გამოეხმაურა. ფედერაციის წარმომადგენელთა თქმით, მომავალ მუნდიალზე წარმატებით ასპარეზობისათვის აუცილებელია ფეხბურთელთა წამყვან ევროპულ კლუბებში გადასვლა და "შიმიძუს" მოუწოდეს, იმდენად შეაფასონ კაძიუკა, რომ ლონდონელებს მისი ყიდვის სურვილი არ დაეკარგოთ.

## დიდი გუნდი დიდი კაცის ხელში

დიდი გუნდი, ამ შემთხვევაში, პოლონეთის ეროვნული ნაკრებია (პოლონელთათვის), დიდი კაცი კი ზბიგნევ ბონეკი (არა მარტო პოლონელთათვის), რომელიც პოლონეთის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა.

1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ადგილის მფლობელს, რომელიც შემდგომ წარმატებით იცავდა ტურინის "იუვენტუსის" ღირსებას, მხარი დაუჭირა ფედერაციის თითქმის ყველა მაღალჩინოსანმა. "ის ერთ-ერთია იმ დიდი გუნდიდან, რომელმაც პოლონელი ერი ასახელა. ფეხბურთი ხომ ჩინებულად იცის, ნაკრების წევრებსაც კარგად იცნობს და არჩევანში არ შეცდება", - ასეთი იყო ფედერაციის წარმომადგენელთა არგუმენტი მწვრთნელად მისი დანიშვნის თაობაზე.

## და ისევ რონალდო

არავის სჭირდება იმის ახსნა, თუ რას წარმოადგენს ბრაზილიელთათვის ფეხბურთი და სპორტის ამ სახეობაში წარჩინებული პიროვნებები. მათ ეროვნულ გმირებად რაცხავენ. ასევეა რონალდოს შემთხვევაშიც.

მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებული თამაშით გამოწვეული აღიარება და დიდება რონალდოს თაყვანისმცემლებს მოსვენებას უკარგავს და არაორდინალური საქციელისკენ უბიძგებს. რიო დე ჟანეიროს მუნიციპალიტეტი მშობლიური გმირისთვის ადგილობრივი კანონების შეცვლასაც კი აპირებს. საამისო მიზეზი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება - ერთ-ერთი ქუჩისთვის რონალდოს სახელის მინიჭება გახდა.

ასეთი რამ სხვაგანაც არაერთხელ მომხდარა და თითქოს რიოშიც არ უნდა შექმნილიყო პრობლემა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა კრძალავს ცოცხალი ადამიანებისთვის ესოდენ დიდი პატივის მიგებას.



Tour de France

# სტრიპტიზი ლიდერის მაისურით




რუბენს ბერტოლიატი

REUTERS

ლუჩანო ტაიოლი
ლუქსემბურგი
სპეციალურად "24 საათისთვის"

ვაკე-ეტაპის თაობაზე ბევრი ლაპარაკი, რატომღაც მგონია, რომ ყბედობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომ, სანამ ეს კეთილხმოვანი სიტყვა დაგვიმსახურებია, თავის ნებაზე მივუშვათ ლუქსემბურგიდან გასული პელოტონი და ვიდრე ამ გავაკებულ მდორე მდინარეს სიცოცხლის ნიშანი დაეტყობა, ეს კი, დამერწმუნეთ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოხდება, თქვენს ყურადღებას სხვა რამეზე გადავიტან. მე, ჩემდა საუბედუროდ, მკითხველს შევპირდი, რომ მისი მეგზური ვიქნებოდი ტურის ბოლომდე. არ ვიცი, წარმატებული იყო თუ არა ჩვენი სტარტი, არც ის ვიცი, როგორ გაგრძელდება და, საერთოდ, დასრულდება თუ არა, მაგრამ ერთი ნაღდია - აუცილებლად შევეცდები.

მრავალდღიანებთან დაკავშირებით წლიდან წლამდე ყველაზე უფრო ხშირად ერთი შეკითხვა ისმის: რა თვისებები უნდა ჰქონდეს სპორტსმენს, ანდა, რა არის საჭირო, ვთქვათ, ტურ დე ფრანსის მოსაგებად. რამდენიმე ათეული გამარჯვების ანალიზმა ცხადყო, რომ ჩემპიონთა საკმაოდ დიდი პროცენტი აუცილებლად იმარჯვებს ერთ ან ორ ინდივიდუალურ რბოლაში, მთის ეტაპებზე კი ხუთეულს მიღმა არ რჩება. ცხადია, იყო გამონაკლისებიც. ბოლო ასეთის სახელი და გვარი მარკო პანტანია. იტალიელი მრბოლი, რომელსაც ქომაგებმა "პირატი" შეარქვეს, იშვიათად ხვდებოდა პირველ ოცეულში, პროლოგში კი ასეულს იქითაც აღმოჩენილა. მარკო, ასე ვთქვათ, 4-5-წუთიანი ფორით იწყებდა ყველა მრავალდღიანს. რა თქმა უნდა, ფორა მის მეტოქეებს ჰქონდათ. სანაცვლოდ, მიადგებოდნენ თუ არა მთებს, იტალიელის შეჩერება შეუძლებელი იყო. 1998 წელს პანტანიმ ერთ სეზონში ზედიზედ მოიგო ჯერ "ჯირო", მერე კი - "ტური". ეს შემთხვევა ზემოთ გაკეთებულ დასკვნაში, ბუნებრივია, არ ჯდება. იმიტომ, რომ გამონაკლისია თვით მარკო პანტანი, ისევე როგორც გამონაკლისს წარმოადგენენ დიდი ოთხეულის წევრები, ისინი, ვინც ხუთჯერ მოახერხეს ტურ დე ფრანსის მოგება: ფრანგი ჟან ანკეტილი, ბელგიელი ედი მერქსი, ფრანგი ბერნარ ინო და ესპანელი მიგელ ინდურაინი. ამ ოთხეულის მეხუთე საპატიო წევრად მიაჩნიათ იტალიელი ფაუსტო კოპი, რომელიც ჯერ მეორე მსოფლიო ომამდე, მერე კი მის შემდეგაც სულ თორმეტი წლის განმავლობაში მეფობდა ველოსპორტში. რა თქმა უნდა, ოცდამეერთე საუკუნეშიც გამოჩნდებიან დიადთა კოჰორტაში მოხვედრის მსურველნი. ერთ-ერთი მათგანი ჩვენს მიერ ცოტა ხნის წინათ მიტოვებულ პელოტონში ლიდერის ყვითელი მაისურით ასპარეზობს.

ეს ნებისმიერი ველოსიპედისტის სანატრელი მაისურა ლანს არმსტრონგმა ტურის პირველ დღეს გამართულ პროლოგში ჩაიცვა.

პელოტონს გამოცოცხლება დაეტყო და ჩვენც სულზე მივუსწარით. ველომრბოლთა უზარმაზარ ჯგუფს სამიოდე კაცი გამოეყო. პელოტონი გამაძღარი მტაცებელივითაა, თითო-ოროლა მეტიჩარას ყურადღებას არ აქცევს. მაგრამ თუ თავი მოაბეზრეს, მტრისას. ამ სამეულმაც კარგა ხანს ირბინა, ირბინა მანამ, სანამ კიდევ ერთი ჯგუფი არ აედევნა მათ. ჩემდა გასაკვირად, გაქცეულთა მეორე ჯგუფში ტურის ლიდერი ლანს არმსტრონგიც იყო. საერთოდ, მომავალი ჩემპიონები ასე უცებ არ აცელქდებიან ხოლმე, მით უფრო, ისეთ ვითარებაში, როცა ფინიშამდე ორმოცზე მეტი კილომეტრია დარჩენილი. ამერიკელთან ერთად ჯგუფში "ლოტოსა" და "ლამპრეს" ლიდერებიც იყვნენ. როგორც ჩანს, ყველაფერმა ამან, ბოლოს და ბოლოს, იმოქმედა რულმოკიდებულ მხეცზე - პელოტონი დაიძრა და სულ რაღაც ხუთი წუთის შემდეგ შავ მუცელში ჩაიბრუნა ყველა გაქცეული.

მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ არ ვახსენო იმ სპორტსმენთა გვარები, რომელთა ყოფნა თუ არყოფნა ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს საბოლოო შედეგზე და მხოლოდ გადატვირთავს წერილს. მრავალდღიანებში არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ეტაპს ყველასთვის უცნობი სპორტსმენი იგებს. უცნობი და, ამასთან, არცთუ ნიჭიერი. სპორტში ასეთი რამ არ ხდება, მაგრამ ტურში რომელიმე ცალკეულ ეტაპზე ეს სავსებით შესაძლებელია და, თუ რატომ, ამაზე მომდევნო წერილში ვისაუბროთ. ახლა კი ისევ პელოტონს მივყვებით საათში, დაახლოებით, სამოცი კილომეტრის სიჩქარით და ფინიშიც საკმაოდ ახლოსაა.

ნეტარ არიან მორწმუნენი და ნეტარ არიან ბიჭები, ვისაც კაცის გული უდევთ მკერდში.

როცა შვეიცარიელი ბერტოლიატი პელოტონს გაექცა, მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია; როცა ფინიშამდე კილომეტრიღა იყო დარჩენილი, პელოტონის სათავეში მოქცეული სპორტსმენები და მათი დამხმარეები ერთიმეორის თვალთვალით იყვნენ გართულნი; როცა ფინიშამდე ხუთასი მეტრიღა რჩებოდა, მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერებმა, როგორც იქნა, შენიშნეს გათავხედებული მრბოლი და იკადრეს კიდეც დადევნება. გვიანღა იყო - იტალიური წარმოშობის შვეიცარიელ ბიჭს კაცის გული აღმოაჩნდა. ჯილდოც საოცარი იყო - ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონის მიერ წინა დღეს მორგებული ლიდერის ყვითელი მაისური.

### ტექნიკური შედეგები

**საერთო ჩათვლა**

1. რუბენს ბერტოლიატი ("ლამპრე", შვეიცარია) - 4 სთ. 58 წთ. 21 წმ.
2. ლორან ჟალაბერი ("CSC - ტისკალი", საფრანგეთი) - +3 წმ.
3. ლანს არმსტრონგი ("US პოსტალი", აშშ) - +3
4. რაიმონდას რუმსასი ("ლამპრე", ლიტვა) - +6
5. სანტიაგო ბოტერო ("კელმე", კოლუმბია) - +7
6. დევიდ მილარი ("კოფიდისი", დიდი ბრიტანეთი) - +8

**მთის მეფე**

1. ქრისტოფ მენგინი (FDJ, საფრანგეთი) - 22 ქულა
2. სტეფან ბერგესი (AG2r, საფრანგეთი) - 16
3. ლუდო დირექსენსი ("ლამპრე", ბელგია) - 15

**საუკეთესო სპრინტერი**

1. ერიკ ზაბელი ("ტელეკომი", გერმანია) - 36 ქულა
2. რუბენს ბერტოლიატი ("ლამპრე", შვეიცარია) - 35
3. რობი მაკ'ივენი ("ლოტო", ავსტრალია) - 26

**საუკეთესო გუნდი**

1. CSC ტისკალი - 14 სთ. 55 წთ. 46 წმ.
2. კოფიდისი - +3 წმ
3. US პოსტალი - + 3

ტყვიის სროლა

## ნინო სალუქვაძე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია!

მიხეილ აბაიშვილი

ფინეთის ქალაქ ლახტიში 6 ივლისს დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ტურნირში ბრწყინვალედ ასპარეზობს ქართველი მსროლელი, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ნინო სალუქვაძე. ნინომ პნევმატური პისტოლეტით 10 მეტრიდან სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

პირველი 40 გასროლის შემდეგ ქართველმა სპორტსმენმა 102 მონაწილეს შორის მეორე შედეგი (387 ქულა) აჩვენა და წინ მხოლოდ ავსტრიის სახელით მოასპარეზე ლოლიტა იულოისკაია გაუშვა. ფინალში ნინომ კიდევ უფრო გააუმჯობესა თავისი შედეგი და ათი გასროლიდან 99,9 ქულა დააგროვა. რომ არა უკრაინელი ელენა კოსტევიჩის მართლაც ფანტასტიკური შედეგი (101,2), ნინო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებდა. საბოლოოდ, უკრაინელმა მსროლელმა სალუქვაძეს მხოლოდ სამი მეათედი ქულით გაასწრო.

ქართველ სპორტსმენს ლახტიში კიდევ ექნება თავის გამოჩენის შანსი. 12 და 13 ივლისს მოეწყობა სპორტული პისტოლეტით მსროლელთა ტურნირი, რომელშიც ნინო სალუქვაძეც იასპარეზებს.

აქვე ვიტყვით, რომ გაზაფხულზე შანხაიში გამართულ მსოფლიო თასის ეტაპზე გამარჯვების შემდეგ ნინომ უკვე მოიპოვა 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის უფლება. ლახტიში მოგებული მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლით სალუქვაძემ კიდევ ერთი ოლიმპიური ლიცენზია გაუნაღდა საქართველოს დელეგაციას.

ჭადრაკი

## ბახრეინამდე გზა გერმანიაზე გადის

მსოფლიოს საჭადრაკო ცენტრი ორი კვირით დორტმუნდში გადაინაცვლებს. იქ მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირმა აიღო სტარტი. დორტმუნდის შეჯიბრება იმით არის საინტერესო, რომ ამ საჭადრაკო მარათონის მონაწილე რვა მოჭადრაკიდან ტრიუმფატორს მსოფლიოს ჩემპიონთან, ვლადიმერ კრამნიკთან პაექრობის შანსი მიეცემა. თავის მხრივ, ამ მატჩში გამარჯვებული, პლანეტის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის, კასპაროვ-პონომარიოვს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

დორტმუნდში შეკრებილი რვა მოჭადრაკე, რომელთაგან თითოეული მხოლოდ მონაწილეობისთვის 30 000 ევროს მიიღებს (მთლიანი საპრიზო ფონდი 200 000 ევროა), ორ ჯგუფშია გადანაწილებული. პირველ ეტაპზე გაირკვევა ჯგუფის ორ-ორი საუკეთესო მოჭადრაკის ვინაობა.

ტურნირის გამარჯვებულისა და ვლადიმერ კრამნიკის მატჩი, სავარაუდოდ, ოქტომბერში ბახრეინში გაიმართება. საპრიზო ფონდი დაახლოებით 2 მილიონი დოლარი იქნება. რაც შეეხება მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობისთვის გადამწყვეტ პაექრობას, იგი, სავარაუდოდ, 2003 წლის მიწურულს გაიმართება.

NBA

## აივერსონი კვლავ პოლიციის ყურადღების ცენტრშია

აივერსონს კვლავ პოლიციასთან აქვს საქმე. "ფილადელფიის" ვარსკვლავს ბრალს სდებენ, რომ გასულ ოთხშაბათს ის ორ ადამიანს ცეცხლსასროლი იარაღით ემუქრებოდა.

"Philadelphia Daily News"-ის ცნობით, ინციდენტი აივერსონის მეუღლის ტავანა ტერნერის საცხოვრებელ სახლში მოხდა. იუწყებიან, რომ 2001 წლის სეზონის უძვირფასესმა კალათბურთელმა პისტოლეტი ამოიღო და ბინაში მყოფ ორ მამაკაცს მოკვლით ემუქრებოდა.

ფილადელფიის პოლიციის წარმომადგენელი სტივენ გლენი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამართალდამცველებმა ნამდვილად მიიღეს საჩივარი აივერსონის წინააღმდეგ. ქალაქის სასამართლო უახლოეს დღეებში გადაწყვეტს, მომხდართან დაკავშირებით აღიძრას თუ არა სისხლის სამართლის საქმე.

აივერსონის ბრალეულობა ჯერ არ არის დამტკიცებული, რადგან ოთხშაბათს ბინაში შესულმა პოლიციელებმა ადგილზე ვერ ნახეს კალათბურთელი.

ეს სკანდალი პირველი არ არის 27 წლის ვარსკვლავისთვის. ჯერ კიდევ 17 წლის უკვე საკმაოდ სახელგანთქმულმა კალათბურთელმა ერთ-ერთ ბოულინგ-ცენტრში დიდი ჩხუბი ატეხა, თუმცა, ამ ამბავთან დაკავშირებით დაწვრილებითი ცნობები არ არსებობს.

თავად აივერსონი ამტკიცებს, რომ დარბაზი ჩხუბის დაწყებისთანავე დატოვა, რაც სრულიად არ ემთხვევა ინციდენტის თვითმხილველთა ჩვენებებს, რომელთა მიხედვითაც, აივერსონმა ერთ-ერთ მანდილოსანს თავზე სკამი გადაამტვრია.

მოწმეთა ჩვენება მოსამართლისთვის საკმარისი აღმოჩნდა, რათა ჩხუბის 4 მონაწილისთვის გრძელვადიანი პატიმრობა მიესაჯა. მათ შორის იყო ალან აივერსონიც, რომელსაც 5 წელი მიუსაჯეს. მაგრამ მას ბედმა გაუღიმა - პატიმრობიდან 4 თვის შემდეგ შეიწყალეს.

1997 წელს აივერსონს სამართალდამცველებთან კვლავ პრობლემები ჰქონდა. როდესაც ის თავის ნაცნობთან ერთად მანქანის გადაჭარბებული სიჩქარის გამო პოლიციელებმა გააჩერეს, სალონში მარიხუანას სუნი იდგა, რის გამოც პოლიციელებმა მანქანა გაჩხრიკეს და, ნარკოტიკული ნივთიერების ნაცვლად, პისტოლეტი აღმოაჩინეს.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების გამო ალან აივერსონს 3 წლით პატიმრობა მიესაჯა, თუმცა, თავდებით გაათავისუფლეს.

ალან აივერსონი არ არის ერთადერთი, მასთან ერთად NBA-ში ბევრი "ცუდი ბიჭია".

აი, ზოგიერთი მათგანი:

**დენის როდმანი** – სისტემატურად აქვს პრობლემები პოლიციასთან. ჯერ კიდევ 1979 წელს ძარცვისთვის დააპატიმრეს. 1999 წლის ნოემბერში კი ცოლი ცემა და კვლავ პოლიციელთა გარემოცვაში ამოყო თავი.

**ჯეისონ კიდი** – 2001 წლის იანვარში, ისევე როგორც როდმანმა, საკუთარი ცოლი ცემა.

**სკოტი პიპენი** – ისევ ძალადობა ცოლზე.

**ჩარლზ ბარკლი** – NBA-ში "ცუდ ბიჭად" ცნობილმა ბარკლიმ 1991 წელს ერთ-ერთ ბარში საკუთარი ნაცნობი ცემა. ბარკლი ადამიანის მძიმედ დასახიჩრებისთვის გაასამართლეს.

FORMULA-1

# და ნაკვალევს წვიმა შლის




მიხაელ შუმახერი

ურა ძნელაძე

როგორც იქნა, ფორმულა 1-ის რბოლებსაც გადმოხედა მამაზეციერმა და, თითქმის ორწლიანი გვალვების შემდეგ, მართალია, ხანმოკლე, მაგრამ მაინც მაცოცხლებელი წვიმა აპკურა გადახურებულ ასფალტს. გამხიარულდნენ ბოლიდები, გემოზე მოილხინეს ავტორბოლების მოყვარულებმაც.

მტკიცება არ უნდა იმას, რომ სველ ტრასაზე გაცილებით მეტი თავგადასავალი ელით პილოტებს, გაცილებით საინტერესო და მიმზიდველი ხდება რბოლა.

წინა დღეს, კვალიფიკაციაზე, უკვე მერამდენედ, საუკეთესო დრო აჩვენა უილიამსელმა ხუან პაბლო მონტოიამ. მეორე შედეგი ჰქონდა "ფერარის" პილოტს რუბენს ბარიკელოს. მესამე-მეოთხე ადგილს, ე.ი. მეორე რიგს დასჯერდნენ ძმები შუმახერები. მესამე რიგი, ტრადიციულად, მაკლარენებს - დევიდ კულტჰარდისა და კიმი რაიკონენის ბოლიდებს ერგოთ. კვალიფიკაციის შედეგებმა ტოტალიზატორებზეც იმოქმედა - მიხაელ შუმახერის მესამე ადგილმა 1/2-მდე ასწია მასზე დადებული ფსონები.

მეორე დღეს რბოლის სტარტი უიღბლო გამოდგა ბარიკელოსთვის. ძრავა არ ჩაირთო და ბრაზილიელიც იძულებული გახდა, გასახურებელი წრის შემდეგ პელოტონში ბოლო, ოცდამეერთე ნომრად დამდგარიყო. "ფერარის" მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმა თავდაყირა დადგა. ამას რბოლის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ წამოსული წვიმაც დაერთო და "ფერარის" არეულ გეგმებს სხვათა და სხვათა აჯაფსანდალად ქცეული წინასწარ გათვლილი სვლებიც მიემატა. ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშება კი ერქვა სახელად, მაგრამ ყველაფერი ისე აირია, ძაღლი პატრონს ველარ სცნობდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო შთაბეჭდილება. ყველაზე ძაან კი კულტჰარდმა "ივაჟკაცა". ის-ის იყო, საწვიმარი საბურავები ჩააცვა თავის ბოლიდს, რომ ტრასა ოდნავ შეშრა. წვიმაც გადაიღებს და "სლიკებით" უკეთ ავინაზღაურებთ დანაკარგსო, - იფიქრეს მაკლარენში. გამოცვლით კი გამოცვალეს საბურავები, მაგრამ წვიმამ გადაღება აღარ ინება. მტერს, რაც კულტჰარდს დღე დაადგა - როგორც აფრიკელი ზანგი ყინულზე, ისე ფორთხიალობდა ტრასაზე.

წეღან შთაბეჭდილება ვახსენე - მართლა ისეთი იყო, ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. დაახლოებით ისე, რომ ამბობენ ხოლმე: ბოლოები - წინ, წინები - ბოლოში. თუმცა, კლასმა მაინც თავისი ქნა. ბარიკელომ ბოლოდან მეორე ადგილამდე მიაღწია, უფროსი შუმახერი სათავეში მოექცა რბოლას, მესამე პოზიცია კი აქამდე კარგა გვარიანად ნაბეგვმა მონტოიამ გაიმაგრა. სიტყვა "ნაბეგვი" შემთხვევით ან სიავით არ წამომცდენია. მთელი რბოლის დროს შუმახერმაც და ბარიკელომაც, საცა უნდოდათ და რამდენჯერაც უნდოდათ, იმდენჯერ გადაასწრეს კოლუმბიელის "უილიამსს". სხვაობა რბოლის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე ამ სამ პილოტს შორის ისეთი იყო, რომ ვეღარაფერი შეცვლიდა და ფინიშიც ასეთი თანმიმდევრობით გადაკვეთეს.

**საერთო ჩათვლა**

1. მიხაელ შუმახერი ("ფერარი", გერმანია) - 86 ქულა
2. რუბენს ბარიკელო ("ფერარი", ბრაზილია) - 32
3. ხუან პაბლო მონტოია ("უილიამსი", კოლუმბია) - 31
4. რალფ შუმახერი ("უილიამსი", გერმანია) - 30
5. დევიდ კულტჰარდი ("მაკლარენი", ბრიტანეთი) - 26
6. კიმი რაიკონენი ("მაკლარენი", ფინეთი) - 11

**კონსტრუქტორთა თასი**

1. "ფერარი" - 118 ქულა
2. "უილიამსი" - 61
3. "მაკლარენი" - 37

პრეს-პიესა

# აღშფოთებული მედიკო

ლაშა ბუღაძე

**მედიკო:** კაცო, იმ დღეს მოვდივარ ჩემთვის და ვხედავ ომში დაღუპულ ძიმას ცოლს. უფრო სწორედ, ძიმას ვხედავ, ომში დაღუპულს... იმის ქმარს.

ვინ? ვინა, კაცო! ძიმა - ჩვარი, გმირივით დაიღუპა ომში და ჩემი შალვა აქ ფარებს უნდა უცვლიდეს ზურიკოს ველოსიპედს! ესაა სამართალი? ესაა ცხოვრება!.. ვიღაც მათხოვარი ძიმა იქ დიდის ამბით ეგდოს - სისხლში მოსვრილი, დაფლეთილი და... გმირულად მკვდარი... და ჩემი საწყალი შალვა - მთელი ცხოვრება წესიერად და პატიოსნად რომ უშრომია - აქ უნდა გადაყვეს ზურიკოს ველოსიპედს! ეს რა ქვეყანაა, ჰა! ეს რა არი, ა! ვიღაც ვიგინდარა ძიმა ჭურვით, თუ რაღაც ჯანდაბით თავგახეთქილი უნდა ეგდოს წინა ხაზზე, გმირივით, და ჩემი შალვა დღე და ღამე ზურიკოს ველოსიპედს უნდა უკირკიტებდეს? ეს რა სამართალია, ხალხო!

ორჯერ ორი რომ არ იცოდა, დებილი ძიმა იქ დიდის ამბით, ტყვიებით დაცხრილული უნდა ეგდოს, არა?! - დაუმარხავი, გმირივით... და ჩემი შალვა, საწყალი... უწესიერესი კაცი - წლების განმავლობაში, გამოთვლით ცენტრში რო მუშაობდა - აქ უნდა მეჯდეს ზურიკოს ველოსიპედის ფარებით! რა ვუთხარი მე ასეთ ქვეყანას! დეგენერატი ეგა - დედამისს მამამისისაგან რომ ვერ არჩევდა... ის უნდა იწვეს ახლა იქ, თავგახეთქილი, და ჩემი ნაღდი... კაცური კაცი შალვა აქ უნდა მყავდეს - ზურიკოს ველოსიპედთან ჩაკუნცხული! მე იმ ძიმას რა ვუთხარი - მაგის დედა ვატირე მე მაგისი - ჭურვით, თუ რაღაც ჯანდაბით რომ აქვს ტანი გახლეჩილი და დიდის ამბით, გმირივით რომ გდია იქ! ეგ უნდა იყოს მკვდარი, თუ ჩემი ანგელოზივით მშრომელი, უწესიერესი ქმარი? მთელი დღეები ეს ოქროსავით ადამიანი, სანთლით საძებნი შალვა, ამ ზურიკოს დასაწვავ ველოსიპედს უზის და ფარებს უცვლის, იმის მაგივრად, რომ იქ იწვეს, როგორც მას შეეფერება - ადამიანურად, ვაჟკაცურად მკვდარი! ეს მარგალიტივით კაცი ზურიკოს მაზუთიან ველოსიპედს უზის და ფარებს უცვლის... იქ კიდევ, დიდის ამბით, არხეინად წევს ვიღაც ძიმა... კარგით, რა!

*შემოდის შალვა - ზურიკოს ველოსიპედით.*

**შალვა:** რა იყო, მედიკო, რა ხდება?

**მედიკო:** (*ცრემლებით*) ...რა და, ეს ანგელოზივით კაცი, მკვდარი არ უნდა იყო ახლა?

*ფარდა*



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

სკანვორდი



TV პროგრამა 9 ივლისი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 "კომუნიკატორი"
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 პერეკროსტოკი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ონეგინი" მთ.როლებში რეიფ ფაინსი, ლივ ტაილერი
უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა

## პირველი არხი

07.30 "ალიონი"
09.45 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 ლერერის შოუ
14.35 ენა დედაა ერისა
15.15 ქართ. ფილმი "მაცი ხვიტია"
16.50 რას ფიქრობს ხალხი
18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 სიტყვა კაზმული
19.40 ბასტი - ბუბუ
20.55 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
21.45 "ლ. ისაკაძის ვარსკვლავი"
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 მხ.ფ. "ეძებენ ქალი"

## მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "სამხრეთისაკენ"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "სამი მუშკეტერი" მე-2 ნაწილი

## ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი "პოკაჰონტასი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 "სალონი"
14.00, 23.00 სერიალი "მოქალაქე უფროსო"
15.20 კომპიუტერის შემსწავლელი კურსები
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმაუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
00.15 მხ.ფ. "ჯაშუშთა შვილები"

## იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 09.50, 11.55, 20.20, 22.00, 23.55 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "პარტნიორები"
10.00 მხ.ფ. "ბედის ბორბალი"
20.25 მხ.ფ. "მოხუცი ნედის სიურპრიზი"
22.10 ძველი კინო_მხ.ფ. "ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები"

## პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
11.45 "ჩაძიროხანა" განმეორებით
13.15 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "გზა შინისაკენ"
19.00 მუსიკა
20.00 კლიპები შეყვარებულთათვის პირდაპირ ეთერში
22.00 ევრო-რუსული ათეული
23.00 "ბრავო" მხ.ფ. "საბოილერო". მთ. როლებში ჯოვან რიბიზი, ვინ დიზელი
01.30 "ღამურა" მხ.ფ. "მშვენიერი ისტორია". მთ. როლებში ჟერარ ლანვენი, ბეატრის დალი
03.30 ნონ-სტოპი

## კავკასია

12.00 მხ.ფ. "დროის პატრული"
14.00 მხ.ფ. "განკიცხულნი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "უშმაკის საკუთრება"
19.20 სპექტრი
21.00 სერიალი "ჩრდილოეთი და სამხრეთი"
22.00 მხ.ფ. "12 მაიმუნი"

## მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" 26-ე სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა" 26-ე სერია
10.15, 11.15, 14.45, 15.55, 17.15, 18.45, 20.20, 23745, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
11.25 მხ.ფ. "ძვალში დარტყმა"
13.30 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა"
14.00 გადაცემა რაგბი
15.00 დისქავერი
16.10 მხ. ფილმი "ბრალდების მოწმე"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" 1-ლი სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 1-ლი სერია
18.50 მხ.ფ. "ბოლო მომენტი" მთ. როლებში ჯონი დეპი, კრისტოფე უოკენი
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
21.30 გადაცემა "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "უცხოპლანეტელები ამერიკაში" მთ. როლებში
ჟან რენო, კრისტინა ეპელგეიტი
00.40 მხ.ფ. "მისს კონგენიალობა". მთ. როლებში სანდრა ბალოკი, მაიკლ კეინი, ბენჟამენ ბეტი

## აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 მულტფილმი "პრინცესა გედი"
10.40 საბავშვო ფილმი "შერლოკ ბონდი"
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული მხატვრული ფილმი "სათნოებათა კიბე"
13.45 კომედია "დაუმარცხებელი ველური"
15.20 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტსერიალი
17.00 დრამა "ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 მელოდრამა "ნოსტალგია მამაზე"
21.10 დოკუმენტური ფილმი
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "რა არ ხდება"
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 თრილერი "შეხება"
03.30 მხატვრული ფილმი "პრეტენდენტი"

## VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "ბედნიერი ერი"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.40 მოკლედ... სპორტი
10.45 "ავტოტრეკინგი"
11.40 მულტსერიალი
12.00 მუსიკალური ბიორითმი - "სფაის გელზი"
12.30 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.50 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 "სახლიდან გაუსვლელად"
14.00 სპორტი
14.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.40 მუსიკალური ობიექტივი
21.00 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.10 "ღამის კაპრიზი"
21.55 მოკლედ... სპორტი
22.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.15 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "სადა ხარ ლულუ?". ა.შ.შ. 1999 წელი. მელოდრამა. რეჟისორი - პოლ ასტერი. როლებში: მირა სორვინო, უილიამ დეფო, ჯინა გერშონი.
23.40 პრესის მიმოხილვა
23.55 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
00.20 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.15 მუსიკალური ბიორითმი - "სფაის გელზი"
01.45 მხ.ფ. ჟანრებში: - "ომენი" მე-2 სერია ა.შ.შ. 1986 წელი. მისტიკა. რეჟისორი - რიჩარდ დონერი. როლებში: გრეგორი პეკი, ლი რემიკი.
03.25 პრესის მიმოხილვა

## ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.35, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
12.10 Что да как
12.35 Дисней-клуб: "Любимчик"
13.15 Сериал «ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВА «ЛУННЫЙ СВЕТ»
14.15 Независимое расследование
14.50, 17.40 "ЕРАЛАШ"
15.00 "Народ против"
16.15 Док. фильм "Дикие штучки"
16.40 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.50 "САЛОМЕЯ"
20.15 х.ф. "ОПЕРАЦИЯ "СЛОН"
22.00 Время.
22.35 "Кто хочет стать милионером?"
23.25 "Приказано расстрелять"
00.05 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
01.00 Ночное "Время"
01.30 "16-й ОТДЕЛ"
02.25 Сериал "ФИРМЕННЫЙ РЕЦЕПТ".

## РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 17.45 Афиша
07.40 Дорожний патруль
08.10, 09.40, 17.40 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.15 Колоссальное хозяйство
10.10 Док. сериал "Это - голивуд!"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "ДАМА С ПОПУГАЕМ"
14.20 Мульфильмы
14.30 Сериал "БЕТТИ"
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "дикий ангел"
17.10 Сериал "ДРУЗЬЯ-4"
18.20 Футбол. Локомотив Москва - ЦСКА
20.00 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.35, 00.20 Вести-Москва
21.55 "АГЕНТСТВО НЛС"
22.55 х.ф." ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, ТРАГЕДИЯ В ПОМЕСТЬЕ".
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф."ПРОБИРАЯСЬ ДОМОЙ".

## НТВ

1.15 "ЗА ГРАНЬЮ СМЕРТИ" триллер. США
7.00 "СЕГОДНЯ УТРОМ"
9.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ: ЦЕНА СВОБОДЫ"
11.00,
15.00,
17.00,
23.00 СЕГОДНЯ
11.25 "ВНИМАННИЕ: РОЗЫСК!" "НАЛОГ ДЛЯ ОБОРОТНЯ"
12.10 "РАСТИТЕЛЬНАЯ ЖИЗНЬ" с Павлом Лобковым
12.50 "ВКУСНЫЕ ИСТОРИИ"
13.00 СЕГОДНЯ информационная программа
13.20 "КРУЖЕВА" сериал
15.05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня - "КТО В ДОМЕ ХОЗЯИН?"
16.40 "КРИМИНАЛ"
17.30 "ОСОБЫЙ СЛУЧАЙ" криминальный сериал. Сегодня - "ЗАПРЕТНАЯ МИССИЯ"
18.40 "ГРЯЗНАЯ РАБОТА" боевик. США
19.40 "КРИМИНАЛ"
20.00 СЕГОДНЯ с Петром Марченко
20.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ЧАРУЮЩИЕ СНЫ"
21.45 "ОСОБЫЙ СЛУЧАЙ" криминальный сериал. Сегодня - "ВОЛЧЬЕ ЛОГОВО"
23.35 "СКОРАЯ ПОМОЩЬ - 4" сериал. США
0.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал